



კავკასიის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

ხელნაწერის უფლებით

ავტორი: დავით ლობჯანიძე

საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებანი  
სამოქალაქო პროცესში

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ ხელმძღვანელი: ვალერი ხრუსტალი. სამართლის დოქტორი

ქ. თბილისი, 0186,

საქართველო.

2022

კავკასიის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დავით ლობჯანიძის მიერ შესრულებულ სადასირტაციო ნაშრომს დასახელებით: „საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებანი სამოქალაქო პროცესში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადასირტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი-----

ხელმოწერები

## კავკასიის უნივერსიტეტი

### კავკასიის სკოლა

სადისერტაციო საბჭოში წარდგენის წელი: 2022

ავტორი: დავით ლობჟანიძე

თემის დასახელება: „საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებანი სამოქალაქო პროცესში“

სამიუნივერსიტეტო აკადემიური ხარისხი: სამართლის დოქტორი

სხდომის ჩატარები თარიღი:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშნული დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს.

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

საოჯახო სამართლებრივი ხასიათის დავების განხილვა სასამართლო პრაქტიკაში მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. საოჯახო დავებს შორის, თავისი სიხშირით გამოიყოფა მეუღლეთა შორის დავები. მათი მრავალფეროვნება ქმნის სხვადასხვა სახის პრობლემას. სასამართლო პროცესში საოჯახო დავის განხილვისას მოსამართლეს უხდება ისეთი საკითხების გადაჭრა, რაც შეიძლება უშუალოდ არ რეგულირდებოდეს მკაფიო დისპოზიციით განსაზღვრული ნორმებით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საოჯახო საქმეთა განხილვა მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტით რთულია, რადგან მოსამართლეს დავის გადაწყვეტა ხშირად უხდება განუსაზღვრელი ნორმების საფუძველზე. საქმეთა განხილვას ართულებს საპროცესო ფორმის დაუხვეწაობაც. ასეთ ვითარებაში, პრობლემურ საკითხთა სწორად გადაწყვეტის მიზნით, დიდ მნიშვნელობას იძენს საოჯახო დავების განხილვის საპროცესო თავისებურებების კვლევა.

კვლევის ობიექტი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვისას უფლებრივი დავების გადაწყვეტის მომწესრიგებელი საპროცესო ნორმების გამოყენების პრობლემა გაანალიზებულია კომპლექსურად, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პრობლემა გამოკვლეულია მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტებისა და პროცესზე მათი გავლენის გათვალისწინებით.

სადისერტაციო კვლევის მიზანია არსებული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფა, საამისოდ კი, შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული დებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

სიახლე, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება აღნიშნულ პრობლემაზე სადისკუსიო საკითხების გადაწყვეტისადმი ახლებურ მიდგომებსა და თვით საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა წარმოების სამართალწარმოების ცალკე სახედ აღიარებაში.

**დისერტაციის სტრუქტურა და შინაარსი.** ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

თემის სტრუქტურა საშუალებას იძლევა, საკმაოდ სრულად გაშუქდეს პრობლემათა თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

1-ლი თავი შეეხება სამოქალაქო მატერიალური და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანაფარდობის პრობლემას და მის გავლენას საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვის საპროცესო თავისებურებებზე.

მე-2 თავში მოცემულია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის სასამართლოში სასარჩელო წესით აღძვრისა და განხილვის თავისებურებანი.

მე-3 თავში გამოკვლეულია მტკიცების თავისებურებანი საოჯახო საქმეთა სასარჩელო წესით განხილვისას.

მე-4 თავში გაანალიზებულია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე, გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების თავისებურებანი.

მე-5 თავში განხილულია ევროპის წამყვან ქვეყნებში საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი.

სადისერტაციო კვლევის შედეგები ასახულია დასკვნებსა და რეკომენდაციებში, რომლებშიც წამოყენებულია უამრავი საკანონმდებლო წინადადება – როგორც სამოქალაქო საპროცესო, ისე სამოქალაქო მატერიალურ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად. შემოთავაზებული რეკომენდაციები კანონმდებლის მიერ მათი გაზიარების შემთხვევაში ხელს შეუწყობს საოჯახო საქმეთა განხილვისას საკანონმდებლო რეგულირებაში არსებულ ხარვეზების გამოსწორებას და კანონმდებლობის სრულყოფას, ხოლო პრაქტიკულ ასპექტში კი საოჯახო საქმეთა სწორად გადაწყვეტას, სასამართლოს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას. საბოლოოდ კი, ეს რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავების განხილვისას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას, პრაქტიკაში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და,

შესაბამისად, საოჯახო ურთიერთობათა სუბიექტების უფლებების რეალურად, სწორად და თანამედროვე სტანდარტების (მათ შორის – საერთაშორისო სტანდარტების) მოთხოვნათა გათვალისწინებით დაცვას.

## RESUME

The examination of family legal disputes in court practice is rather actual problem. Among the family disputes, with its frequency the disputes between spouses are distinguished. Their diversity creates various kinds of problems. When examining the family disputes during court process the judge has to solve such issues which maybe not quite been regulated directly by the norms subject to clear disposition. To say it in other words, the examination of family cases based on material-legal aspects is difficult, because often it happens so, that judge sometimes has to solve the dispute on the basis of certain determined norms. The examination of cases is complicated even by the imperfect process form; in such circumstances for the purpose of make right solution for problematic issues great importance is given to the survey of procedural characteristics of examining family disputes.

Rising due to the family legal relations, object for the survey when examining the cases the problem for applying the procedural norms regulating the solution for righteous disputes has been analyzed in complex way, which means that the mentioned problem is surveyed with the consideration of material-legal aspects and their impact on the process.

The aim of the dissertation survey is the perfection of current legislation and court practice. For this it is necessary to develop relevant practical and theoretic statements conclusions and recommendations.

The novelty, first of all is revealed on mentioned problem rising due to the newly attitudes towards the solution of discussion issues and family legal relations itself through the way of acknowledging the legal procedure of processing the cases in separate form.

**The structure and content of dissertation.** The work includes introduction, five chapters and conclusion. The work is attached by the list of bibliography. The structure of theme gives possibility to completely elucidate the theoretic and practical aspects.

First chapter is related to the problem of equality between civil material and civil process

legislation and its impact on the procedural characteristics for examining the case rising due to the family legal relations.

Second chapter shows the characteristics for raising the claim at court and examination of it rising due to the family legal relations.

Third chapter examines the approval characteristics when examining the family cases through claim regulations.

Fourth chapter analyzes the characteristics for accepting and enforcing to the cases rising due to the family legal relations.

Fifth chapter examines the characteristics for examining the case rising due to the family legal relations taking place in leading European countries.

The results of dissertation survey are reflected in conclusions and recommendations, which are promoted through lots of legislative proposals – in civil process as well as civil material legislation for making amendments. The proposed recommendations being analyzed by legislator assist the examination of family cases in legislative regulation for making the legislation perfect and improve the existing gaps, and in practical aspect – making right solution for family cases, executing the court justice efficiently. Finally, these recommendations assist the examination of disputes rising due to the family legal relations, improvement of gaps made in practice and respectively, protecting the rights for subject taking place in family relations considering the requirements of modern standards (including – international ones) in real, right and modern way.



შესავალი.....	11
თავი I. სამოქალაქო მატერიალური და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანაფარდობის პრობლემა და მისი გავლენა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვის საპროცესო თავისებურებებზე.....	31
1.1. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გავლენა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებებზე.....	31
1.2. ზოგადი და სპეციალური საპროცესო ნორმების იურიდიული ბუნება და მათი გამოყენების თავისებურებანი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვისას.....	43
თავი II. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის სასამართლოში სასარჩელო წესით აღძვრისა და განხილვის თავისებურებანი.....	54
2.1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის სასამართლოში სასარჩელო წესით აღძვრის თავისებურებანი.....	54
2.2. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობა.....	65
2.3. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის განსჯადობის თავისებურებანი.....	76
2.4. საოჯახო საქმეთა სასამართლო განხილვისათვის მომზადების თავისებურებანი.....	82
2.5. საოჯახო საქმეთა სასარჩელო წესით განხილვაში მონაწილე სუბიექტები და მათი საპროცესო სტატუსი.....	89
2.5.1 საოჯახო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის გავლენა ამ სახის ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში მონაწილე სუბიექტებზე.....	89
2.5.2. არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე.....	101
თავი III. მტკიცების თავისებურებანი საოჯახო საქმეთა სასარჩელო წესით განხილვისას.....	108
3.1. მტკიცების თავისებურებანი მამობის დადგენის საქმეებზე.....	108

3.2. მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურება საოჯახო საქმეთა განხილვისას.....	121
3.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობა.....	137
თავი IV. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების თავისებურებანი.....	147
4.1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივების აუცილებლობის შესახებ.....	147
4.2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა საოჯახო საქმეებზე.....	150
4.3. სასამართლოს დროებითი განკარგულება საოჯახო საქმეებზე.....	154
4.4. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თავისებურებანი საოჯახო საქმეებზე.....	161
4.5. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმის განხილვის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე.....	163
4.6. მორიგების გზით საოჯახო საქმის განხილვის დამთავრების თავისებურება.....	166
თავი 5. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი ევროპის წამყვან ქვეყნებში.....	172
5.1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი გერმანიის სამართალში.....	172
5.2. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი საფრანგეთის სამართალში.....	178
დასკვნა.....	182
ბიბლიოგრაფია.....	194

## შესავალი

**ნაშრომის აქტუალობა.** სამოქალაქო საპროცესო ფორმის სრულყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საოჯახო დავებზე მართლმსაჯულების სათანადო დონეზე განხორციელების თვალსაზრისით. სამოქალაქო პროცესში სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს უნდა მოხდეს დავის მონაწილე მხარეთა უფლებების თანაბრად დაცვა, სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო უფლებების იმგვარად განხორციელება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რათა მართლმსაჯულება მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელდეს.

თემის შერჩევა განაპირობა საოჯახო დავების განხილვის საპროცესო თავისებურებების კვლევის აუცილებლობამ. საოჯახო ურთიერთობების მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები ქართულ სამართალში მეტ-ნაკლებად შესწავლილია. პროცესთან შედარებით მეტია ლიტერატურა, რომელშიც განხილულია საოჯახო საქმეთა მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტები. მართალია, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოების ცალკე სახედ არის გამოყოფილი, მაგრამ მონოგრაფიულად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული საოჯახო საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებანი. თავის მხრივ, ეს ფაქტორი განაპირობებს პრაქტიკაში არასწორ მიდგომას სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხისადმი, როგორც არის: მხარეთა სტატუსი, სარჩელის აღძვრის თავისებურებანი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების თუ დროებითი განკარგულების გამოტანის შესაძლებლობა და სხვა. ამასთან, არასწორი პრაქტიკის მიზეზი საკანონმდებლო დებულებათა დაუხვეწაობაც და ხარვეზიანობაც არის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულყოფილია საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლების დაცვის მექანიზმი.

როგორც აღვნიშნეთ, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვა სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოების ცალკე სახის ფარგლებში ხდება. სამართალწარმოების სახე არის მატერიალური უფლების ან

კანონიერი ინტერესის (რომელიც დაცულ უნდა იქნეს) ხასიათითა და სპეციფიკით განსაზღვრული, გარკვეული ჯგუფის სამოქალაქო საქმეთა აღმზრდის, განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესი.<sup>1</sup> ტრადიციულად, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო სამართალი სასამართლოს მიერ განსახილველ ყველა კატეგორიის სამოქალაქო საქმეს ყოფდა სასარჩელო წარმოების წესით განსახილველ საქმეებად, უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებად და ადმინისტრაციულ ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებად. თანამედროვე პერიოდში ეს უკანასკნელი წარმოება ცალკე გამოიყო, ხოლო, ტრადიციული წარმოების სახეებს როგორც არის სასარჩელო და უდავო წარმოება დაემატა გამარტივებული წესით განსახილველ საქმეები და საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები, რაც ჩვენი აზრით ცალკე სახეებია.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვის წესს სამართალწარმოების ცალკე სახედ მივიჩნევთ შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. კონსტიტუციის 30-ე მუხლის შესაბამისად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ოჯახს სახელმწიფო იცავს, რაც ფუძემდებლური მომენტია საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების დროს.

განსახილველი სახის სამართალურთიერთობათა მოწესრიგების ამოსავალი საწყისები (პრინციპები) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსში, რომლის მე-5 წიგნი მთლიანად საოჯახო სამართალს ეხება. ეს პრინციპები პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს კონსტიტუციის იმ დებულებიდან, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეიძლება გამოიკვეთოს ამ ურთიერთობათა რამდენიმე თავისებურება, კერძოდ: 1) საოჯახო ურთიერთობათა სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები; 2) საოჯახო სამართალურთიერთობები წარმოიშობა სპეციფიკური იურიდიული ფაქტებიდან:

---

<sup>1</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2015 წ., გვ. 26

ქორწინება, ნათესაობა, დედობა, მამობა, შვილებზე მეურვეობა და მზრუნველობა. საოჯახო უფლება-მოვალეობები შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ისეთი იურიდიული ფაქტებიდან, როგორცაა: საქორწინო ხელშეკრულება, ალიმენტის ოდენობის შესახებ შეთანხმება, რომელიც მიჩნეულია ყველაზე სტაბილურ და საიმედო გარანტიად საოჯახო ურთიერთობათა მხარეების უფლება-მოვალეობათა ნორმალურად დარეგულირების თვალსაზრისით<sup>2</sup> და სხვა; 3) საოჯახო ურთიერთობები, როგორც წესი, განგრძობადი ხასიათისაა; 4) საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მის მონაწილეთა ინდივიდუალიზაცია (მოცემულ ურთიერთობებში სხვა პირებით, მათ შორის – ოჯახის სხვა წევრებით, მათი შეცვლის შეუძლებლობა). აქედან გამომდინარე, საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები განუსხვისებელია, ისინი წარმოადგენს როგორც უნივერსალური უფლებამონაცვლეობის წესით, ისე მხარეთა შეთანხმებით გადაუცემელ უფლება-მოვალეობებს. შეუძლებელია მათი გაყიდვა, ჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა და ა.შ.; 5) საოჯახო ურთიერთობები შინაარსობრივად წარმოადგენს, პირველ რიგში, ქონებრივ ურთიერთობებს. ამასთან, საოჯახო სამართალში ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის უშუალოდაა დაკავშირებული პირადთან და გამომდინარეობს მისგან.<sup>3</sup>

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობები კლასიფიცირდებიან შემდეგ ჯგუფებად:

1. პირველი ჯგუფი ითვალისწინებს მეუღლეთა უფლებებს დაამყარონ ერთმანეთთან ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა (შეთანხმდნენ ყიდვა-გაყიდვაზე, ჩუქება, გაცვლა, საქორწინო კონტრაქტი, მემკვიდრეობით ურთიერთობაში შესვლა და სხვ.);
2. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ქონებრივი უფლებების წარმოშობას, რაც მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს;
3. მესამე ჯგუფს განეკუთვნება მეუღლეთა ვალდებულებებს, რომელიც ეხება რჩენის საკითხს (ალიმენტი).<sup>4</sup>

<sup>2</sup> *Cohen Y.*, Issues Subject to Modification in Family Law: A New Model, Ono Academic College, Columbia Law School, 2013, 6, <<http://papers.ssrn.com/sol3/DisplayAbstractSearch.cfm>> [10.09.13].

<sup>3</sup> ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი, თბ., 2000, გვ. 16-18

<sup>4</sup> <https://uslugijurista.ru/semeynye-dela-i-spory>

კონსტიტუციურად ოჯახს იცავს სახელმწიფო. მსოფლიოს მასშტაბით ოჯახი განისაზღვრება, როგორც ფუნდამენტალური რგოლი, რაც აისახა 1948 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“. ყოველგვარ დავას, რაც ოჯახის შიგნით წარმოიშობა წყვეტს პირველ რიგში ოჯახი, რა დროსაც ხდება პრიორიტეტის მინიჭება არასრულწლოვანი ბავშვებისათვის, შრომისუუნარო მეუღლეებისათვის, მშობლებისათვის და სხვა ოჯახის წევრებისათვის. ოჯახი წევრები თვითონ განსაზღვრავენ, როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები, რაც იმაში მდგომარეობს არ დაეთანხმონ ოჯახი საერთო აზრს ან დაემორჩილონ მას. თუმცა ეს დანაწესი არ ეხება შრომისუუნარო მშობლებს ან არასრულწლოვნებს, რომელთა უფლებების დაცვა ხდება პრიორიტეტულად, სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობით.

საოჯახო დავების ღრმა ანალიზი, და მათ არსში ჩაწვდომა, შეუძლებელია თუ არ იქნა გაანალიზებული პრინციპული წესები, რომლებსაც ემყარება არამარტო საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, არამედ მათზე დამყარებით ხდება ასევე იმ დავების გადაწყვეტა, რომლებიც აღნიშნული ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.<sup>5</sup>

საოჯახო ურთიერთობები წესრიგდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად: 1) ქალისა და მამაკაცის ქორწინების ნებაყოფლობითობა; 2) მხოლოდ სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინების აღიარების პრინციპი; 3) განქორწინების თავისუფლების პრინციპი; 4) ოჯახში მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა; 5) ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა;<sup>6</sup> 6) ოჯახის წევრთა უფლებებისა და ინტერესების პრიორიტეტულად დაცვა; 7) ერთქორწინების, ანუ მონოგამიის პრინციპი. ეს პრინციპები განაპირობებენ საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებებს.<sup>7</sup>

დასახელებული პრინციპების დაცვის აუცილებლობა ნათლად ჩანს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე ბავშვის უფლებებთან და

<sup>5</sup> <https://cyberleninka.ru/article/n/semeynye-spory-kak-obekt-alternativnogo-uregulirovaniya/viewer>

<sup>6</sup> საყურადღებოა ამ თვალსაზრისით სტრასბურგის სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია N 71776/12 განაცხადზე - ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც შეფასდა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და დადგინდა რომ ბავშვების აზრი არ იქნა გათვალისწინებული და სულ რაღაც ერთხელ მოინახულა ისინი სოციალურმა მუშაკმა.

<sup>7</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2015, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 542

მშობლად ყოფნის უფლებებთან მიმართებით, რომლის მიხედვით, ოჯახური ცხოვრების ცნება წარმოადგენს დამოუკიდებელ ცნებას. კანონით არ არის განსაზღვრული ოჯახური ცხოვრების ცნება. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, იგი მოიცავს შემდეგს: მშობლად ყოფნის უფლება - აღნიშნული უფლება, ისევე როგორც პირადი ცხოვრების ცნება, მოიცავს პირის უფლებას, დაცული იქნეს თავისი გადაწყვეტილებები გახდეს გენეტიკური მშობელი.<sup>8</sup> შესაბამისად, წყვილის უფლება გამოიყენოს სამედიცინო ჩარევა ნაყოფის ჩასახვის მიზნით, ექცევა მე-8 მუხლის ფარგლებში, როგორც პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატულება.<sup>9</sup> თუმცა, თავისთავად მე-8 მუხლის დებულებები ვერ უზრუნველყოფენ ოჯახის შექმნისა და არც შვილად აყვანის უფლებას. აღსანიშნავია კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის: დაქორწინებული წყვილის ოჯახში გაჩენილი ბავშვი წარმოადგენს ამ ურთიერთობის *ipso jure* ნაწილს, რამდენადაც, ბავშვის დაბადების მომენტიდან და ამ ფაქტიდან გამომდინარე, არსებობს კავშირი ბავშვსა და მშობლებს შორის, რომელიც საკმარისია „ოჯახური ცხოვრების“ დასადგენად და რომელიც არ გაწყდება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.<sup>10</sup>

აღსანიშნავია, რომ „ოჯახური ცხოვრება“ არ მოიცავს მხოლოდ სოციალურ, მორალურ ან კულტურულ ურთიერთობებს; ის, აგრეთვე, მოიცავს, მატერიალური სახის ინტერესებს, რაც სხვა დანარჩენთან ერთად, გამოხატულია, ურთიერთრჩენის ვალდებულებაში და იმ ვალდებულებაში, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უმეტესობას ასახული აქვს ეროვნულ კანონმდებლობაში ქონების გარკვეული ნაწილის მინიჭების სახით (ფრანგულად “*réserve héréditaire*“). ამგვარად, მემკვიდრეობის უფლება შვილებსა და მშობლებს შორის და ბებია-პაპებსა და შვილიშვილებს შორის,

---

<sup>8</sup> Dickson v. the United Kingdom [GC], §66; (Application no. 44362/04) 4.12.2007; E.L.H. and P.B.H. v. the United Kingdom, nos. 32094/96 and 32568/96, Commission decision of 22 October 1997, DR 91-A, p. 61; Kalashnikov v. Russia (dec.), no. 47095/99, ECHR 2001-XI; Aliev v. Ukraine, no. 41220/98, § 187-89, 29 April 2003; Evans v. the United Kingdom [GC], no. 6339/05, §71-72, ECHR 2007-I.

<sup>9</sup> S.H. AND OTHERS v. AUSTRIA; §60; 3.11.2011 (Application no. 57813/00)

<sup>10</sup> CASE OF AHMUT v. THE NETHERLANDS, 28.11.1996; (Application no. 21702/93)

იმდენად მჭიდრო კავშირშია ოჯახურ ცხოვრებასთან, რომ ექცევა მე-8 მუხლის ფარგლებში.<sup>11</sup>

სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების სამართლებრივ აღიარებასთან მიმართებით აღსანიშნავია საქმეები: მენესონი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ და ლაბასი საფრანგეთის წინააღმდეგ. წინამდებარე საქმეები შეეხებოდა საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებაზე უარს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სუროგაციის შედეგად წარმოიშვა. საჩივრის ავტორები უთითებდნენ, რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესებისათვის ზიანის მიყენებით, მათ არ შეეძლოთ საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობის აღიარება მოეპოვებინათ, რომელიც სამართლებრივად საზღვარგარეთ წარმოიშვა. ევროპულმა სასამართლომ შემდგომში ორივე საქმეში მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, რომელიც ეხებოდა ბავშვთა უფლებას, პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ, რომ ბავშვები ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულნი იყვნენ როგორც საჩივრის ავტორთა შვილები, მათ ეს სტატუსი ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით არ მიეკუთვნათ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს წინააღმდეგობა ფრანგულ საზოგადოებაში ექვეყნებოდა ბავშვების იდენტობას. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სასამართლო პრაქტიკა სრულებით გამორიცხავდა სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას კანონიერი სუროგაციის შედეგად უცხოეთში დაბადებულ ბავშვებსა და მათ ბიოლოგიურ მამას შორის. აღნიშნული აქარბებდა სახელმწიფოებისთვის იმ სფეროში მინიჭებულ ფართო შეფასების ზღვარს, რომელიც სუროგაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს შეეხებოდა.<sup>12</sup>

მნიშვნელოვანი განმარტება გადმოსცა სტრასბურგის სასამართლომ საქმეში ლაბორი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (საჩივარი №44024/13), რომელიც შეეხებოდა საფრანგეთში ფრანგი წყვილის მიერ მათსა და უკრაინაში სუროგაციის

<sup>11</sup> MARCKX v. BELGIUM, §52, 13.06.1979 (Application no. 6833/74)

<sup>12</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf>



შედეგად დაბადებულ ბავშვს შორის მშობლისა და შვილის კავშირის აღიარების მოპოვების შეუძლებლობას, ასევე, საქმეებზე ფულონი საფრანგეთის წინააღმდეგ (საჩივარი ნომ. 9063/14) და ბუვეტი ს აფრანგეთის წინააღმდეგ, რომლებიც შეეხებოდა სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის მშობლისა და შვილის კავშირის აღიარების მოპოვების შეუძლებლობას.<sup>13</sup>

ქართული კანონმდებლობის მიხედვით მეუღლეთა შორის საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით რეგისტრირებული ქორწინება. „ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის აქტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცისა და ქალის კავშირი იძენს საზოგადოებრივ აღიარებას და დაცვას სახელმწიფოს მხრიდან, როგორც კანონის შესაბამისად განხორციელებული მოქმედება“.<sup>14</sup> ამასთან, დაუშვებელია ქორწინების და ოჯახის ცნების აღრევა. ოჯახი შესაძლოა ერთი პირისაგან შედგებოდეს. ამ გამიჯვნას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ სამართლებრივი შედეგი უკავშირდება არამარტო ქორწინებას, არამედ ოჯახის არსებობას. ამიტომ, არასწორია მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ოჯახი არის საბაზისო სოციალური გაერთიანება (basic social unit), იგი შედგება, სულ ცოტა, ორი ადამიანისაგან, რომელთა ნათესაობაც შესაძლოა სხვადასხვა კატეგორიაში მოექცეს“.<sup>15</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკა და პრინციპები მატერიალურ სამართალში განაპირობებს ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის თავისებურებებს სამოქალაქო საპროცესო სამართალში,<sup>16</sup> რაც ჩვენი აზრით, საფუძველს იძლევა, აღნიშნული ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვის წესები სამართალწარმოების ცალკე სახედ მივიჩნიოთ, ეს ფაქტორი კი საკვლევ თემას აქტუალურს ხდის.

<sup>13</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlebebi5.pdf>

<sup>14</sup> იქვე გვ. 22

<sup>15</sup> *Lowe N.V.*, Bromley's family law, Ninth Edition, Publishing Ltd.: London, London, Butterwirths, 1998, Chapter 1, 1.

<sup>16</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2015 წ., გვ. 522

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებების ცალკე სახედ მიჩნევა არის ნაშრომის სიახლე. საპროცესო სამართლებრივ ნორმათა სიახლითაც შეიძლება აიხსნას უფლების დაცვის მექანიზმის არასრულყოფილება, რაც ნაშრომს აქტუალურს ხდის. სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებების მომწესრიგებელი რიგი საპროცესო ნორმა არ არის სრულყოფილი. საოჯახო დავების განხილვას კი მყარი საპროცესო საფუძველი ესაჭიროება.

სახელდობრ, არასრულყოფილად არის მოწესრიგებული და, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობრივადაც კი, ე. წ. საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტი, რომლის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი, კერძოდ კი, სამოქალაქო სამართლის სამოქალაქო საპროცესო სამართალზე გავლენის კუთხით, აშკარად წარმოაჩენს ამგვარ წინააღმდეგობას. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგა იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდგომში - სსკ) სამოქალაქო კოდექსზე (შემდგომში ტექსტში - სკ) გვიან ამოქმედდა და უფრო ახალი აქტია. მიუხედავად ამისა, მან არ გაითვალისწინა ე. წ. საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტი. საპროცესო მოსარჩელე სასამართლოს სხვა პირების (და არა თავისი) უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართავს. ასეთი მოსარჩელის მიერ სარჩელის შეტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო მატერიალური კოდექსი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი მე-2 მუხლში თითქოსდა ავიწროებს მოსარჩელეთა წრეს, რადგან სარჩელის აღძვრას, საკუთარი უფლებისა და დაცვის მიზნით, დამოკიდებულს ხდის სასამართლოსადმი მიმართვაზე.

პრობლემურია მტკიცებულებათა გამოთხოვის საკითხში სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა. საოჯახო საქმეებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხისადმი მიდგომა პრაქტიკაში სხვადასხვაგვარია. არ არსებობს ერთიანი მიდგომა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობის შესახებ, შესამუშავებელია წინადადებები

განტვირთვის მექანიზმების შესახებ, შესასწავლია სამართალწარმოების გამოსაკვლევ სახეში მატერიალური ნორმების გავლენის საკითხი და სხვა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს მეცნიერული მიდგომა, ეს კი შესაძლებელია მოცემულ პრობლემებზე არსებული თეორიული და პრაქტიკული მასალის გაანალიზებით.

**კვლევის საგანი.** ნაშრომში გამოკვლეულია სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენების პრობლემები. ამგვარი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების სასამართლო წესით განხილვისას.

თუმცა საოჯახო უფლების სასამართლო წესით დაცვა არ არის უფლების დაცვის ერთადერთი გზა. საინტერესოა საოჯახო უფლების თვითდაცვის შესაძლებლობის საკითხიც. უფლების თვითდაცვის დროს პირი თვითონ ახორციელებს თავისი უფლების დაცვას სასამართლოსადმი თუ სხვა კომპეტენტური ორგანოსადმი მიმართვის გარეშე. იბადება კითხვა, შესაძლებელია თუ არა საოჯახო უფლების თვითდაცვა? საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გაანალიზება ცხადყოფს, რომ საოჯახო სამართალშიც არის დასაშვები უფლების თვითდაცვა. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ცალკე მცხოვრები მშობელი თვითონ, დამოუკიდებლად ჩამოართმევს ბავშვს მეორე მშობელს, იმ შემთხვევაში, თუკი მას გაუჩნდება ეჭვი, რომ მეორე მშობელი არ უზრუნველყოფს ბავშვის არსებობას ჯეროვანი დონის პირობებით ან სხვა საშუალებებით არღვევს ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლში მითითებულია, რომ ყველას აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და რჩება შთაბეჭდილება, თითქოსდა უფლების დაცვის ერთადერთი ფორმა უფლების სასამართლო წესით დაცვაა, თუმცა, ქართული კონსტიტუციის არსიდან გამომდინარე, დასაშვებია უფლების დაცვა ნებისმიერი კანონიერი საშუალებით, მათ შორის – თვითდაცვის გზით. ჩვენი ნაშრომი კი ეხება საოჯახო უფლებების სასამართლო წესით დაცვის თავისებურებებს.

საჭიროა პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს საოჯახო დავის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსიც, რათა უკეთ გავერკვეთ ამგვარი დავის სასამართლო წესით განხილვის პროცედურის თავისებურებაში, სპეციფიკაში.

იქიდან გამომდინარე, რომ საოჯახო უფლებათა დაცვის გამო წარმოშობილი დავების პრობლემა მრავალ ასპექტს მოიცავს და ყველა მათგანის წარმოჩენა შეუძლებელია ნაშრომის მიზნის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლები შეზღუდულია საოჯახო დავებში სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენების თავისებურებებით. ამდენად, აუცილებელია საპროცესო ნორმების ერთნაირად გამოყენება სამოქალაქო პროცესში.

ამასთან, საპროცესო სამართალზე მატერიალური სამართლის გავლენის განსაზღვრა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიკვლიოთ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის საპროცესო წესით რეგულირების პრობლემა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებით სამოქალაქო საპროცესო სამართალში არა მარტო უამრავი ახალი ინსტიტუტი და ნორმა იქნა შემოღებული, რომლებსაც მანამდე არსებული საბჭოთა სამოქალაქო პროცესი არ იცნობდა, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განისაზღვრა სამართალწარმოების ახალი სახეებიც. ცვლილებების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, სამართალწარმოების კლასიკურ სახეებს, როგორც არის სასარჩელო და უდავო<sup>17</sup> წარმოება, დაემატა გამარტივებული სამართალწარმოება და საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა წარმოება. სამართალწარმოების დასახელებული ოთხი სახეობიდან ქართულ

---

<sup>17</sup> უდავო წარმოება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში განსაკუთრებული წარმოების სახელით იყო ცნობილი. მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამკვიდრდა იურიდიული ტერმინი „უდავო წარმოება“. თუმცა ტერმინი „განსაკუთრებული წარმოება“ გვხვდება სამოქალაქო მატერიალურ კოდექსში. ეს იმით არის განპირობებული, რომ სამოქალაქო კოდექსი უფრო ადრე იქნა მიღებული, ვიდრე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ხოლო დღეს მოქმედ სამოქალაქო კოდექსზე გავლენა მოახდინა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისას ჯერ კიდევ ძალაში მყოფმა საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა (1964 წლის რედაქცია).

სამართალში მონოგრაფიულად გამოკვლეულ იქნა სასარჩელო,<sup>18</sup> უდავო<sup>19</sup> და გამარტივებული წარმოება<sup>20</sup>. რაც შეეხება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა სარჩელის საფუძველზე წარმოებას, თავისი პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, არ გამოკვლეულა, რაც ნაშრომს აქტუალობას სძენს. საოჯახო საქმეთაგან სხვადასხვა დროს საქართველოში გამოკვლეულ იქნა შვილად აყვანის პრობლემატიკა.<sup>21</sup> თუმცა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, შვილად აყვანის საქმე უდავო წარმოების წესით განიხილება. წინამდებარე დისერტაცია კი საოჯახო სამართლის რომელიმე ინსტიტუტის გამოკვლევას კი არ ეხება მატერიალური სამართლებრივი კუთხით, არამედ საოჯახო საქმეთა სასარჩელო წესით განხილვის თავისებურებებს ეხება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა არაფერია, თუ არა სამოქალაქო ურთიერთობები, ხოლო საოჯახო ნორმა სხვა არაფერია, თუ არა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა. ამიტომ, როდესაც ნაშრომში საუბარია საოჯახო ნორმებსა და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობაზე, ამით ხაზი ესმება იმას, რომ საუბარია კონკრეტული ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებებზე, რაც სრულებით არ ნიშნავს საოჯახო ურთიერთობების გამოცალკევებას სამოქალაქო ურთიერთობისაგან. საუბარია მარტოოდენ საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებებზე. საოჯახო ურთიერთობათა მატერიალურ სამართლებრივ ასპექტებს ქართულ სამართალში სხვადასხვა დროს მრავალი მეცნიერი შეეხო, თუმცა, როგორც ითქვა,

---

<sup>18</sup> ზ. ძლიერიშვილი, უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერ- ებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 1999 წ.

<sup>19</sup> დ. იმნაძე, უდავო წარმოების პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნი- ერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2002 წ.

<sup>20</sup> შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2003 წ.

<sup>21</sup> იხილეთ: ლელა ნადიბაიძე, შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1998 წ., ასევე ქეთევან კუხიანიძე, შვილად აყვანა ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში და ამ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2017 წ.

სპეციალური კვლევა საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის საპროცესო ასპექტებისა – არ განხორციელებულა.

როგორც ცნობილია, სამართლის დაყოფა ხდება მატერიალურ და საპროცესო სამართლად. საპროცესო სამართალი განეკუთვნება პროცესუალურ დარგს. მატერიალური სამართლის დარგები, თავის მხრივ, იყოფა მარეგულირებელ და დაცვითი ფუნქციის მქონე დარგებად. სამოქალაქო სამართალი მარეგულირებელი ფუნქციის მქონე დარგია. მაშასადამე, ამგვარი ფუნქცია აქვთ მასში განთავსებულ საოჯახო სამართლის ნორმებს. აღნიშნული დარგის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ მისი ნორმები არეგულირებს შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. დაცვითი ფუნქციის მქონე სამართალი კი მოიცავს ამკრძალავ ნორმებს.

საოჯახო სამართლის ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სამართალი ამგვარი ურთიერთობების რეგულირებისას, დისკოზიციური ხასიათის ნორმებთან შედარებით, უფრო მეტად იმპერატიული ხასიათის ნორმებს იყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საოჯახო სამართლის ნორმები არ უშვებს საოჯახო სამართლის სუბიექტთა, ანუ მხარეთა შორის შეთანხმებას ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რაც მოწესრიგებულია კანონით დადგენილი წესებითა და პირობებით. ასეთ ნორმებს განეკუთვნება: ქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები; ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლები, წესი და შედეგები; მშობლებსა და შვილებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები; მამობის დადგენის წესი და პირობები; მშობლის უფლების ჩამორთმევის წესი და პირობები და ა. შ. ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ საოჯახო საქმეთა განხილვისას, მაგალითად, მორიგების საკითხის გადაწყვეტისას და სხვა.

საოჯახო სამართლის სტრუქტურის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მისი რეგულირების სფეროს განეკუთვნება არა მარტო სამართლის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებს, არამედ სამოქალაქო საპროცესო ხასიათის წესებიც. საინტერესოა არა მარტო მატერიალური ნორმების სამოქალაქო საპროცესო სამართალზე გავლენის კვლევა, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა

და სამოქალაქო მატერიალურ კოდექსში ასახული საპროცესო ნორმების თანაფარდობის გამოკვლევაც.

როდესაც ხდება პროცესუალური ნორმების შეტანა საოჯახო სამართლის სტრუქტურაში, ეს, მართალია, ერთი შეხედვით არღვევს აღნიშნული დარგის სპეციფიკას, მაგრამ ამავე დროს განპირობებულია აუცილებლობით. საქმე ისაა, რომ საოჯახო დავების გადაწყვეტა ხდება სპეციფიკური პროცესუალური წესებით.

სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნში, რომელიც საოჯახო სამართალს ეხება, გვხვდება სპეციალური პროცესუალური ნორმები. მატერიალური სამართლის კანონში, ე. ი. სამოქალაქო კოდექსში ამგვარი ნორმების ასახვის მიზანი კი არის, გაუმჯობესდეს საოჯახო უფლებების სასამართლო წესით დაცვა.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი დაკავშირებულია სამართლის მატერიალურ დარგებთან. ეს კავშირი არ არის ერთმნიშვნელოვანი. მას ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო სამართალთან, რაც აისახება არა მარტო ცალკეულ საპროცესო ინსტიტუტზე, არამედ სამოქალაქო პროცესის პრინციპებზე. სამოქალაქო პროცესში მოქმედ დისპოზიციურობის პრინციპზე გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართალში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპი. სამოქალაქო სამართლის გავლენა პროცესზე ჩანს ბევრ საპროცესო ინსტიტუტში: სარჩელის აღძვრაში, პროცესის სუბიექტებში, მათ საპროცესო უფლება-ქმედუნარიანობაში, მტკიცების წესებში და სხვ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზანია უზრუნველყოს სამოქალაქო უფლებების დაცვა და სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვა.

პროცესუალური რეგულირების განვითარება და უფლებების სასამართლო წესით დაცვის გაფართოება განაპირობებს სამოქალაქო საპროცესო ფორმის უნივერსალობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება არა მარტო სამოქალაქო, არამედ შრომითი და სხვა უფლებების დაცვა. სამოქალაქო საპროცესო ფორმის ფარგლებში განიხილება საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა უმრავლესობა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი

საოჯახო საქმე ადმინისტრაციული წესით განიხილება. ე. ი. საოჯახო საქმეთა გადაწყვეტის სასამართლო და ადმინისტრაციული წესი არსებობს.

პროცესუალური ფორმა საქმეში მონაწილე დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფს დავის სწორად განხილვას, ასევე – იმას, რომ დაცულ იქნეს მხარეთა პროცესუალური უფლებებისა და ვალდებულებების თანასწორობის პრინციპი. სასამართლო ვალდებულია ფაქტობრივი გარემოებების სათანადო წესების მეშვეობით, დამტკიცებით, საქმე სწორად გადაწყვიტოს.

საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესუალურ რეგულირებაში ვლინდება საპროცესო დარგის სირთულე, სადაც შეიძლება გამოვკვეთოთ შემდეგი ფაქტორები: 1) მატერიალური სამართლის თავისებურებანი, რომლებიც გავლენას ახდენს პროცესუალურ ფორმაზე; 2) სასამართლოს სტატუსი და მის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულების სპეციფიკა.

ამ ნიშნებით შეიძლება დახასიათდეს სამოქალაქო სამართლის კავშირი საპროცესო სამართალთან.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია საოჯახო საქმეებზე განხორციელებული სამართალწარმოების სპეციფიკის (თავისებურებების) შესწავლა და არა იმ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრობლემის შესწავლა, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნში (საოჯახო სამართლის წიგნი). თუმცა ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია სამართალწარმოების გამოსაკვლევ სახეზე შესაბამისი მატერიალური ნორმების გავლენის გათვალისწინების გარეშე, ე. ი. მატერიალური და საპროცესო სამართლის კავშირის გათვალისწინების გარეშე.

კვლევის პროცესში გამოკვეთილია მეტად აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება საოჯახო დავების გადაწყვეტის საპროცესო თავისებურებებს:



### **კვლევის ამოცანა:**

1. სამართალწარმოების საკვლევ სახეზე მატერიალური ნორმების გავლენის განსაზღვრა;
2. არსებული იმ საპროცესო წესებისა და მექანიზმების მიზანშეწონილობისა და სისწორის საკითხის კვლევა, რომელიც ზოგადად უფლების დაცვის და, კერძოდ კი, საოჯახო უფლების დაცვის შესაძლებლობას შეეხება;
3. საოჯახო დავებში მონაწილე სუბიექტების სტატუსის და უფლებამოსილებების განსაზღვრა;
4. საერთო მიდგომის ჩამოყალიბება საოჯახო დავების განხილვის მომწესრიგებელი ზოგიერთი ნორმის განმარტებისადმი;
5. კანონმდებლობის ანალიზი პრობლემური სამართლებრივი შემთხვევების მოწესრიგების სრულყოფის თვალსაზრისით.

ამის გამო აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, რომელიც ყველაზე უფრო სარწმუნო ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად სწორია კანონით შემოთავაზებული მექანიზმი საოჯახო უფლებების სასამართლო წესით დაცვის კუთხით.

**კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები.** კვლევის პროცესში გამოყენებულია ისტორიული, ლოგიკური, სისტემატური, დოკუმენტური, კომპარატივისტიკის, სინთეზის, აბსტრაგირების, კონკრეტიზაციის, ანალიზის, ინდუქციის, დედუქციის, ანალოგიის და ფორმალურ-იურიდიული მეთოდები.

დასახელებული მეცნიერული კვლევის მეთოდები გამოიყენება როგორც ემპირიულ, ასევე თეორიულ დონეზე.

დოკუმენტების საფუძველზე განხორციელებული კვლევის მეთოდი გულისხმობს სამეცნიერო ლიტერატურის, კანონმდებლობის, კონვენციებისა და ანალიტიკური მასალის შესწავლას.

პრობლემატიკის კვლევისას ისტორიზმის მეთოდის გამოყენებამ დაგვანახა, თუ რა მიმართულებით ვითარდება საქართველოში საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის ინსტიტუტი.

ანალიზის მეთოდის მეშვეობით გაანალიზდა საოჯახო საქმეთა განხილვისას წამოჭრილი საკითხების მიმართ შესაფარდებელი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. ესენია: კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია“ და სხვა საერთაშორისო აქტები.

კომპარატივისტიკის მეთოდი: გამოსაკვლევ საკითხთან მიმართებაში ჩვენ შევადარეთ საქართველოში დღეს მოქმედი სამართლებრივი ნორმები საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ საოჯახო საქმეთა განხილვის მომწესრიგებელ ნორმებს. შედარების მეთოდის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს საკვლევი ობიექტის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

აბსტრაგირება: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან, ასევე სამოქალაქო კოდექსიდან გამოყოფილ იქნა ნორმები, რომლებიც სასურველია დაიხვეწოს და პრაქტიკულად გამოვიყენოთ.

დაკონკრეტება: კვლევის შედეგად გამოვლინდა ის პრობლემები, რომლებიც აფერხებს საოჯახო საქმეებზე მართლმსაჯულების განვითარებასა და მატერიალურ და საპროცესო ნორმათა პრაქტიკულ გამოყენებას.

ინდუქცია: საოჯახო სამართლის ნაწილში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების შევსება ქართული სამართლისა და ცივილური აზროვნების, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის შედეგად დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, გამოიწვევს ქართული კანონმდებლობის დაახლოებას საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებულ ნორმებთან, რაც ხელს შეუწყობს საოჯახო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის გაუმჯობესებას.

დედუქცია: უცხოურ სამართალში არსებული ზოგიერთი წესის, რომელიც შეეხება საოჯახო საქმეებზე მონაწილე პირთა უფლებებს, ქართულ კანონმდებლობაში ასახვა გამოიწვევს საოჯახო საქმეთა განხილვის პროცედურის გაუმჯობესებას და დახვეწას. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საოჯახო დავაში მონაწილე პირთა, განსაკუთრებით ბავშვების, ინტერესების უკეთ დაცვას.

ნაშრომის პრაქტიკული ნაწილის დამუშავებისას გამოყენებულია ემპირიული მეთოდი.

კვლევის წყაროს წარმოადგენს, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების შრომები და პუბლიკაციები, ქართული და უცხოური კანონმდებლობა, ასევე სასამართლო პრაქტიკის მასალები.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს როგორც იმ ავტორთა შრომები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში ეხებიან საოჯახო ნორმების გამოყენების მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო-სამართლებრივ ასპექტებს, ისე წმინდა საპროცესო ხასიათის ნაშრომთა ავტორების მეცნიერული და პრაქტიკული დებულებები. მაქსიმალურად არის გამოყენებული ქართველ ავტორთა შრომები, მათ შორის არიან: ვ. ხრუსტალი, თ. ლილუაშვილი, ზ. ძლიერიშვილი, ი. გაგუა, ს. ჩხაიძე, შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ფ. ბასილაია, რ. შენგელია, ე. შენგელია, ი. მერებაშვილი, ლ. ნადიბაიძე, შ. ჩიკვაშვილი და სხვები.

**კვლევის სიახლე, შედეგები, ძირითადი დებულებები.** შედარებითი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული საოჯახო უფლების დაცვის თანამედროვე მექანიზმის შედარება მანამდე არსებულ მოწესრიგებასთან, უცხოურ გამოცდილებასთან. ამგვარი კომპლექსური კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა მკაფიოდ გამოკვეთილიყო საოჯახო უფლების დაცვის არსებული მექანიზმის სიახლე, აგრეთვე მისი შესაბამისობა არსებულ რეალიებთან.

საოჯახო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის სფეროებია, რომლებშიც სამართლის სხვა სფეროებზე უწინარესად წარმოიშობა ახალი ურთიერთობები, შესაბამისად, წარმოიშობა მათი მოწესრიგების აუცილებლობაც.

ამიტომ დასახელებულ სფეროებში სასამართლო პრაქტიკაა სამართლის ნორმათა შეცვლის საჭიროების ძირითადი მაჩვენებელი.

შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა, სწორად გადაიჭრას საოჯახო საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებების განსაზღვრისას წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემები.

კვლევის შედეგად შემოთავაზებულია და დასაცავად გატანილია ქვემოთ მოცემული ფუნდამენტური წინადადებები (დებულებები), რომლებიც დეტალური რეკომენდაციებისა და დასკვნების სახით ასახულია დისერტაციის დასკვნით ნაწილში. ამ დებულებებით შეიძლება შეივსოს ან შეიცვალოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ასახული ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს უფლების სასამართლო წესით დაცვის მექანიზმს იმ დავებში, რომლებიც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშობა. კერძოდ:

1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XL III თავში, აღნიშნულ საქმეთა სამართალწარმოების ცალკე სახედ მიჩნევას განაპირობებს;

2. სასამართლოთა განტვირთვის მიზნით აუცილებელია ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმეზე (მაგალითად, ქორწინების შეწყვეტის, ალიმენტის დაკისრების) მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივება. ქორწინების შეწყვეტის საქმეები სულაც ამოღებული უნდა იქნეს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობიდან, რათა ფორმალური საფუძვლებით არ მოხდეს ამ კატეგორიის საქმეთა სხვადასხვა ინსტანციაში განხილვა და ამით სასამართლოების გადატვირთვა, ასევე განქორწინების მსურველი მეუღლის კანონიერი უფლებების დაცვის გაჭიანურება. შესაბამისად, დისერტაციაში შემოთავაზებულია სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის შემცირების ხარჯზე ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმის ადმინისტრაციულ ორგანოთა იურისდიქციაში მოქცევა;

3. გაფართოებას მოითხოვს საოჯახო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევები;

4. გაფართოებას მოითხოვს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში მოცემული მტკიცებულებების ჩამონათვალი იმ მიმართებით, რომ მას დაემატოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა, როგორც მტკიცებულების ცალკე სახე;

5. იქიდან გამომდინარე, რომ მატერიალური სამოქალაქო სამართალი გავლენას ახდენს სამოქალაქო საპროცესო სამართალზე, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს საოჯახო საქმეებში, აუცილებელი ხდება უფლების დაცვის საპროცესო ფორმის სრულყოფა და უფლების სასამართლო წესით დაცვის გაფართოება, რისი საჭიროებაც წარმოჩენილია დისერტაციაში, რამეთუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ძალზე ავიწროებს პროცესის ინიცირების უფლების მქონე პირთა წრეს. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შემოთავაზებულია „საპროცესო მოსარჩელის“ ინსტიტუტთან მიმართებაში პროცესის ინიცირება მოხდეს არამხოლოდ იმ პირთა მიერ, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, არამედ იმ სუბიექტთა მიერაც, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ თავიანთი სახელით, მაგრამ სხვა პირთა უფლებების დასაცავად. ამ ინსტიტუტის სრულყოფილ ფუნქციონირების აუცილებლობას განაპირობებს სწორედ მატერიალური და საპროცესო სამართლის ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა. თავის მხრივ, ზემოაღნიშნული ინსტიტუტის შემოღება გარდაუვალად განაპირობებს საპროცესო მოსარჩელეთა უფლებების მკაფიო ფიქსირების აუცილებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსში;

6. მატერიალური და საპროცესო სამართლის ურთიერთკავშირის ანალიზით, რაც კვლევისას გარდაუვალია, წარმოჩენილია როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ნორმების ხარვეზული დებულებები და ამგვარი დებულებებით გამოწვეული არასწორი სასამართლო პრაქტიკა და შემოთავაზებულია აღნიშნულ ნორმათა, ასევე სასამართლო პრაქტიკის სრულყოფის გზები და სხვადასხვა სუბიექტთა კანონიერი უფლებების

დაცვის გაფართოების მიზნით წინადადებები. მაგალითად, იძულებით მომხდარი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის აღმძვრელ პირთა წრე დაუსაბუთებლად არის შევიწროებული მოქმედი კანონმდებლობით;

7. მამობის დადგენის საქმეებზე შემოთავაზებულია ექსპერტიზის ხარჯებისგან მოსარჩელის გათავისუფლება, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

დასახელებული სიახლეები, რომლებიც კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა, დეტალურად არის დასაბუთებული ნაშრომში და შემუშავებული რეკომენდაციები სწორედ აღნიშნული სიახლეებიდან გამომდინარეობს.

**კვლევის პრაქტიკულ და თეორიულ მნიშვნელობას** განაპირობებს მასში დასმული პრობლემების აქტუალობა და იმ დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელთა გამოყენებაც ეფექტურს გახდის სასამართლოს საქმიანობას და უფლების დაცვის არსებულ მექანიზმს.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია კანონმდებლობის შემუშავებისას. ამ დასკვნებისა და წინადადებების გამოყენება ასევე შესაძლებელია სწავლების პროცესშიც, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე.

თავი I. სამოქალაქო მატერიალური და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანაფარდობის პრობლემა და მისი გავლენა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვის საპროცესო თავისებურებებზე

### 1.1. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გავლენა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებებზე

მატერიალური ნორმები გავლენას ახდენენ ზოგადად კერძო სამართლებრივი, მათ შორის, ცხადია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე (უწყებრივ ქვემდებარეობაზე, სარჩელის ინსტიტუტზე, პროცესის სუბიექტებზე, მტკიცების წესებზე).

ამ საპროცესო ინსტიტუტების რეგულირებისას გამოიკვეთება სხვადასხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმისათვის დამახასიათებელი პროცესუალური თავისებურებები. ამიტომ მიზანშეწონილია გამოკვლევულ იქნეს მათი გავლენა აღნიშნულ პროცესუალურ ინსტიტუტებზე. ასეთი გავლენის გათვალისწინების შედეგად შეიძლება განისაზღვროს სამართალწარმოების ზოგადი და სპეციალური წესები, რომელთა სწორი გამოყენება უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის განვითარებას კანონის შესაბამისად და პირთა უფლებების დაცვით.

სამოქალაქო პროცესზე მატერიალური სამართლის გავლენა ხორციელდება უპირატესად ინსტიტუტებისა და ცალკეული ნორმების დონეზე.

როდესაც საუბარია კავშირებზე პროცესუალურ და მატერიალურ ინსტიტუტებს შორის, საინტერესოა გაირკვეს, პროცესუალური ინსტიტუტები მთლიანად თუ ნაწილობრივ განიცდიან მატერიალური სამართლის გავლენას? საპროცესო სამართლის ყველა ნორმა გარკვეულ დონეზე არის კავშირში სამოქალაქო სამართლის ნორმებთან მათი ფუნქციონირების პროცესში, თუ ეს კავშირები შეზღუდულია და მხოლოდ ზოგიერთი საპროცესო ნორმა არის კავშირში სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებთან?

მატერიალური ურთიერთობების ხასიათით განისაზღვრება პროცესის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, პროცესუალური გარანტიების სახეები.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რა დოზით ახდენს გავლენას მატერიალური სამართლის დარგი პროცესუალურ სამართალზე.

საპროცესო სამართალი, მთლიანად არ არის დაკავშირებული მატერიალურ სამართალთან. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი კავშირის განსაზღვრის საჭიროებას განაპირობებს უფლების შესახებ დავის წარმოშობა, რადგან ასეთი კავშირის განსაზღვრის საჭიროება წარმოიშობა მხოლოდ უფლების ან იურიდიული ინტერესების დარღვევის შემთხვევაში, რაც წარმოშობს უფლების დაცვის საჭიროებას.

უფლების დაცვის მექანიზმი სამოქალაქო პროცესში მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: 1) დაცვის საშუალება (სარჩელი, განცხადება); 2) სამართლებრივი დაცვის სუბიექტები; 3) დაცვის ფორმები (უფლების სასამართლო წესით დაცვის ფარგლები); 4) მტკიცების ძირითადი წესები, რომლებზედაც უშუალოდ გავლენას ახდენს მატერიალური სამართალი. სარჩელთან მიმართებაში ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ორი მხარე აქვს: პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი.<sup>22</sup> მართებულია იმ ავტორთა მოსაზრება, რომელთა შესაბამისადაც, სარჩელი, თავისი იურიდიული ბუნებით, საპროცესო ინსტიტუტია, რომელიც მჭიდრო კავშირშია მატერიალურ სამართალთან.<sup>23</sup>

ამრიგად, სარჩელის თეორიის კვლევა საპროცესო სამართლისა და მატერიალური სამართლის ერთმანეთთან კავშირის მექანიზმის განხილვას უნდა დაუკავშირდეს. კერძოდ, იმის თქმა, რომ სარჩელის იურიდიულ ბუნებაზე გავლენას ახდენს სარჩელით დასაცავი მატერიალური უფლების ხასიათი, შესაძლებლობას იძლევა, ღრმად განვიხილოთ არა მარტო სარჩელის არსი, არამედ მისი ელემენტებიც – სარჩელის სახეები, სარჩელის აღძვრის უფლება და სხვ.

<sup>22</sup> აღნიშნულის შესახებ სხვადასხვა ავტორთა მოსაზრება გამოკვლეულია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ზ. ძლიერიშვილის მიერ წარდგენილ ნაშრომში „უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის პრობლემები“. თბ. 1999 წ.

<sup>23</sup> ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2003 წ., გვ. 286



მატერიალური სამართალი გავლენას ახდენს უწყებრივი ქვემდებარეობის სწორად განსაზღვრაზე. უწყებრივი ქვემდებარეობის ზოგად კრიტერიუმებს განეკუთვნება: სამართალურიერთობის ხასიათი, საიდანაც წარმოიშვა დავა; მოდავე მხარეების სუბიექტური ერთობა. სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება დავები, სადაც მხარეები არიან თანასწორნი. ეს დავები გამომდინარეობენ სამოქალაქო, შრომის და საოჯახო ურთიერთობებიდან.

სამოქალაქო კოდექსში ახლებურადაა გადაწყვეტილი საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში არსებული მრავალი პრობლემა, მათ შორის ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების უწყებრივ ქვემდებარეობასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობიდან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა გამგებლობაში უდავო განქორწინების საქმეები.

როგორც სამოქალაქო კოდექსშია აღნიშნული, განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსი ძირითადად ითვალისწინებს განქორწინების ადმინისტრაციულ წესს და მხოლოდ სადავო შემთხვევაში განიხილება განქორწინების საქმე საერთო იურისდიქციის სასამართლოში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის მიზნით, დიდ პრივილეგიას ანიჭებს მეუღლეებს ნების თავისუფლად გამოვლენის საკითხში, რათა უკონფლიქტოდ გადაწყვიტონ ქორწინების შემდგომი ბედის საკითხი.<sup>24</sup>

მატერიალური სამართალურიერთობა, რომლის არსებობის ან არარსებობის დადგენაც აუცილებელია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს, არსებით გავლენას ახდენს სამოქალაქო საქმეთა მომზადების შინაარსზე და ზოგჯერ საქმის მომზადების სტადიის მიზანზეც, რაც განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული საოჯახო

<sup>24</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2015 წ., გვ. 543

დავების განხილვისას. მაგალითად, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, სამოქალაქო საქმის მომზადების მიზანია საქმის დროულად, ე. ი. სწრაფად და სწორად განხილვისა და გადაწყვეტის უზრუნველყოფა. სასამართლოს სხდომაზე განსახილველად განქორწინების საქმეთა მომზადება სავალდებულოა. მატერიალური სამართლის ნორმის შესაბამისად, სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად.<sup>25</sup> მას უფლება აქვს, გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროცესის ამ სტადიაზე მოსამართლის მიერ შესრულებული მოსამზადებელი ყველა მოქმედების მიზანია, როგორც წესი, ოჯახის შესანარჩუნებლად შესაბამისი პირობების შექმნა, მოდავე მხარეთა შერიგება და არა – საქმის სწრაფად განხილვა და გადაწყვეტა. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მთავარი სხდომის სტადიაზეც, რომლის მომწესრიგებელ ნორმებშიც არის აგრეთვე ჩადებული საქმის დაჩქარების მიზანი.<sup>26</sup> სწორედ აღნიშნულის გამოა, რომ, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საქმის თავისებურება გავლენას ახდენს საქმის განხილვის ფორმაზეც. „მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი არ ავალდებულებს მოსამართლეს მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც კი საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის განხილვის ფორმა უნდა შეირჩეს ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურებებიდან გამომდინარე, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით“.<sup>27</sup>

გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორმა, ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი და ამავე სამართლებრივი ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის ხასიათი გავლენას ახდენს საოჯახო საქმეებზე, გადაწყვეტილების აღსრულების ვადასა და წესზე. კერძოდ, ასეთი თავისებურება გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ალიმენტის გადახდევინების საქმეზე. აღსრულების თავისებურებას განაპირობებს სასამართლოს

<sup>25</sup> სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლი.

<sup>26</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-294-579-09

მიერ განსახილველი საალიმენტო ურთიერთობის ხასიათი და ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო განხილვის თავისებურება. ამ საქმეებზე, როგორც წესი, ალიმენტის გადახდევინება ხდება არა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, არამედ სარჩელის აღძვრის მომენტიდან. პირველ რიგში ხდება ალიმენტის გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ აღსრულდება. დაუშვებელია გადაწყვეტილებათა აღსრულების შებრუნება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მატერიალური სამართლის გავლენა აშკარაა მხარეთა ინსტიტუტზეც. იმისათვის, რომ გახდეს მხარე პროცესში, უნდა იყოს მხარე მატერიალურ სამართალურთიერთობაში და ამის დადგენა ხდება სასამართლოს მიერ. მხარეთა ან მესამე პირთა შემადგენლობას განსაზღვრავს ის მატერიალური სამართალურთიერთობა, საიდანაც წარმოიშვა დავა, რომელსაც იხილავს სასამართლო. საზოგადოებრივი ურთიერთობების მატერიალურ-სამართლებრივი რეგულირება აისახება ასევე სხვა პირებზეც, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მხრივ საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები ხასიათდება თავისებურებებით. კერძოდ, საოჯახო საქმეზე მხარე შეიძლება იყოს ის სუბიექტიც, ვინც არ არის მატერიალური ურთიერთობის მონაწილე. მაგალითად, ასეთია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, სახელმწიფო სერვისების განვითარები სააგენტო, რომლებიც ე. წ. საპროცესო მოსარჩელები არიან.

სამოქალაქო პროცესზე მატერიალური სამართალურთიერთობის გავლენა გამოიხატება მხარეთა იურიდიულ დაინტერესებაში. იურიდიული ინტერესი მოიცავს მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური ხასიათის ინტერესს. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სწორედ ეს არის აღნიშნული, რომ ინტერესი არის არა ადამიანის ცნობიერების შედეგი, არამედ საზოგადოებაში რეალურად არსებული მოვლენა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს.<sup>28</sup> იურიდიული ინტერესის შესახებ მართებულად არის აღნიშნული ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-121-117-2016. კერძოდ,

---

<sup>28</sup> სუსგ, ა-215-904-03, 2003, №11, გვ. 3114

პალატის განმარტებით, იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე.<sup>29</sup>

დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობა განეკუთვნება მატერიალური სამართლის საკითხს. შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. ამ გადაწყვეტილებაში დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა იმას, რომ იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით. ე. ი. პალატამ ერთმანეთისაგან განასხვავა სურვილი და რეალური იურიდიული ინტერესი. სარჩელის აღძვრა უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას.<sup>30</sup>

მატერიალური სამართალი ზემოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე წესების ჩამოყალიბებაზე. ეს წესებია: სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის გამომხმობა, სარჩელის ცნობა, მხარეთა მორიგება და სხვ. დასაზუსტებელია, რომ საქმის აღძვრის მომენტიდან მოსარჩელე მხოლოდ ივარაუდება მხარედ. საქმის გადაწყვეტისას სასამართლოს მხრიდან სარჩელის დაკმაყოფილება ან არდაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, რეალურად არიან თუ არა მხარეები მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილენი.

<sup>29</sup> სუსგ №ას-121-117-2016, 17 მარტი 2016 წ.

<sup>30</sup><http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, ამასთან, ვერ დავეთანხმებით დიდი პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, მაგალითად, აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველიც კი არის. პალატის ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება მისივე განმარტებას ამ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც, იურიდიული ინტერესი მატერიალური სამართლის საკითხს განეკუთვნება. სარჩელის მიღებაზე უარის თქმას კი გააჩნია საპროცესო მნიშვნელობა და არა \_ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. ე. ი. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ხდება საპროცესო საფუძველით და არა \_ სამოქალაქო, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველით. სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტისა და 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია იურიდიული ინტერესის მიუთითებლობა სარჩელში, ხოლო ის საკითხი, აქვს თუ არა პირს რეალური იურიდიული ინტერესი, სარჩელის აღძვრის ეტაპზე კი არ უნდა გაირკვეს, არამედ საქმის არსებითად განხილვის შედეგად უნდა გამოიკვეთოს, რაც წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

როდესაც მხარე სასამართლოს მიმართავს სხვისი უფლების დასაცავად და სავარაუდო დონეზეც კი არ წარმოადგენს მატერიალური ურთიერთობის სუბიექტს, საინტერესოა გაირკვეს, თუ რომელ კრიტერიუმს უნდა მიექცეს ყურადღება - საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივ დაინტერესებას თუ საქმის აღძვრის შესაძლებლობას.

როგორც წესი, მხარეს აქვს საქმის შედეგით მატერიალური დაინტერესება. ამასთან, სამოქალაქო პროცესში მხარედ მიჩნეულ უნდა იქნეს ის სუბიექტიც, რომელსაც აქვს მეორე მხარის საწინააღმდეგო ინტერესი და ამავე დროს მატერიალურად არ არის დაინტერესებული საქმის შედეგით. აღნიშნულის შესაბამისად, მოსარჩელე ეწოდება არა მარტო იმას, ვინც მიმართავს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად, არამედ იმასაც, ვინც მიმართავს სხვა პირთა უფლებების დასაცავადაც.

თუ მხარის პროცესუალური სტატუსის განსაზღვრა მოხდება ისეთი კრიტერიუმით, როგორც არის მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი, მაშინ მოსარჩელედ შეიძლება ჩაითვალოს ის სუბიექტი, რომლის უფლებაც დაირღვა, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა ის რეალურად პროცესში.

საყურადღებოა, რომ საპროცესო მეცნიერება იცნობს «საპროცესო მოსარჩელის» კატეგორიას.<sup>31</sup> «საპროცესო მოსარჩელის» კატეგორიის შემოღების საჭიროება წარმოიშვა იმისათვის, რომ განისაზღვროს იმ სუბიექტების პროცესუალური სტატუსი, რომლებიც საქმის აღძვრისას იცავენ არა თავიანთ, არამედ სხვის ინტერესებს. აღსანიშნავია, რომ ქართული საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს „საპროცესო მოსარჩელის“ კატეგორიას. უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს თავისი უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად.

---

<sup>31</sup> მაგალითად, აღნიშნულია, რომ ამგვარი მოსარჩელები სარჩელს წარადგენენ სხვათა ინტერესების დასაცავად. ისინი არ წარმოადგენენ მხარეს სამოქალაქო ურთიერთობებში, არამედ საქმეზე გამოდიან მოსარჩელედ მარტოდენ საპროცესო აზრით. ნახეთ: Гражданский Процесс, Учебник, под ред. М. К. Треушникова, Автор главы 10, Иванова С. А., М. 2010, გვ. 156

თუმცა კი, მატერიალური ნორმების სამოქალაქო პროცესზე გავლენის გათვალისწინებით, საოჯახო საქმეებში შეუძლებელია არ ვაღიაროთ საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტის არსებობა. მაგალითად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს უფლება აქვთ, აღძრან მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სარჩელი,<sup>32</sup> ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი<sup>33</sup> და სხვა. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.<sup>34</sup> აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოუწესრიგებელია საპროცესო მოსარჩელის უფლებები. საპროცესო მოსარჩელე უნდა სარგებლობდეს მოსარჩელის ყველა საპროცესო უფლებით და უნდა დაეკისროს მოსარჩელის ყველა ვალდებულება, ზოგიერთი საგამონაკლისო უფლებისა და მოვალეობის გარდა. მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევის თუ ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობის საქმე ვერ დამთავრდება მორიგებით. ამგვარ საქმეებზე საპროცესო მოსარჩელე ვერ ისარგებლებს მორიგების უფლებით, მას ვერ დაევალება ასევე სახელმწიფო ბაჟის გადახდა და სხვა.

პროცესუალურ კანონმდებლობაში შემოღებულ უნდა იქნას საპროცესო მოსარჩელის ტერმინი, ანდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებას დაემატოს სიტყვები: „ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს სასამართლოს თავისი სახელით სხვა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად“. მოცემულ ფორმულირებაში ნახსენები სიტყვები „კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში“ გამორიცხავს კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში და კანონით გაუთვალისწინებელი სუბიექტების მიერ სარჩელის აღძვრას სხვათა უფლებების დასაცავად.

უფლებების დაცვის მექანიზმში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მტკიცებას, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების

<sup>32</sup> სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლი.

<sup>33</sup> სამოქალაქო კოდექსის 1142-ე, 1143-ე მუხლები.

<sup>34</sup> სამოქალაქო კოდექსის 1145-ე მუხლი.

ძირითად წესებს თავისი პროცესუალური ფორმა გააჩნია. ეს საპროცესო წესები ყალიბდება მატერიალური სამართლის ზემოქმედებით. მტკიცებულებათა საფუძველზე, კანონით განსაზღვრული წესით დგინდება იმ გარემოებების არსებობა ან არარსებობა, რომლებიც ქმნის მხარეთა მოთხოვნის ან შესაგებლის საფუძველს. რადგან სასამართლო ადგენს წარსულში მომხდარ ფაქტებს, ამიტომ სასამართლო შემეცნებას მტკიცებულებების მეშვეობით არაპირდაპირი ხასიათი გააჩნია.<sup>35</sup> ფაქტის გამოყენება მტკიცებულების გარეშე არ შეიძლება.

მტკიცებულების გამოკვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური და საპროცესო ინსტიტუტების ურთიერთკავშირს. მატერიალური სამართლის გათვალისწინება, შესაძლებლობას გვაძლევს, მტკიცების პროცესში სწორად იქნეს გადაწყვეტილი ისეთი საკითხები, როგორებიც არის: მტკიცების ძირითადი წესები, მტკიცებულების დასაშვებობა, მტკიცების საგნის განსაზღვრა, სამოქალაქო პროცესში მტკიცების ვალდებულების, ანუ მტკიცების ტვირთის განსაზღვრა. ამ ყველაფერზე გავლენას ახდენენ მატერიალური სამართლის ნორმები.

მტკიცებულების გამოყენების წესი სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ის მტკიცებულებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

მატერიალური სამართლის ნორმის გათვალისწინებით დგინდება მტკიცებულებითი პრეზუმფციები, რომელთა საფუძველზეც ხდება მტკიცების განსაზღვრა. პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი სწორად ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის.<sup>36</sup>

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სავსებით ცხადია, რომ შეცდომას ამ ტვირთის განაწილებაში, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დამტკიცების ტვირთის დაკისრებას იმ მხარეზე, რომელსაც სინამდვილეში არ ეკისრება მისი დამტკიცება,

---

<sup>35</sup> შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი, მაია ცეტიშვილი, მაია ახალაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ქურდაძე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I (1-ლი-176-ე მუხლები) გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022 წელი.

<sup>36</sup> თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ. 2014, გვ. 291

შეიძლება მოჰყვეს არასწორი და უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.<sup>37</sup> არსებობს მრავალი თეორია, დასაბუთება, კრიტერიუმი, რომელთა მომარჯვებით, როგორც ამას მათი ავტორები გვთავაზობენ, შეიძლება მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება მხარეთა შორის.<sup>38</sup>

ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთისაგან კი არ ათავისუფლებენ ამა თუ იმ მხარეს, არამედ მათი გათვალისწინება აუცილებელია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად გასანაწილებლად.

ფაქტის დადგენის მიზნით, სასამართლოსათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა მტკიცებულება. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყოველთვის, როცა მტკიცებულებას წარუდგენს სასამართლოს არა ის მხარე, რომელსაც მისი წარდგენა არ ევალუბოდა, მტკიცების ტვირთი ამ მხარეზე გადადის. რა თქმა უნდა - არა. სასამართლოს მიერ მტკიცებულების გამოთხოვა ან მისი მიღება ისეთი მხარისაგან, რომელსაც ასეთი ფაქტის დამტკიცების მოვალეობა არ ეკისრება, არ ათავისუფლებს მეორე მხარეს მტკიცების მოვალეობისაგან. მაშასადამე, მტკიცებულებათა გამოთხოვა ან მათი სასამართლოში წარდგენა არა იმ მხარისაგან, ვისაც მათი წარმოდგენა არ ეკისრება, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით არაფერს არ ცვლის - ფაქტის დამტკიცების მოვალეობა მაინც ეკისრება იმ მხარეს, ვისაც, კანონის თანახმად, ეს ეკისრება.

ამ თვალსაზრისით, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სსკ 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 157-ე მუხლი, რომელთა თანახმად, თუ წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ან, თუ ამ მტკიცებულებათა წარდგენაზე უარს სასამართლო არასაკატიოდ მიიჩნევს, მას შეუძლია აღნიშნულ მტკიცებულებათა

<sup>37</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, მტკიცების ტვირთი (ვალდებულება) სამოქალაქო პროცესში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №2, გვ. 35-42

<sup>38</sup> თ. ლილუაშვილი. მტკიცების საგანი და ტვირთი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში (რუსულ ენაზე). თბ. 1957 წელი



გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი მოვალეობა გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული მტკიცებულების წარმოდგენაზე.

დასახელებულ შემთხვევაში ფაქტის დამტკიცების ტვირთი იმ მხარიდან, რომელსაც ევალეობდა მისი დამტკიცება, მეორე მხარეზე გადადის. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები დაეკისრება არა იმ მხარეს, რომელსაც ევალეობდა მისი დამტკიცება, არამედ მოწინააღმდეგე მხარეს. მტკიცების ტვირთის ასეთი შებრუნების მიზანია მტკიცებულების წარდგენის მოვალეობის იმ მხარისათვის დაკისრება, რომელთანაც ინახება წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება, მაგრამ მისთვის არაა ხელსაყრელი ამ მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა, რადგან ფაქტი, რომელსაც ეს მტკიცებულება ადასტურებს, მოწინააღმდეგე მხარისათვის არის ხელსაყრელი.<sup>39</sup>

არ შეიძლება არ გამოითქვას კრიტიკაც დასახელებული ნორმების (სსსკ-ის 136-ე და 157-ე მუხლების) ფორმულირებასთან დაკავშირებით. ამ ნორმათა ფორმულირება არ არის სრულყოფილი. საქმე ისაა, რომ მხარის გათავისუფლება ამა თუ იმ ფაქტის მტკიცების მოვალეობისაგან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ფაქტი დამტკიცებულია. მითუმეტეს, აზრს მოკლებულია ამგვარი მოვალეობის მეორე მხარისათვის გადაკისრება. თანაც, კანონი არ ითვალისწინებს მეორე მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობის რაიმე უარყოფით შედეგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მართებული იქნებოდა შემდეგი ფორმულირება: თუ წერილობითი (შესაბამისად - ნივთიერი) მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ამგვარი მტკიცებულების გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირის სასარგებლოდ მტკიცებულებით დასადასტურებელი ფაქტი დამტკიცებულად ითვლება,

---

<sup>39</sup> ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. სამოქალაქო საპროცესო სამართალი I ნაწილი, თბილისი, გვ. 296.

ხოლო მეორე მხარეს დაეკისრება დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება. ნორმის ამგვარი ფორმულირება უფრო ეფექტიანად იმუშავებს პრაქტიკაში და ნორმის ამჟამინდელი არასრულყოფილი ფორმულირებით გამოწვეულ უხერხულობებს აგვაცილებს. არც ის მიგვაჩნია მართებულად, რომ ნორმის ამგვარი რედაქცია ითვალისწინებს მტკიცების ტვირთისაგან მხარის გათავისუფლების შესაძლებლობას და არა - ვალდებულებას, რადგან, ნორმის თანახმად, აღნიშნული არის სასამართლოს შესაძლებლობა, ე. ი. მისი დისკრეცია და, შესაბამისად, ეს ნორმა არსებული სახით არაკეთილსინდისიერი და საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებელი მხარის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად ვერ ჩაითვლება. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფორმულირება კი უფრო მოსახერხებელი, ზუსტი, სწორი და იმპერატიული დანაწესი იქნება.

მტკიცებითი პრეზუმფციები ასახავს პროცესში დავის საგნად ქცეული მატერიალური სამართალურთიერთობის დაცვის სპეციფიკას, რომლის დროსაც იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები პროცესზე იმ პირებისათვის, რომელთა უფლებები სადავო ან დარღვეულია. ეს პირები თავისუფლდებიან იმ ფაქტების მტკიცებისაგან, რომლებიც უკვე დამტკიცებულად ითვლება, თუ მეორე მხარე ამის წინააღმდეგი არ არის.

მატერიალური და საპროცესო ელემენტების ურთიერთმოქმედების მოკლე ანალიზი უფლებების დაცვის მექანიზმში გვიჩვენებს, რომ მატერიალური და საპროცესო ელემენტების ურთიერთმოქმედების ზღვარი გადის სამოქალაქო საპროცესო ფორმის ისეთ ელემენტებზე, როგორც არის: სარჩელი, უწყებრივი ქვემდებარეობა, პროცესის სუბიექტები, მტკიცების ზოგადი წესები. ეს საპროცესო ფორმის ელემენტები საპროცესო სფეროში წინაპირობებს ქმნის მატერიალური ურთიერთობების განვითარებისთვის.

აქედან გამომდინარე, მატერიალური სამართლის ზემოქმედება საპროცესო ფორმაზე მდგომარეობს შემდეგში: 1) მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის სპეციფიკა განსაზღვრავს სარჩელის პროცესუალურ მხარეს; 2) მატერიალური უფლების

დაცვის მოთხოვნა აყალიბებს უწყებრივი ქვემდებარეობის წესებს; 3) მხარეთა მდგომარეობას პროცესში იკავებენ მატერიალური სამართალურიერთობის სავარაუდო ან რეალური სუბიექტები; 4) ძირითადი წესების მტკიცების სპეციფიკა უკავშირდება სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენების აუცილებლობას, რომლებიც არეგულირებს სადავო სამართალურიერთობას.<sup>40</sup>

## **1.2 ზოგადი და სპეციალური საპროცესო ნორმების იურიდიული ბუნება და მათი გამოყენების თავისებურებანი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვისას**

საოჯახო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს სასამართლოს ევალება, გააანალიზოს პროცესზე არა მარტო მატერიალური ნორმების გავლენის თავისებურებანი, არამედ სრულად და ყოველმხრივ განსაზღვროს საპროცესო ნორმის შინაარსი, ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას აღნიშნული ნორმის მოქმედების არეალი და თავისებურება. საოჯახო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო თავისებურების შესწავლა შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით: უწინარეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ზოგადი საპროცესო ნორმების და არასაპროცესო ნორმატიულ აქტებში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმების თანაფარდობის საკითხი. მეორე - უნდა გააანალიზდეს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა საპროცესო სამართლის ძირითადი საკითხების სწორად გადაწყვეტის მიზნით.

საქმე ისაა, რომ ზოგიერთი პროცესუალური ურთიერთობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში ყალიბდება მატერიალურ სამართალში არსებულ პროცესუალური ხასიათის ნორმების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისეთი მატერიალური სამართლის დარგების წყაროებში, როგორცაა: სამოქალაქო,

---

<sup>40</sup> Кострова Н. М. „Теория и практика взаимодействия гражданского процессуального и семейного права. Ростов-н/Д; 1988 გვ. 30

შრომითი და სხვა, მოცემულია პროცესუალური ნორმები, რომლებიც მოქმედებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.<sup>41</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო სამართლის სტრუქტურის დაზუსტება და მისი მისადაგება შესაბამისი კანონმდებლობის სტრუქტურასთან. ამ ამოცანის შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება იმ პროცესუალური ნორმების სამართლებრივი ბუნების დადგენა, რომლებიც არეგულირებს საოჯახო უფლებების სასამართლო წესით დაცვას. იმის მიხედვით, თუ რომელ ნორმატიულ აქტებში არის ჩართული მოცემული ნორმები, შეიძლება გამოიკვეთოს სამი ძირითადი ჯგუფი: 1) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ზოგადი პროცესუალური ნორმები, რომლებიც მოქმედებს ყველა სამოქალაქო საქმეზე, მათ შორის – საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის დროს; 2) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული სპეციალური პროცესუალური ნორმები, რომლებიც ადგენს საოჯახო საქმეთა განხილვის წესს; 3) მატერიალური ხასიათის კანონმდებლობაში ასახული სპეციალური ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი უფლების დაცვის უნივერსალური ფორმაა. სამოქალაქო საპროცესო ფორმის უნივერსალურობა გამოიხატება იმაში, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში ხდება იმ უფლებების დაცვა, რომლებიც წარმოიშობა სხვადასხვაგვარი მატერიალური ურთიერთობებიდან (სამოქალაქო, შრომის, საოჯახო და სხვ.). საპროცესო ფორმის უნივერსალურობა შესაძლებელს ხდის გამოიკვეთოს სხვადასხვაგვარი უფლებების დასაცავად გამოსაყენებელი ზოგადი საპროცესო ნორმები.

ამასთან, ზოგადი პროცესუალური ნორმების გარდა, არსებობს სპეციალური პროცესუალური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმის განსახილველად და გადასაწყვეტად. სპეციალურს განეკუთვნება წესები, რომლებიც აკონკრეტებს საოჯახო საქმეთა განხილვის წესს, ხოლო ზოგადი წესები არეგულირებს ყველა სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესს, მათ შორის – საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის წესს.

---

<sup>41</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველო სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გვ. 37 თბ. 2015 წ.

ზოგადი და სპეციალური პროცესუალური ნორმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, რომლებიც მოქმედებს სამართალწარმოებაში საოჯახო საქმეებზე, არ წარმოადგენს სირთულეს. ეს საპროცესო ნორმებია და სტრუქტურულად ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

რთულია იმ პროცესუალური ნორმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, რომლებიც ჩართულია საოჯახო კანონმდებლობის სისტემაში.

საინტერესოა საკითხი, შეიძლება თუ არა მატერიალური კანონმდებლობის სტრუქტურაში ჩართული პროცესუალური ნორმები მივიჩნიოთ მატერიალური სამართლის ნაწილად.

ნორმათა ეს ჯგუფი, ჩვენი აზრით, პროცესუალური სამართლის ნაწილია. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ხასიათის ნორმატიულ აქტშია საპროცესო ნორმა ასახული. გამომდინარე იქიდან, რომ საპროცესო ნორმა სამოქალაქო სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმაა, სამართლის სხვა დარგის კანონმდებლობაში ამგვარი ნორმის ასახვა არ ცვლის მის საპროცესო ბუნებას, არამედ აქ უბრალოდ საუბარია ამ ნორმის კავშირზე მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომლებიდან გამომდინარე საქმის სასამართლო წესით მოწესრიგებასაც ის ისახავს მიზნად და, მაშასადამე, განაპირობებს აღნიშნული საქმის სასამართლო წესით განხილვის სპეციფიკასაც.

სამოქალაქო კატეგორიის ბევრ საქმეს ახასიათებს პროცესუალური თავისებურებები. ამ თავისებურებებში იგულისხმება საპროცესო ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია განსაზღვრული კატეგორიის სამოქალაქო საქმეების განსახილველად.

კონკრეტული კატეგორიის საქმეების პროცესუალური თავისებურებების გამოკვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე სპეციალური საპროცესო ნორმების მიმართებას ზოგად პროცესუალურ ნორმებთან.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის შეიძლება არსებობდეს სხვადასხვაგვარი თანაფარდობა. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველ წიგნში (რომელსაც ეწოდება „ზოგადი დებულებანი“) ასახული ნორმები, ზოგადი ნორმებია ამავე კოდექსის მეორე და მესამე წიგნებში ასახული ნორმების მიმართ, ე. ი. საერთოა მთელი პროცესისათვის. ზოგადი საპროცესო ნორმები მრავლად მოიძებნება დასახელებული მეორე წიგნის მეოთხე კარშიც, რომელსაც ეწოდება „სასარჩელო წარმოება“. სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები საერთოა სამართალწარმოების ყველა სახისათვის, მათ შორის - საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე და სხვა საქმეებისათვის. ისინი გამოიყენება სამართალწარმოების მოცემულ სახეში, თუ მისი თავისებურება განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. ამდენად, სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები ზოგად ნორმებს წარმოადგენს მხოლოდ იმ ნორმათა მიმართ, რომლებიც სპეციფიკურია და დამახასიათებელია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეებისათვის.

ამასთან, ნორმათა დაყოფა ზოგად და სპეციალურ ნორმებად არ ამოწურავს ამგვარ ნორმათა თანაფარდობის პრობლემას. უამრავი საპროცესო ნორმა ასახულია მატერიალური სამართლის როგორც კოდიფიცირებულ, ისე არაკოდიფიცირებულ აქტებში,<sup>42</sup> მათ შორის, ცხადია, სამოქალაქო კოდექსის, კონკრეტულად კი, საოჯახო სამართლის წიგნშიც. ასეთი საპროცესო ნორმები წარმოადგენს სპეციალურ საპროცესო ნორმებს.

ყველა სახის სამართალწარმოების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები თავმოყრილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ხოლო სპეციალური ნორმები, რომლებიც ეხება ცალკეული კატეგორიის, მათ შორის - საოჯახო საქმის განხილვას, ასახულია მატერიალური სამართლის ნორმატიულ აქტებში. საპროცესო ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

---

<sup>42</sup> Юдельсон К. С. Соотношение Гражданских процессуальных норм, сосредоточенных в гражданских процессуальных кодексах и кодексах материального права. Проблемы применения гражданского процессуального кодекса РСФСР. Калинин, 1974 гз. 18-19; Чечина Н. А., Основные направления науки гражданского процессуального права, 1987.

ასახული ყველა ნორმა არ შეიძლება მივიჩნიოთ ზოგად საპროცესო ნორმად.<sup>43</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ზოგადი საპროცესო ნორმები თავმოყრილია 1-ელ - 176-ე მუხლებში.

საინტერესოა, რატომ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განთავსებული ნორმები ზოგად ნორმებს, ხოლო სამოქალაქო კოდექსში და სხვა მატერიალურ სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში განთავსებული ნორმები – სპეციალურ საპროცესო ნორმებს. ამ კითხვაზე პასუხი შემდეგნაირად უნდა გაიცეს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები მოქმედებს ყველა სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს. მატერიალური სამართლის ნორმატიულ აქტებში განთავსებული საპროცესო ნორმების მოქმედებისა და გამოყენების სფერო კი შეზღუდულია ამა თუ იმ კატეგორიის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფარგლებით.<sup>44</sup> სპეციალური პროცესუალური ნორმებით მოწესრიგებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაცილებით ვიწრო წრე ზოგად საპროცესო ნორმებთან შედარებით. თუმცა ამ საპროცესო ნორმათა სპეციალიზაცია კონკრეტული კატეგორიის საქმის მიხედვით, კანონმდებელს საშუალებას აძლევს, სრულად გამოიყენოს სამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობა და ამ ნორმათა მეშვეობით, ამა თუ იმ კატეგორიის საქმის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დეტალურად მოაწესრიგოს საპროცესო ურთიერთობები. მატერიალური სამართლის ნორმატიულ აქტში ასახული სპეციალური საპროცესო ნორმა შესაძლოა სრულიად სხვაგვარად აწესრიგებდეს ამა თუ იმ საპროცესო ურთიერთობას.

მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლში მოცემულია ზოგადი წესი, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები უწყებრივად ექვემდებარება სასამართლოს. შემდეგ კი უწყებრივი

<sup>43</sup> Баулин О. В. Специальные нормы в гражданском процессуальном праве. Воронеж, 1997, гв. 35-76

<sup>44</sup> Особенности Рассмотрения и разрешения отдельных категории гражданских дел (исковое производство) учебное пособие. Под. Ред. И. К. Пискарева, М. 2014 гв. 9, автор раздела I главы 1, М. В. Ломоносова.

ქვემდებარეობის ეს ზოგადი წესი დაკონკრეტებულია ზოგიერთი საოჯახო სამართლებრივი საქმის უწყებრივი ქვემდებარეობის სპეციალური წესის დადგენის გზით. უწყებრივი ქვემდებარეობის ასეთ სპეციალურ წესს განამტკიცებს, მაგალითად, სამოქალაქო აქტების შესახებ კანონი, რომელიც უშვებს განქორწინებას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

მატერიალურ-სამართლებრივ აქტებში განთავსებული სპეციალური საპროცესო ნორმა შეიძლება არა მხოლოდ გამორიცხავდეს ზოგადი ნორმის მოქმედებას, არამედ აკონკრეტებდეს კიდევ მას. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვას შეუდგება (ე. ი. საქმე აღიძვრება სასამართლოში) იმ პირის განცხადებით, ვინც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები ითვალისწინებს ასევე ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სამოქალაქო საქმე შეიძლება აღიძრას იმ პირის განცხადებით, რომელიც გამოდის თავისი სახელით სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად (მაგალითად, ეს ხდება ე. წ. საპროცესო მოსარჩელის მიერ საქმის აღძვრის შემთხვევაში და სხვა).

ზემოაღნიშნული ნორმები ზოგადი საპროცესო ნორმებია, რომლებიც განსაზღვრავს სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლების მქონე პირებს.

სამოქალაქო კოდექსში ასახული სპეციალური პროცესუალური სამართლებრივი ნორმა აკონკრეტებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულ წესს სასამართლოს მიერ შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საქმის განხილვის დროს. იმდენად, რამდენადაც არსებობს სპეციალური სამართლებრივი ნორმა, რომელიც აღგენს იმ პირთა წრეს, რომელთა განცხადებითაც სასამართლომ უნდა განიხილოს ამ კატეგორიის საქმეები, უნდა იქნას გამოყენებული ზემოთ მითითებული ნორმა და არა - ზოგადი ნორმა.

ბევრი სპეციალური ნორმის ანალიზი ნათელს ხდის სოციალური ფაქტორის ზემოქმედებას საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესუალურ რეგულირებაზე, რაც



სახელმწიფოს მიერ, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გამომხატველია. მაგალითად, სამოქალაქო სამართალწარმოების შეღავათიანი წესები საოჯახო საქმეების ზოგიერთ კატეგორიაზე გამოხატავს ამ საქმეების არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ სოციალური ხასიათის ფაქტორის გავლენას საპროცესო რეგულირებაზე.

სამწუხაროდ, ცალკეულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის სოციალურ მნიშვნელობას, რასაც განსაკუთრებული დანიშნულება სწორედ საოჯახო საქმეებზე გააჩნია. მაგალითად, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯის გადახდისაგან თავისუფლდებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლო ხარჯის ისეთ სახეს, როგორც არის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯი, კერძოდ, ექსპერტიზის ხარჯი. აღნიშნული ხარჯისაგან ზემოაღნიშნული პირები არ თავისუფლდებიან, მთავრობის 2012 წლის 8 მაისის № 171 დადგენილებიდან გამომდინარე. კანონმდებლობის ამგვარი მიდგომა გაუმართლებელია. მით უმეტეს – ახალი საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე. მაგალითად, მამობის დადგენის საფუძვლად დასაშვებია ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გამოყენება, რომელიც ძალზე ძვირადღირებულია (დაახლოებით 1600 ლარის გადახდა უხდება მხარეს).

სამოქალაქო საპროცესო სამართალმა თავისი სოციალური ფუნქცია რომ შეასრულოს, მიზანშეწონილია სოციალურად დაუცველი პირები გათავისუფლდნენ არა მარტო სახელმწიფო ბაჟის, არამედ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის – ექსპერტიზის ხარჯის) გადახდისაგან, რაც უფრო ეფექტურს გახდის უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს. ამასთან დაკავშირებით მამობის დადგენის საქმეების მაგალითზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული არსებული რეგულაციები, რომლებიც ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დანიშნვის მსურველ მხარეს არ ათავისუფლებს ექსპერტიზის ხარჯის გადახდისაგან, რის გამოც ვერ ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შესაძლებლობა, დაცულ იქნეს დედათა

და ბავშვთა უფლებები.<sup>45</sup> აღნიშნული რეგულაცია კრიტიკას იმსახურებს სხვა მხრივაც, კერძოდ, ამკარაა, რომ ექსპერტიზის ხარჯი განეკუთვნება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯს. მის გადახდასთან დაკავშირებული წესი საპროცესო წესია. აღნიშნული წესი დადგენილია ექსპერტიზის სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტით, სახელდობრ, მთავრობის 2012 წლის 8 მაისის № 171 დადგენილებით „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“. საპროცესო წესის კანონქვემდებარე აქტით დადგენა კი დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით. დასახელებული კანონის მე-7 მუხლი უთითებს საქართველოს საკანონმდებლო აქტებზე. ესენი არანაკლებ კანონის დონის მქონე აქტებია. მაშასადამე, მთავრობის დასახელებული დადგენილება ეწინააღმდეგება ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მოთხოვნას. ასეთ ვითარებაში სასამართლოზეა დამოკიდებული პირთა უფლებების სწორად დაცვა.

ჩვენი აზრით, ნორმატიული აქტების შესახებ კანონის ზემოაღნიშნული ნორმებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის, 203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უნდა დაეყრდნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა და ამგვარი კატეგორიის საოჯახო საქმეებზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი პირები გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საოჯახო საქმეთა წარმოებისას ზოგად პროცესუალურ ნორმებს შეიძლება მივაკუთვნოთ ნორმები:

---

<sup>45</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილეთ ლ. კობრიძე, მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი. ქ. „მართლმსაჯულება და კანონი № 1(40)“14, გვ. 16-36

1. რომლებიდანაც იკვეთება საოჯახო საქმეებზე სასამართლოს მიზნების სპეციფიკა: სასამართლოს მიზანია არა მარტო გადაწყვიტოს დავა, არამედ ხელი შეუწყოს ოჯახის განმტკიცებას, აამაღლოს მშობელთა პასუხისმგებლობის გრძნობა შვილების აღზრდის საკითხში, განამტკიცოს ოჯახში თანასწორობა;

2. რომელთა მიზანია, განავითაროს სამართალწარმოების აღმზრდელობითი ფუნქცია, რაც გამოიხატება სასამართლო პროცესის სწორ ორგანიზებაში, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში;

3. არასრულწლოვანების უფლებების დაცვის შეღავათიანი პირობების დამდგენი ნორმები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეს პირები გათავისუფლებულ იქნენ სასამართლო ხარჯებისგან ისეთ დავებზე, როგორიცაა: ალიმენტების მოთხოვნა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა და სხვ.

პირველ რიგში მათ განეკუთვნება ზოგადი პროცესუალური წესები, რომლებიც ითვალისწინებს ქცევის სხვა ვარიანტს, რაც შეიძლება ჩართულ იქნეს სხვა ნორმატიულ აქტში კონკრეტული უფლებების სპეციფიკის გასათვალისწინებლად. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება უწყებრივი ქვემდებარეობის წესის ჩამოყალიბებისათვის, განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისათვის, იმ პირთა წრის დასადგენად, რომლებსაც უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს და სხვ. ეს წესები შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიყენოთ ასევე სხვა ნორმატიული აქტები (უპირატესად მატერიალური სამართლის), სპეციალური წესები, რომლებიც გამოხატავს ცალკეული უფლებების დაცვის სპეციფიკას.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლებიც განაპირობებს მატერიალური და საპროცესო ნორმების თავმოყრას ერთ რომელიმე ნორმატიულ აქტში. კერძოდ: ყველა სპეციალური საპროცესო ნორმა, რომელიც კი შემოღებულია ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო უფლების სასამართლო წესით დაცვის მიზნით, ვერ აისახება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და ვერც სპეციალურ სხვა საპროცესო ნორმატიულ აქტში. ასეთი საპროცესო ნორმები საოჯახო საქმისწარმოების სპეციფიკას განაპირობებს და ამის გამო ინტეგრირებულ უნდა იქნეს სწორედ მატერიალურ კანონმდებლობაში. სამოქალაქო

საპროცესო კოდექსში სრულყოფილად ვერ იქნება ასახული სპეციალური საპროცესო ნორმები, რომელთა მიზანია დავების განხილვა-გადაწყვეტა და რომლებიც წარმოიშობა მატერიალური ურთიერთობების განსაზღვრული ჯგუფიდან (მოცემულ შემთხვევაში საუბარია საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე). ამგვარი ვითარება განაპირობებს საოჯახო (მატერიალურ) კანონმდებლობაში გარკვეული რაოდენობის პროცესუალური ნორმების ჩართვას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია კავშირის არსებობა მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ ნორმებსა და ინსტიტუტებს შორის, რის შედეგადაც მათი ცალკე კოდიფიკაცია არამიზნობრივია, იმ მიზეზით, რომ შეუძლებელია პროცესუალური წესების გამოყოფა შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებისგან. ასეთი ნორმების მოძებნა შესაძლებელია პრაქტიკულად მატერიალური სამართლის ყველა დარგში. მათ აქვთ თავისებური დატვირთვა უფლების დაცვის ან იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმში. კერძოდ, კონკრეტული უფლებების დაცვის ფორმას ხშირად განაპირობებს მატერიალური კანონმდებლობა, თუმცა, მაგალითად, უწყებრივი ქვემდებარეობა არის პროცესუალური ინსტიტუტი და სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობის ზოგადი წესები ჩამოყალიბდა საპროცესო კანონმდებლობაში. ამრიგად, ხშირად საპროცესო ნორმებზე მატერიალური სამართალი არ ახდენს გავლენას და საპროცესო ინსტიტუტებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ.

მატერიალური კანონმდებლობის სტრუქტურაში პროცესუალური ნორმები მრავლად არის ასახული.

აღნიშნულით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სტაბილური ხდება, რაც თავიდან გვაცილებს მასში მრავალრიცხოვანი ცვლილებისა და დამატების შეტანას. გარდა ამისა, მათი მეშვეობით არა მარტო ხელმისაწვდომი ხდება მართლმსაჯულება და საოჯახო უფლებათა დაცვა, არამედ ისინი ავსებენ სასამართლოს მიერ საოჯახო საქმეთა განხილვის დროს გამოსაყენებელ პროცესუალურ ნორმებს.

სამოქალაქო კოდექსში, საოჯახო სამართლის წიგნში ასახულ საპროცესო ნორმებად მიიჩნევა ნორმები, რომლებიც არეგულირებს ქორწინების შეწყვეტის წესს.

თუმცა სასამართლოს მიერ ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეების განხილვისას მოქმედებს ზოგადი და სპეციალურ პროცესუალურ ნორმათა ერთობა, რომლებიც შედის საოჯახო და საპროცესო კანონმდებლობის სტრუქტურაში. არ შეიძლება უარყოფით მათი სამოქალაქო პროცესუალური ხასიათი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შედის სამოქალაქო პროცესუალური სამართლის სტრუქტურაში. ამ წესების დიდი ნაწილი მოქმედებს სამოქალაქო საქმეების ყველა კატეგორიაზე; ისინი განსაზღვრავს მათი აღძვრის წესს, სასამართლო განხილვის მომზადებას, სასამართლო განხილვას, გადაწყვეტილების გამოტანას, საქმისწარმოების დასრულებას გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე და სხვ.

იურიდიულ ლიტერატურაში სწორად აღინიშნება, რომ სპეციალური ნორმები შეიძლება წარმოადგენდნენ გამონაკლისს, დეტალურს, რომლებსაც შესწევთ უნარი, მოახდინონ ზოგადი წესების შევსება, ან სხვაგვარად დაარეგულირონ ის, ან სხვა პროცესუალური ურთიერთობა.<sup>46</sup>

---

<sup>46</sup> Шерстюк В., Процессуальные особенности рассмотрения и разрешения гражданских дел. Советская юстиция. 1986, № 12, გვ. 13

## თავი II. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის სასამართლოში სასარჩელო წესით აღძვრისა და განხილვის თავისებურებანი

### 2.1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის სასამართლოში სასარჩელო წესით აღძვრის თავისებურებანი

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის. ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებშიც კი,<sup>47</sup> მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებელს, სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით და კონსტიტუციის 46-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, არა აქვს უფლება შეზღუდოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების კონკრეტული საშუალებები. თუმცა ურთიერთობათა ამგვარი სამართლებრივი მოწესრიგების შემთხვევები ძალზე იშვიათად გვხვდება, მაგალითად, სკ-ის 1143-ე მუხლის თანახმად, დამაბრკოლებელი გარემოებების საფუძვლით, ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

სკ-ის 1144-ე მუხლის თანახმად, იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრა შეუძლია მეუღლეს (მეუღლეებს), ე. ი. ასეთ სარჩელს ვერ აღძრავს ნებისმიერი პირი, თუკი მისი უფლება არ დაირღვა ამ დაქორწინებით. სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლების მქონე სუბიექტთა წრის შეზღუდვის მიზანი მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობს თავად მეუღლეთა უფლებების დაცვაში, რომელთაც შესაძლოა არ სურდეთ ამგვარი მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის აღძვრა. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს არ

---

<sup>47</sup> კონსტიტუციის 46-ე მუხლი.

ერთმევა დაქორწინებით დარღვეული კონკრეტული უფლებების, მაგალითად, სამემკვიდრეო უფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, თუმცა სასამართლოსადმი მიმართვა პრაქტიკულად აზრს მოკლებულია, როცა პირს არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა (საფუძველი), სადავო გახადოს ქორწინება ბათილობის მოტივით. სასამართლოსადმი დაინტერესებული პირის (მოსარჩელის, განმცხადებლის) მიმართვა არ არის საკმარისი სამოქალაქო პროცესის აღსაძვრელად. ამისათვის აუცილებელია სასამართლომ კანონით დადგენილი წესით მიიღოს განცხადება.<sup>48</sup>

მომენტი, რომლიდანაც სასამართლო შეუდგება სამოქალაქო საქმის განხილვას დაინტერესებული პირის განცხადებით, ემთხვევა დაინტერესებული პირის განცხადების მიღების თარიღს და არა სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებას. ეს დასკვნა ეფუძნება სსკ-ის მე-2, 200-209-ე მუხლების სისტემატიკურ განმარტებას.

საყურადღებოა შემდეგი საკითხიც: სსკ-ის მე-2 მუხლში მითითებულია ის სუბიექტები, რომელთაც აქვთ სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლება. ამასთან, აქცენტი გადატანილია მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. რეალურად კი, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა ორი ჯგუფი შეიძლება გამოიკვეთოს: 1) ის პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი უფლებებისა და თავისუფლების კანონიერი ინტერესების დასაცავად და 2) პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი სახელით სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების ან სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

ცხადია, ზოგადი წესის მიხედვით და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო საქმის აღძვრის ინიციატივა უნდა გააჩნდეს საკუთარი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით დაინტერესებულ პირს. ამიტომ პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მოსარჩელები, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები, განმცხადებლები უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებზე. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე,

---

<sup>48</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე, 184-ე და 186-ე მუხლები.

სასამართლო სამოქალაქო საქმეს, როგორც წესი, აღძრავს სწორედ ამ პირთა ინიციატივით. ყველა ეს პირი მატერიალურად არის დაინტერესებული საქმის შედეგით. მათ ამგვარი ინტერესი რომ გააჩნიათ, ამ საკითხის დადგენა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან, თუ მათ არ ექნებათ ამგვარი ინტერესი, მაშინ გამოვა, რომ სარჩელი, განცხადება ამ პირებს აღძრული აქვთ სხვა პირის უფლებების დასაცავად. სხვა პირის უფლებების დასაცავად კი, სარჩელის აღძვრა შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სწორედ ამ მიზნით არის სსკ-ის 178-ე მუხლით შემოღებული წესი, რომელიც მოსარჩელეს ავალდებულებს, სარჩელში მიუთითოს დავის საგანი, ანუ რაში გამოიხატება თავისი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დარღვევა ან დარღვევის საფრთხის არსებობა.

მეორე ჯგუფი მოიცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, კანონიერ წარმომადგენლებს. ისინი იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს ან იმ ფიზიკურ პირთა უფლებებს, თავისუფლებას და კანონიერ ინტერესებს, რომელთაც ამა თუ იმ განსაკუთრებულ მიზეზთა გამო თავად არ აქვთ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში საქმე აღიძვრება მათი განცხადებით. ამასთან, ამ ორგანოებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ყოველთვის როდი აქვთ, არამედ მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს არის ე. წ. საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტი, ე. ი. იმ სუბიექტებზეა საუბარი, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს თავიანთი სახელით სხვა პირთა უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

თუ საპროცესო მოსარჩელეს არ გააჩნია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სხვა პირთა ინტერესების დასაცავად, მაშინ ამ საფუძვლით სარჩელი არ უნდა იქნას მიღებული ან საქმის წარმოება შეწყდეს. მართალია, ეს საფუძველი სსსკ-ის 186-ე და 272-ე მუხლებში ცალკე გამოკვეთილი არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის და 187-ე მუხლის ნაწილის ანალოგიით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ან საქმის შეწყვეტა. მეურვეობისა და მზრუნველობის



ორგანოებს უფლება აქვთ, აღძრან მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ,<sup>49</sup> ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ<sup>50</sup> სარჩელები და სხვა. ფიქტიური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს;<sup>51</sup> პროკურორს უფლება აქვს აღძრას სარჩელი რეკეტული ქონების ჩამორთმევის შესახებ და სხვა.

აქ იკვეთება სუბიექტთა ზემოაღნიშნული ორივე ჯგუფისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები: ყველა ამ სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ან განცხადებით, აქვთ საპროცესო ინტერესი, წარმოადგენენ საქმის მონაწილე პირებს და აღჭურვილი არიან ფართო საპროცესო უფლებებით, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეცვალონ სარჩელის საგანი ან საფუძველი, შეამცირონ ან გაადიდონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. ორივე ჯგუფისათვის საერთოა ისიც, რომ ყველა მათგანი პროცესში გამოდის თავისი სახელით.

რაც შეეხება კანონიერ და სახელშეკრულებო წარმომადგენლებს, ისინი პროცესში გამოდიან წარმოდგენილი პირის სახელით. ამიტომ სარჩელი მათ მიერ შეიტანება წარმოდგენილ პირთა სახელით. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, „წარმომადგენლობა გულისხმობს წარმოდგენილი პირის წარმომადგენლით ჩანაცვლებას იურიდიული ქმედების განხორციელებისთვის“.<sup>52</sup> მაგალითად, ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნით აღძრულ საქმეზე კანონიერ წარმომადგენელს თავისი სახელით რომ შეჰქონდეს სარჩელი, მაშინ მისი გარდაცვალება საქმის შეწყვეტას გამოიწვევდა. სამწუხაროდ, სასამართლოში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ეს პირები სარჩელს თავიანთი სახელით აღძრავენ, ხოლო სასამართლო არ იღებს სარჩელს, თუკი აღნიშნულ პირთა მიერ სარჩელი არ არის შეტანილი თავიანთი სახელით. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებაში, საქმეზე № 2/32238-18 სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძვლად ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე მიუთითა,

<sup>49</sup> სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლი.

<sup>50</sup> სამოქალაქო კოდექსის 1142-ე, 1143-ე მუხლები.

<sup>51</sup> სამოქალაქო კოდექსის 1145-ე მუხლი.

<sup>52</sup> Фадеева Т. А., Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение» 1988, №2, 63

რომ ალიმენტის გადახდის/დაკისრების მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელეს წარმოადგენს არასრულწლოვანის ის კანონიერი წარმომადგენელი, რომელთანაც არასრულწლოვანები ცხოვრობენ და არა თავად არასრულწლოვანები (სარჩელში, მოსარჩელეთა გრაფაში, დაფიქსირებული არიან სწორედ ბავშვები).<sup>53</sup> მოცემული განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ვინ უნდა იყოს მხარე პროცესში, განისაზღვრება მატერიალური სამართლით. მატერიალური სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მშობლები მოვალენი არიან ალიმენტი უხადონ არასრულწლოვან შვილებს. მაშასადამე, ალიმენტის გადახდის თაობაზე სამოქალაქო სამართლებრივი მატერიალური ურთიერთობის მონაწილენი არიან მშობლები და შვილები. შვილი კრედიტორია, რომლის უფლება, მოითხოვოს ალიმენტი, წარმოიშობა კანონის საფუძველზე. სასამართლო აქტი განსაზღვრავს შვილის უფლებას. შესაბამისად, მოსარჩელეც არის ის, ვინც მატერიალური სამართალურთიერთობის მონაწილეა და ვის უფლებასაც განსაზღვრავს სასამართლო აქტი. დავის საგანი პროცესში არის მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობა. ჩვენ მოსარჩელედ თუ მშობელს მივიჩნევთ, მაშინ მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში საქმე უნდა შეწყდეს. გარდა ამისა, თუ მშობელი კანონიერი წარმომადგენელია, მაშინ როგორ არის მოსარჩელე?

სასამართლომ ასევე ერთმანეთში აურია მოსარჩელისა და ე. წ. საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტები. მართალია, ეს უკანასკნელი თავის განჩინებაში არც უხსენებია სასამართლოს, მაგრამ სწორედ ეს ჩანს გასაჩივრებულ განჩინებაში. სსსკ-ის მეორე მუხლის შესაბამისად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად. ჩვენ რომ სიტყვასიტყვით გავყვეთ ამ დანაწესს, შესაძლოა ჩიხში მოვექცეთ, რადგან საპროცესო კოდექსში (დასახელებულ მე-2 მუხლში) დაშვებულია ხარვეზი და არ არის გათვალისწინებული ე. წ. საპროცესო მოსარჩელის ინსტიტუტი. საპროცესო მოსარჩელის კონსტრუქცია ვერ თავსდება სსსკ-ის მე-2 მუხლის იმ კონსტრუქციაში,

---

<sup>53</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 2/32238-18, 9 ნოემბერი 2018 წ.

რომლის დანაწესის შესაბამისადაც, სარჩელი უნდა აღძვრას, როგორც წესი, საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საპროცესო მოსარჩელე კი, როგორც ვთქვით, სარჩელს აღძრავს თავისი სახელით, მაგრამ სხვისი უფლებების დასაცავად. საპროცესო მოსარჩელეები სახელმწიფო ორგანოები არიან და მათ არ შეიძლება მიეკუთვნოს მშობელი.

გარდა ამისა, სასამართლომ თავისი განჩინებით ფაქტობრივად უარი თქვა სარჩელის მიღებაზე მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლით. სარჩელის მიუღებლობა კი, ხდება საპროცესო საფუძვლებით. თუმცა ბოლომდე სრულყოფილად არც სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე ვინაიდან, არ განმარტა მთავარი საკითხი: ვინ არის სათანადო მოსარჩელე ასეთ საქმეებზე. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ არასათანადოობის საფუძვლით სარჩელის მიღებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

ამრიგად, აშკარაა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი არ ითვალისწინებს საოჯახო საქმეთა თავისებურებას. აღნიშნული ნორმის გამოყენებამ ჩიხური ვითარება რომ არ გამოიწვიოს და არ დატოვოს შთაბეჭდილება, თითქოს პირს შეუძლია სასამართლოს მიმართოს მარტოოდენ თავისი უფლების დასაცავად, როგორც ეს დასახელებულ ნორმაშია ფორმულირებული, აუცილებელია ამ ფორმულირების შეცვლა და ახალ ფორმულირებაში იმის აღნიშვნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვა დასაშვებია ასევე კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში საკუთარი სახელით და სხვისი უფლებების დასაცავად. ცალკეული იურიდიული ფაქტის პროცესუალური თავისებურება გავლენას ახდენს სასამართლო წესით უფლების დაცვის, ანუ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელებაზე, ე. ი. თვით პროცესის აღძვრაზე. იურიდიულ ფაქტებს, რომლებსაც კანონში უკავშირდება სამოქალაქო საქმეთა აღძვრა, სამოქალაქო საპროცესო სამართალში ეწოდება სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

საპროცესო კანონმდებლობაში, ზოგადი წინაპირობების გარდა, საოჯახო საქმეებზე მოქმედებს სპეციალური წინაპირობები, რომლებიც გავლენას ახდენს სასარჩელო წესით უფლების დაცვაზე. საოჯახო კანონმდებლობის ნორმათა მიხედვით, უფლებების სპეციალურ წინაპირობებს საოჯახო საქმეებზე სარჩელის წარსადგენად

წარმოადგენს, მაგალითად, ქმრისათვის განქორწინების მოთხოვნის დაუშვებლობა ცოლის ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

დამატებითი სპეციალური წინაპირობების არსებობა საოჯახო საქმეების ცალკეულ კატეგორიებზე, რომლებიც დადგენილია ან გამომდინარეობს საოჯახო კანონმდებლობიდან, აფართოებს იმ იურიდიული ფაქტების წრეს, რომლებიც საქმის აღძვრის დროს სასამართლოს განხილვას ექვემდებარება. თუმცა ამ ფაქტების შემოწმება არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებს, სპეციალური გარემოებების ერთიანობა არ განსაზღვრავს არა სასამართლოსადმი საქმეთა უწყებრივ ექვემდებარებას, არამედ ახასიათებს სასამართლო წესით საოჯახო უფლებების დაცვას.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების დიდი ნაწილი განგრძობადი ხასიათისაა. საოჯახო სამართალურთიერთობების ეს ნიშნები ზემოქმედებს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ინსტიტუტის საოჯახო საქმეებზე გამოყენების სპეციფიკაზე, რომლის თანახმად, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განჩინება, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმასა ან მხარეთა მორიგებაზე.

მაგალითად, სასამართლოს უარი განქორწინების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ან ამ საქმეებზე საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, ხელს არ უშლის სასამართლოში განქორწინების შესახებ იმავე ან სხვა მეუღლის სარჩელის განმეორებით განხილვას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ წარმოიშობა ახალი გარემოებები, რომლებიც მოწმობს იმას, რომ მეუღლეებს არ შეეძლოთ ნორმალური ურთიერთობის აღდგენა ან ის ხელახლა შეწყდა. ამიტომ სასამართლოს მიერ განქორწინებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მეუღლეები უფლებამოსილი არიან კვლავ წარადგინონ იგივე სასარჩელო მოთხოვნა განქორწინების შესახებ.

სასამართლოში მიმართვის უფლება მოსარჩელეს აქვს სარჩელის საფუძვლის შეცვლის შემთხვევაშიც, რაც გამორიცხავს სარჩელთა იგივეობას. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაში დასაშვებია განქორწინების შესახებ სარჩელის წარდგენა, ასევე

იმ სარჩელების წარდგენა, რომლებიც შეეხება ალიმენტის გადახდევინებას, ბავშვების დაბრუნებას, როდესაც სარჩელის საფუძველში ჩნდება ახალი გარემოებები, რაც არ იყო სასამართლოს მხრიდან შემოწმებული (მეუღლეთა კონფლიქტი, მხარეთა მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, ბავშვების რაოდენობა, მათი მოთხოვნილება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ბავშვების ურთიერთობის შეცვლა და სხვ.).

როგორც ცნობილია, სარჩელის ელემენტები სასამართლოს აძლევს საშუალებას, მოახდინოს სარჩელთა ინდივიდუალიზაცია. ეს კი იმ შემთხვევაშია აუცილებელი, როცა სასამართლო წყვეტს შემდეგ საკითხს: ხომ არ არის იგივე სარჩელი უკვე მიღებული წარმოებაში სასამართლოს მიერ, ან ხომ არ იყო ეს სარჩელი წინათ (ადრე) უკვე განხილული და გადაწყვეტილი, ხომ არ გამოიტანა სასამართლომ ადრე მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგებს. აქ მითითებულია, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველით, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია დადგინდეს (გაირკვეს) აღძრული სარჩელის იგივეობა ადრე განხილულ მოთხოვნებთან ან იმ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც უკვე იმყოფება წარმოებაში. სარჩელები ერთნაირი იქნება, ე. ი. სარჩელთა იგივეობასთან გვექნება საქმე, თუ მათში აბსოლუტური სახით (სრულად, ზუსტად) ერთმანეთს ემთხვევა ამ სარჩელების საგანი და საფუძველი და, თუ საქმეში მონაწილეობენ იგივე მხარეები. სარჩელთა იგივეობის შემთხვევაში განცხადების განმეორებით (ხელმეორედ) მიღება და განხილვა დაუშვებელია. ამიტომაც, რომ, თუ სარჩელები იგივეობრივია, სასამართლო ვალდებულია, არ მიიღოს სარჩელი 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით; ან, თუ სარჩელი შეცდომითაა მიღებული, რის გამოც საქმე შეცდომით აღიძრა, შეწყვიტოს საქმისწარმოება 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტით; ანდა დატოვოს სარჩელი განუხილველად 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილი „ე“ პუნქტით. საყურადღებოა, რომ როდესაც საქმე ეხება ბავშვის მონაწილეობით

მიღებულ და კანონიერ ძალაში მყოფ გადაწყვეტილებას, ზემოაღნიშნული წესიდან არსებობს სერიოზული გამონაკლისი. ბავშვისათვის უზრუნველყოფილია სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება.<sup>54</sup> ბავშვზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები. სტრასბურგის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ არასრულწლოვანების პერიოდში ხანდაზმულობის ვადები ჩერდება. არასრულწლოვანს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო ყოველთვის ანიჭებს უფლებას სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ პირადად წამოიწყოს დავა საკუთარ უფლებებთან მიმართებაში.<sup>55</sup>

შესადარებელ სარჩელთა იგივეობა ან განსხვავება დგინდება სამი კრიტერიუმის მიხედვით: 1) სუბიექტური შემადგენლობა; 2) სარჩელის საგანი და 3) სარჩელის საფუძველი. როცა ყველა ეს მომენტი შესადარებელ სარჩელებში იდენტურია, სახეზეა სარჩელთა იგივეობა.

უფრო ხშირად ერთგვაროვანი მოთხოვნების არაერთგზის წარდგენას განაპირობებს განგრძობადი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურება. ასეთი ურთიერთობებიდან გამომდინარე, სარჩელში, როგორც წესი, იცვლება ერთი ელემენტი - საფუძველი, რომლის ხარჯზეც იგივეობა უკვე არ არსებობს. მაგალითად, დანიშნული ალიმენტის შესახებ სარჩელი შეიძლება აღიძრას განმეორებით, თუ აღნიშნული სარჩელის საფუძვლის ფაქტები (საქმის გარემოებები) შეიცვალა ან მათ დაემატა სხვა გარემოება, თუმცა ურთიერთობის სუბიექტები და სარჩელის საგანი იდენტური (იგივე) რჩება (მართლ საფუძველი იცვლება მასში და, შესაბამისად, აქ იგივე აღარ არის საფუძველი).

როგორც ითქვა, ფაქტობრივი საფუძველი არის სარჩელის ცალკე ელემენტი. სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც ალტერნატიული, ასევე უალტერნატივოც. სარჩელის ალტერნატიული ფაქტობრივი საფუძველი გულისხმობს რამდენიმე იურიდიული ფაქტის არსებობას (იურიდიული ფაქტების ერთობლიობას).

<sup>54</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლი.

<sup>55</sup> სტრასბურგის სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე სტანგო ბელგის წინააღმდეგ.

თითოეულ ფაქტს მატერიალური სამართლის ნორმებმა ცალ-ცალკე შეიძლება დაუკავშიროს სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შესაძლებლობა. ამიტომ უფლების ან ინტერესის დაცვის შესახებ ალტერნატიული საფუძვლით არსებული მოთხოვნა (ე. ი. სარჩელი) შეიძლება ეფუძნებოდეს, როგორც ერთ, ისე მეორე იურიდიულ ფაქტს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ერთ-ერთი ალტერნატიული საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ალტერნატიული საფუძვლის მქონე სარჩელებს საოჯახო საქმეებზე მიეკუთვნება: მამობის დადგენის სარჩელი;<sup>56</sup> მშობლის უფლებისა და მოვალეობის ჩამორთმევის სარჩელი.<sup>57</sup>

სარჩელის ალტერნატიული საფუძვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სარჩელის ერთ-ერთი ალტერნატიული საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სარჩელის სხვა ალტერნატიული საფუძვლით, რომელიც არ ყოფილა სასამართლოს განხილვის საგანი, შეიძლება სასამართლოს განმეორებით მიმართვა. მაგალითი: მშობლის უფლება-მოვალეობის ჩამორთმევის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმის გამო, რომ არ დადასტურდა მოპასუხის ნარკომანობა, დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას, განმეორებით მიმართოს სასამართლოს ანალოგიური მოთხოვნით, მაგრამ სხვა ალტერნატიული საფუძვლით. მაგალითად, ბავშვის მიმართ მოპასუხის უხეშად მოპყრობის მოტივით.<sup>58</sup> სხვაგვარად წყდება უალტერნატივო საფუძვლის მქონე სარჩელთა გარეგნული იგივეობის საკითხი. კერძოდ, როდესაც ემთხვევა ისეთი ელემენტები, როგორც არის საგანი, საფუძველი და მხარეები, სარჩელთა გარეგნულ იგივეობას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ფაქტები, რომლებიც შესაძარებელ სარჩელთა ფაქტობრივ საფუძველს ქმნის, არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუ თავის დროზე ეს ფაქტები არ წარმოადგენდა სასამართლოს განხილვის საგანს, მაშინ დაინტერესებული პირი უფლებამოსილი არ არის მიმართოს სასამართლოს იგივეობრივი სარჩელით. აღნიშნულ ვითარებაში მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით შემოწმება (თუ გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში) ან

<sup>56</sup> სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი.

<sup>57</sup> სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლი.

<sup>58</sup> სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლი.

მოითხოვოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმისწარმოების განახლება ახალდმოჩენილი გარემოების გამო. თუკი ფაქტები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალ სარჩელს, წარმოიშვა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მაშინ ეს ფაქტები ქმნის სარჩელის ახალ ფაქტობრივ საფუძველს. ასეთ სიტუაციაში სასამართლოს მიერ განხილული და ხელახლა აღძრული სარჩელები არ წარმოადგენს იგივეობრივ სარჩელებს ფაქტობრივი საფუძვლის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირს აქვს სარჩელის აღძვრის უფლება ახალი საფუძვლით.

განქორწინების შესახებ საქმეებზე ახალ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს ერთობლივი ცხოვრების შეწყვეტა, რომლის განახლებაც არ ხდება მეუღლეთა მიერ და სასამართლოს მიერ განქორწინების შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილებლობა, ან მეუღლეთა ახალი კონფლიქტი, რომლის გამოც შეუძლებელია ოჯახის შენარჩუნება.

ცხადია, რომ სარჩელები მშობელთა უფლების ჩამორთმევის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნას განმეორებითაც, თუ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ გაჩნდა ახალი გარემოებები, რომლებიც არ გაითვალისწინა სასამართლომ (მშობელთა ანტისაზოგადოებრივი სახის ცხოვრება, ბავშვთა აღსაზრდელად ნორმალური პირობების არარსებობა და სხვ.). არ შეიძლება გამოირიცხოს მშობელთა უფლების აღდგენის მიზნით განმეორებითი სარჩელის წარდგენა, მას შემდეგ, რაც თავდაპირველად სასამართლომ უარი განაცხადა ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მშობელმა არასაკმარისად შეცვალა თავისი ყოფაქცევა და არ იმსახურებს ნდობას ბავშვთა აღზრდის მხრიდან. რადგან სამართლებრივი ურთიერთობები შვილებსა და იმ მშობლებს შორის, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, ნაწილობრივ ინარჩუნებს თავის არსებობას, მშობლებს შეუძლიათ, შეეცადონ თავიანთი უფლებების აღდგენას. თუ პირს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მისი ბავშვი შვილად იქნა აყვანილი სხვა პირების მიერ, მაშინ სარჩელის განმეორებითი წარდგენა მშობლის უფლების აღდგენისათვის არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხდება შვილად აყვანის გაუქმება.



შეიძლება გაერთიანდეს საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. ეს ეხება შეგებებული სარჩელის აღძვრასაც. მათ განხილვას ერთ წარმოებაში ეძლევა ისეთი დიდი მნიშვნელობა, რომ აქვს სავალდებულო და არა - ფაკულტატური ხასიათი. საოჯახო საქმეებზე არცთუ იშვიათად ადგილი აქვს მოთხოვნათა გაერთიანებას, რომელთა გადაწყვეტა ერთ წარმოებაში უფრო მიზანშეწონილია (განქორწინების საქმეებზე, მშობელთა უფლებების ჩამორთმევის შესახებ და სხვ.).

## 2.2. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე

### საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობა

როგორც ცნობილია, ყველა სამოქალაქო საქმე იყოფა სამართალწარმოების სახეებად. სამართალწარმოების თითოეული სახის უწყებრივი ქვემდებარეობისათვის სხვადასხვა წესი გამოიყენება, კერძოდ: უდავო წარმოებისა და გამარტივებული წესით განსახილველი ყველა საქმე, იმდენად, რამდენადაც ამ წესით განსახილველ საქმეთა მოცულობა დიდი არ არის, უშუალოდაა ჩამოთვლილი კანონში, ე. ი. კანონით განსაზღვრულია, თუ რომელი საქმეები განიხილება უდავო და გამარტივებული წესებით.<sup>59</sup>

აღსანიშნავია, რომ საოჯახო საქმეები გამარტივებულად არ განიხილება. თუმცა ზოგიერთი საოჯახო საქმე განიხილება უდავო წარმოების წესით. მაშასადამე, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, კანონმდებლის მიერ ამომწურავად არის განსაზღვრული ის საოჯახო საქმეები, რომლებიც უდავო წესით განიხილება.

---

<sup>59</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე და 312-ე მუხლები და 33-ე, 34-ე და 34<sup>1</sup>, 34<sup>2</sup>, 34<sup>3</sup> თავები.

სასარჩელო წესით განსახილველი საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობის დახასიათებისათვის კი მათი სრულად ჩამოთვლის მეთოდი საქმეთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით არ გამოიყენება, რაც იმით აიხსნება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ ან თუნდაც რამდენიმე მუხლში (ნორმაში) ყველა სასარჩელო საქმის ჩამოთვლა, რომელიც უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მრავალფეროვნების გამო შეუძლებელია. იგივე უნდა ითქვას საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე იმ საქმეებზეც, რომლებშიც არსებობს დავა უფლების შესახებ.

რასაკვირველია, შეუძლებელია კანონით ამომწურავად განისაზღვროს, კონკრეტულად რომელი საქმეები ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად. ამიტომ არის, რომ საპროცესო კოდექსი შეიცავს ზოგად დებულებებს, თუ რა ხასიათის, რა კატეგორიის საქმეები შეიძლება განიხილოს სასამართლომ.<sup>60</sup> კონკრეტულად კი, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებების, აგრეთვე – კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, თუ ამ საქმეთა განხილვა, კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია შევხვით მხოლოდ საოჯახო დავებს. საოჯახო დავაც სამოქალაქო დავას განეკუთვნება.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისადმი ამა თუ იმ ურთიერთობის მიკუთვნების, ასე ვთქვათ, გარეგნული ნიშანია ის, ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები თუ რომელ სამართლებრივ წყაროებშია მოცემული, კერძოდ: თუ სამართალურთიერთობა წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, ანდა სხვა სამოქალაქო სამართლებრივი წყაროებით, ეს ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივია (კერძო სამართლებრივია). თუ მისი მომწესრიგებელი ნორმები შრომის კოდექსს ან შრომის სამართლის სხვა წყაროს შეიცავს, ეს ურთიერთობა

---

<sup>60</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი. ხოლო ამავე კოდექსის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ, კანონით, სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

ჩაითვლება შრომით სამართლებრივ ურთიერთობად და ა. შ. მაგრამ სამართლის ზოგიერთ წყაროს საერთოდ არა აქვს ნათლად გამოხატული დარგობრივი კუთვნილება. მსგავს შემთხვევებში სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის (მისი იურიდიული ბუნების) განსაზღვრისათვის ვერ დავეყრდნობით გარეგნულ ნიშანს, არამედ ამ შემთხვევაში უნდა გამოვიდეთ სადავო სამართალურთიერთობის ელემენტის (სუბიექტი, ობიექტი, უფლება-მოვალეობა) ანალიზიდან და ამ გზით დავადგინოთ, სინამდვილეში რომელ დარგს მიეკუთვნება ეს ურთიერთობა.

საპროცესო კანონი ცალკე გამოყოფს საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. თუმცა აღნიშნული არ იყო საჭირო, ისევე როგორც არ იყო საჭირო სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლში სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროდ საოჯახო ურთიერთობების სპეციალურად გამოყოფა, რადგან საოჯახო ურთიერთობა და საოჯახო საქმე იგივეა, რაც სამოქალაქო ურთიერთობა და სამოქალაქო საქმე.

საპროცესო კოდექსში სამართალწარმოების ცალკე სახედაა გამოყოფილი საქორწინო საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება, განსაზღვრულია ამ საქმეთა წარმოების თავისებურებანი. საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი მრავალი სამართლებრივი დავა და სამართლებრივი საკითხი სასამართლო წესით წყდება. თუმცა საოჯახო უფლებათა დაცვა არასასამართლო წესითაც არის შესაძლებელი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას განქორწინება დასაშვებია სახემწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.<sup>61</sup> სსსკ-ის მე-11 მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს, განიხილოს საქმე, რომელიც კანონით სხვა ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

ზოგჯერ კანონი ითვალისწინებს საოჯახო უფლებების დაცვის შესაძლებლობას სანოტარო წესით. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

---

<sup>61</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი.

სასამართლოების მიერ განსახილველ საქმეთაგან არბიტრაჟები განიხილავენ მხოლოდ ქონებრივ დავებს, რომლებიც არბიტრაჟს მხარეთა შეთანხმებით გადაეცემა.<sup>62</sup> ამდენად, არბიტრაჟის უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრისათვის კანონმდებლობით ორი კრიტერიუმი გამოიყენება (ორი კრიტერიუმი არსებობს): დავა უნდა იყოს სამოქალაქო სამართლებრივი (კერძოდ კი, ქონებრივი) და მხარეთა შეთანხმება (რომელიც წერილობით ფორმდება). ასეთი საარბიტრაჟო ხელშეკრულება ცალკეც შეიძლება გაფორმდეს (ცალკე დოკუმენტში). შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებაშიც აისახოს საარბიტრაჟო დათქმა. თუ ფიზიკური პირები თანხმდებიან დავის არბიტრაჟში განხილვაზე, მაშინ ეს შეთანხმდება სანოტარო წესით დასტურდება. საოჯახო საქმეები, მათ შორის მეუღლეთა საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრული ქონებრივი საკითხები, არბიტრაჟს ვერ დაექვემდებარება, რადგან კანონმდებლობა კრძალავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების საქორწინო კონტრაქტით შეზღუდვას.<sup>63</sup>

საოჯახო საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს საოჯახო უფლებათა სამართლებრივი დაცვის ფარგლები, უწყებრივი ქვემდებარეობის კრიტერიუმები, საოჯახო საქმეთა სასამართლო და ადმინისტრაციული ქვემდებარეობის კავშირი. საოჯახო კანონმდებლობის სპეციალური პროცესუალური ნორმების დახასიათებისას აღინიშნებოდა, რომ უწყებრივი ქვემდებარეობის ნორმებს მათ შორის დიდი ადგილი უკავია. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა საოჯახო უფლებების სამართლებრივი დაცვის სფეროს გაფართოებას.

ოჯახის სამართლებრივი დაცვის ფარგლები გაფართოებულია, პირველ რიგში, ისეთი უფლებების დაცვით, რომელთა სასამართლო წესით დაცვას მანამდე ადგილი არ ჰქონია (მამობის დადგენა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების მონაწილეობა ბავშვთა აღზრდაში, შვილების ჩამორთმევა მშობელთა უფლების ჩამორთმევის გარეშე და სხვ.) და მეორე რიგში, სასამართლო და ადმინისტრაციული უწყებრივი ქვემდებარეობის ურთიერთკავშირის შეცვლის შედეგად. უწყებრივი ქვემდებარეობის ამ ორი სახის

<sup>62</sup>იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი.

<sup>63</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ურთიერთკავშირის შეცვლას ახასიათებს ის, რომ ზოგიერთი საქმე, რომელთა განხილვა მოხდა ადმინისტრაციული წესით, მიკუთვნებულ იქნა სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას (შვილების გაუქმება) და პირიქით, ადმინისტრაციული უწყებრივი ქვემდებარეობა ფართოვდება იმის ხარჯზე, რომ შემცირებულ იქნას სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა.

ადმინისტრაციული წესით საოჯახო საქმე შეიძლება გადაწყდეს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (მაგალითად, ქორწინების შეწყვეტა).

არა მარტო სასამართლო, არამედ ადმინისტრაციული წესით საოჯახო უფლებების დაცვა მოითხოვს, განსაზღვრულ იქნეს ამ საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის ძირითადი შემთხვევები: 1) საქორწინო და საოჯახო საქმეთა უმრავლესობისათვის დადგენილია მარტოდენ სასამართლო წესი. 2) საოჯახო საქმეთაგან საქმე ქორწინების შეწყვეტის შესახებ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციული წესით.

განქორწინების საქმეებისთვის სასამართლო წესი წარმოადგენს გამონაკლისს, ხოლო ადმინისტრაციული - ძირითადს.<sup>64</sup>

სასამართლო და ადმინისტრაციული უწყებრივი ქვემდებარეობის სხვადასხვაგვარი ურთიერთკავშირი მოწმობს არა მარტო საოჯახო კანონმდებლობის უწყებრივი ქვემდებარეობის სირთულეს, არამედ გვიჩვენებს ამ წესების არასრულ შესაბამისობას პროცესუალური კანონმდებლობის ნორმებთან, სადაც სასამართლო წესი არის ძირითადი, ხოლო სხვა ორგანოთა კომპეტენციას ეს საქმე განეკუთვნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. სასამართლო და ადმინისტრაციული უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისობა საოჯახო საქმეებზე გვამლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ საოჯახო უფლებათა დაცვის ძირითადი ფორმებია: სასამართლო და ადმინისტრაციული. ეს დასკვნა ვრცელდება პირველ რიგში საოჯახო საქმეებზე, რომლებიც წარმოიშობა პირადი არაქონებრივი სამართალურთიერთობებიდან. რაც შეეხება საოჯახო ქონებრივი უფლებების დაცვას, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე

<sup>64</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 543-560

დავებისათვის არ არის დადგენილი მათი განხილვა ადმინისტრაციული წესით, ისინი განიხილება სასამართლო წესით.

კანონმდებლობის შეცვლასთან ერთად, ქორწინების შეწყვეტის წესის შესახებ სასამართლო და ადმინისტრაციული უწყებრივი ქვემდებარეობის ურთიერთკავშირი მრავალგზის იცვლებოდა, რაც უკავშირდება სასამართლოს მხრიდან სხვადასხვა საკითხის შეფასებას სხვადასხვაგვარი საქმეების განხილვისას. ეს ხდებოდა ან მეუღლეთა ქორწინების შეწყვეტის დაფიქსირებისას, ან საოჯახო ურთიერთობების აღდგენის ხელშეწყობისას, მეუღლეთა შესარიგებლად ზომების მიღებისას.

რეალურად განქორწინების სასამართლო პროცედურა შესაძლებლობას იძლევა, არა მარტო დაადგინოს ოჯახის დანგრევის ფაქტი, არამედ ეფექტურად მოახდინოს გავლენა საოჯახო ურთიერთობების განმტკიცებაზე, თუ სასამართლოში შეიქმნება მდგომარეობა, რომელიც ხელს შეუწყობს განქორწინების მიზეზების გამოვლენას და მეუღლეთა შერიგებას. სასამართლო წესით ქორწინების შეწყვეტისას ხდება განქორწინების თავისუფლების პრინციპის დაცვა და ერთდროულად მეუღლეთა განქორწინების შესახებ დაუფიქრებელი გადაწყვეტილების პრევენციაც. ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება აზრი, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს სასამართლო წესით განქორწინებას.

ადმინისტრაციული წესით განქორწინების შესაძლებლობა მანიშნებელია მეუღლეთა თავისუფალი ნების გამოვლენისა ქორწინების შეწყვეტისას, რაც კავშირშია თავისუფალ განქორწინებასთან. თუმცა სასამართლო წესით ქორწინების შეწყვეტა ხაზს უსვამს ქორწინებისა და ოჯახის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და სასამართლოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მეუღლეებს თავიანთი ურთიერთობების გაუმჯობესებაში. ქორწინების იურიდიული შეწყვეტის მიზნით სასამართლოში მიმართვისას სასურველია მოხდეს მეუღლეთა დაუფიქრებელი და სწრაფი გადაწყვეტილების თავიდან აცილება.

მოსამართლეს უფლება არა აქვს, უარი უთხრას მეუღლეს განქორწინების შესახებ განცხადების მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ქორწინების შეწყვეტა შესაძლებელია

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, თუ მეორე მეუღლე, განქორწინების თანხმობის მიუხედავად არ ცხადდება განქორწინების რეგისტრაციისათვის.

მეუღლეებს ჩამორთმეული არა აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს იმ დროს, როდესაც განქორწინება შესაძლებელია სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მეშვეობით, ანუ მათ თვითონ შეუძლიათ აირჩიონ ორგანო, სადაც მოხდება ქორწინების შეწყვეტა. შესაბამისად, როდესაც ხდება მეუღლეთა მიერ ქორწინების შეწყვეტა, მოქმედებს ალტერნატიული უწყებრივი ქვემდებარეობის წესები.

სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი საქმის აღძვრის სტადიაზე, რადგან ამაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ სარჩელის მიღების საკითხის დადებითად გადაწყვეტა.<sup>65</sup> საქმე ისაა, რომ მარტოდენ სარჩელის სასამართლოში შეტანის ფაქტი არ არის საკმარისი საქმის განხილვის დასაწყებად. სარჩელის შეტანა აზრს მოკლებულია, თუკი სასამართლო მას არ მიიღებს. სასამართლო სარჩელს არ მიიღებს სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით, რომელთაგან ერთ-ერთია მოსარჩელის მიერ უწყებრივი ქვემდებარეობის წესის დარღვევა. საინტერესოა განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება დავადგინოთ, რომ კონკრეტული საოჯახო საქმე სასამართლოს არ ექვემდებარება უწყებრივად. საოჯახო ნორმების ანალიზის შედეგად, ასეთი რამდენიმე კრიტერიუმი შეიძლება გამოიკვეთოს. პირველი კრიტერიუმი არის შემთხვევა, როდესაც მოთხოვნა არასამართლებრივი ხასიათისაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.<sup>66</sup> მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორედ იმიტომ უნდა თქვას უარი სარჩელის მიღებაზე, რომ ასეთი მოთხოვნა არასამართლებრივი ხასიათისაა. ამგვარი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ სკ-ის 1109-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველ ნაწილთან

<sup>65</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ სარჩელის წარმოებაში მიღების კატეგორიის ნაცვლად გამოიყენება სარჩელის მიღების კატეგორია. აღარც სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანა ხდება.

<sup>66</sup> სკ-ის 1109-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „მოთხოვნა“ სრულიად ზედმეტია, ვინაიდან ამავე ნორმაში აღნიშნული სიტყვა სარჩელი იგივეა, რაც მოთხოვნა

დაკავშირების შედეგად, რამეთუ, პირველი ნაწილის თანახმად, ნიშნობა არ წარმოშობს დაქორწინების ვალდებულებას. მამასადამე, ნიშნობით არ წარმოიშობა საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობა. საქმის სასამართლოსადმი უწყებრივად არაქვემდებარეობის ერთ-ერთი კრიტერიუმი მოთხოვნის არასამართლებრივი ხასიათი რომ არის, ეს მითითებულია საპროცესო ლიტერატურაში.<sup>67</sup>

მეორე კრიტერიუმი, როდესაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ საოჯახო საქმე უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, არის შემთხვევა, როცა კანონით დადგენილია აკრძალვა ან შეზღუდვა ამ საქმის სასამართლოში აღძვრაზე. პირველი კრიტერიუმისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია სამომავლოდ სარჩელის აღძვრა, თუკი აღარ იარსებებს სარჩელის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოება. მაგალითად, საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის თანახმად, ქმარს ცოლის თანხმობის გარეშე არა აქვს განქორწინების საქმის აღძვრის უფლება ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. ეს დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როცა ბავშვი მკვდარი დაიბადება ან გარდაიცვლება ერთი წლის ასაკის მიღწევამდე. თუ ორსულობა შეწყდება, ე.ი. აღმოიფხვრება განქორწინების დაუშვებლობის გარემოება, მაშინ დასაშვებია განქორწინება ცოლის თანხმობის გარეშე. განქორწინების აკრძალვას კანონი არ უკავშირებს მამისა და ბავშვის სისხლით ნათესაობის ფაქტს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოქმედებს მამობის პრეზუმფცია. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვისთან იმყოფება ერთ წლამდე ბავშვი.

დასახელებული ნორმით, შეზღუდულია მხოლოდ ქმრის უფლება, ხოლო ცოლს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს აღძვრას განქორწინების სარჩელი. სწორედ ამის გამო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება მოცემული წესის კრიტიკა. კერძოდ, სკ-ის 1153-ე მუხლის გათვალისწინებით, აღნიშნულია შემდეგი: დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, მიუხედავად მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი

<sup>67</sup> იხ. მაგალითად, ავტორთა კოლექტივის მიერ (შ. ქურდაძე და სხვ.) გამოცემული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთ დასახელებული კომენტარი, თბ. 2022.



მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებებისა. თუმცა, ავტორის აზრით, აღნიშნული მუხლის დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსს, კერძოდ, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.

ე.ი. აღნიშნული ნორმა არღვევს მეუღლეთა თანასწორობის პრინციპს, ვინაიდან, საოჯახო კანონმდებლობით, ცოლის მიმართ არ არის გათვალისწინებული ანალოგიური შეზღუდვები.<sup>68</sup>

აღნიშნული მოსაზრების გაზიარება არ შეიძლება. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სკ-ის 1153-ე მუხლში საუბარია დისკრიმინაციის აკრძალვაზე დაქორწინებისას და საქორწინო ურთიერთობებში, ხოლო სკ-ის 1123-ე მუხლში საუბარია სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვაზე. შესაბამისად, ერთი ნორმა მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათისაა, მეორე კი – საპროცესო ხასიათის. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეზღუდოს კანონმდებელმა.

მაგალითად, სკ-ის 1143-ე მუხლის თანახმად, დამაბრკოლებელი გარემოებების საფუძველით, ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. სკ-ის 1144-ე მუხლის თანახმად, იძულებითი დაქორწინების შემთხვევაში ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრა შეუძლია მეუღლეს (მეუღლეებს), ე. ი. ასეთ სარჩელს ვერ აღძრავს ნებისმიერი პირი, ვისი უფლებაც დაირღვა ამ დაქორწინებით. სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლების მქონე სუბიექტთა წრის შეზღუდვის მიზანი მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობს თავად მეუღლეთა უფლებების დაცვაში, რომელთაც შესაძლოა არ

<sup>68</sup> ეკატერინე ნინუა, მართლმსაჯულება და კანონი 3'12(2012) - მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, გვ. 46

სურდეთ ამგვარი მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის აღძვრა. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს არ ერთმევა დაქორწინებით დარღვეული კონკრეტული უფლების (მაგალითად, სამემკვიდრეო უფლების) დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. თუმცა სასამართლოსადმი მიმართვა პრაქტიკულად აზრს მოკლებულია, როცა პირს არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა (საფუძველი), სადავო გახადოს ქორწინება ბათილობის მოტივით. საერთაშორისო სამართლის რიგი უმნიშვნელოვანესი წყაროები (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ასევე რეგიონალური მნიშვნელობის - კერძოდ, ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია), განსაზღვრავენ რა ადამიანის იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუყოფელია ყოველი გონიერი არსებისაგან, ადგენენ მათი დაცვის გარანტიებსა და ასეთი დაცვის განხორციელების საზედამხედველო მექანიზმებს, ერთ-ერთ უმთავრეს უფლებად სწორედ სასამართლოსადმი მიმართვის, ასევე სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოთი პირის უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებენ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური. სახელმწიფოს უფლება აქვს, დაადგინოს შეზღუდვები სარჩელის სამართალწარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა, ამავე დროს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ ხასიათის შეზღუდვის გამოყენებით არ მოხდება სასამართლოსადმი მიმართვის არსის ხელყოფა.<sup>69</sup>

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტი სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობად სწორედაც რომ უშვებს გარკვეული ვალდებულებების დაწესების შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი

---

<sup>69</sup> Case of Jedamaski and Jedamaska v. Poland, 26 July 2005.

ითვალისწინებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას; თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც თეორიული უფლება და მან არ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ უფლების აღიარება საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით. საქმეში APOSTOL V. GEORGIA ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა: სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვის უფლება ასევე მოიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (ვინაიდან აღსრულება სასამართლო სამართალწარმოების განუყოფელი ნაწილია).<sup>70</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკ-ის 1123-ე მუხლის კრიტიკა გაუმართლებელია. მით უმეტეს, იმ ფონზეა მიუღებელი დასახელებული ნორმის არამართებულობაზე მსჯელობა, როცა ქმრის სარჩელის მიღებაზე უარის თქმა სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტით არ გახდება სასამართლოსადმი განქორწინების სარჩელით განმეორებით მიმართვის დამაბრკოლებელი ფაქტორი, თუ მომავალში აღარ იარსებებს სკ-ის 1123-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები. მსგავს შემთხვევებში სარჩელის აღძვრის ასეთი თავისებურება განპირობებულია საქორწინო-საოჯახო სამართალურთიერთობების განგრძობადი ხასიათით, ხოლო, როგორც ნაშრომში არის გატარებული აზრი, მატერიალური ურთიერთობების ხასიათი გავლენას ახდენს საქმის პროცესუალურ თავისებურებებზეც.

მესამე პირობა, როცა სარჩელი უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს, არის შემთხვევა, როდესაც მოსარჩელეს არ გააჩნია სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა. თუმცა მოცემული პირობა არ გამოიყენება, მაგალითად, განქორწინების საქმესა და ზოგადად საოჯახო საქმეზე, რამეთუ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირი საპროცესო უფლებაუნარიანობის მქონეა დაბადების მომენტიდან და არ შეიძლება შეიზღუდოს საპროცესო უფლებაუნარიანობაში.

---

<sup>70</sup>Apostol v. Georgia, 28 november, 2006.

## 2.3. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის

### განსჯადობის თავისებურებანი

მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება, მან განსჯადობა უნდა შეამოწმოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავში, რომელიც უშუალოდ საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს ეხება, განსჯადობაზე სპეციალურად არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, როდესაც სასამართლო განიხილავს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებრივ დავას, მან უნდა იხელმძღვანელოს ამავე კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილი წესით; მე-14 მუხლის „გ“ პუნქტთან ერთად, საოჯახო საქმეთა უდავო წარმოების წესით განსჯადობას აწესრიგებს სსკ-ის მე-14, მე-19<sup>1</sup> მუხლები და უდავო წარმოების თავში ასახული შესაბამისი წესები. გარკვეულ უხერხულობას ქმნის მე-19 მუხლის სათაური, რომელსაც ეწოდება „ოჯახური დავების განსჯადობა“. „ოჯახური დავა“ ზუსტად არ გამოხატავს მოვლენის არსს. უფრო სწორი იქნება, თუკი ნორმის სათაური შეიცვლება შემდეგი სახით: „საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა“. საქმე ისაა, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა შეიძლება წარმოიშვას იმ პირებს შორის, რომლებიც ერთ ოჯახს არ წარმოადგენენ. ზემოაღნიშნული ნორმის სათაურიდან კი იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საუბარია იმ პირთა შორის დავაზე, რომლებიც ერთი ოჯახის წევრები არიან. როგორც ცნობილია, საოჯახო ურთიერთობები, მათ შორის, ბუნებრივია, დავაც, წარმოიშობა არა მხოლოდ ერთი ოჯახის წევრებს შორის, არამედ იმ პირთა შორისაც, რომლებიც არ არიან ოჯახის წევრები. ამრიგად, სამართლებრივი კავშირები შეიძლება არა მარტო ერთი, არამედ სხვადასხვა ოჯახის წევრებს შორისაც არსებობდეს, მაგალითად, სრულწლოვანი წევრები დამოუკიდებელ ოჯახებს ქმნიან, თუმცა ისინი მაინც არიან ვალდებული მატერიალურად დაეხმარონ სხვა ოჯახში მცხოვრებ თავიანთ არასრულწლოვან და-ძმებს. სხვა ოჯახში მცხოვრები მამა შეიძლება სამართლებრივად დაკავშირებული იყოს მეორე ოჯახში თავის პირველ

მეუღლესთან აღსაზრდელად მყოფ თავის შვილთან, ანდა მშობლები და შვილები შესაძლოა სხვადასხვა ოჯახში ცხოვრობდნენ. მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ აუცილებელია ორივე მშობელთან თანაბრად იზრდებოდეს ბავშვი. ამ პროცესს ლიტერატურაში გაერთიანებული მეურვეობის სახელითაც მოიხსენიებენ.<sup>71</sup>

რადგან საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა დავისათვის ერთიანი განსჯადობის წესი კანონით არ არის დადგენილი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცალკეული კატეგორიის საოჯახო დავის განსჯადობის თავისებურება. კერძოდ, არასრულწლოვანი ბავშვებისთვის ალიმენტის გადახდის საქმეები, გვარეობით განსჯადობის თვალსაზრისით, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია. თუმცა, თუკი ალიმენტის გადახდევინების სარჩელთან ერთად განიხილება მოთხოვნა, რომელიც განეკუთვნება რაიონული სასამართლოს განსჯადობას (მაგალითად, ალიმენტის მიმღებთან ერთად საცხოვრებლად ბავშვის გადაცემის შესახებ მამობის დადგენას), საქმეს განიხილავს რაიონული სასამართლო.

ალიმენტის გადახდევინების საქმის ტერიტორიული განსჯადობა გულისხმობს ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღებას იმ პირის მიერ, ვინც სასამართლოს მიმართა, ე. ი. აქვს უფლება, ალიმენტის გადახდევინების შესახებ მოთხოვნის განხილვის ადგილად აირჩიოს სასამართლო ალიმენტის მიმღების (მოსარჩელის) საცხოვრებელი ადგილის ან იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელსაც ევალება მისი გადახდა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ აქ ლაპარაკია

---

<sup>71</sup> Roz Zinner – Joint Physical Custody, 2013, მითითებულია ნაშრომიდან: მარინე კვაჭაძე, ქეთევან ჩიგოგიძე, გულიკო მჭედლიშვილი, ბავშვის მეურვეობის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (ზოგიერთი ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2018 წ. გვ. 32. ამავე მოსაზრებას იზიარებენ და მართებულადაც საოჯახო სამართლის ქართველი მკვლევრებიც. აღინიშნება, რომ „საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა ყოველთვის არ გულისხმობს ოჯახის არსებობას“. ნახეთ, რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა ხასიათი და იურიდიულ ფაქტების მნიშვნელობა მის განსაზღვრებაში, პროფ. ბ. ზოიძის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 463

ალიმენტის მიმღების, როგორც საალიმენტო სამართალურთიერთობის მონაწილის და არა – მისი წარმომადგენლის, ფუნქციის შემსრულებლის საცხოვრებელ ადგილზე.

თავისებურებით გამოირჩევა ალიმენტის შეცვლის შესახებ სარჩელის განსჯადობა. ასეთ დროს განსჯადობის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ ვის მიერ არის აღძრული სარჩელი ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ. თუკი ასეთი მოთხოვნა წამოყენებულია იმ პირის მიერ, ვინც მოვალეა გადაიხადოს ალიმენტი, სარჩელი შეტანილ უნდა იქნას თავდაპირველი მოსარჩელის, ანუ ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებაში მოსარჩელედ არის მითითებული. პირიქით, თუკი ალიმენტის მიმღების მიერ აღიძრა სარჩელი, მოქმედებს ალტერნატიული განსჯადობის წესები, რომელთა თანახმად, სარჩელი შეიძლება წაყენებულ იქნას მოსარჩელის არჩევით, თავისი საცხოვრებელი ადგილის ან ალიმენტის გადამხდელის, ანუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ალიმენტის ოდენობის გადიდების მოთხოვნის, ანუ სარჩელის აღძვრისას მოსარჩელე თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. პირი, რომელმაც წარადგინა სარჩელი ალიმენტის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის შეწყვეტის შესახებ, მოვალეა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი მის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადებისათვის, სარჩელის ფასიდან გამომდინარე, რომელიც განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ალიმენტი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო ალიმენტის შეწყვეტის სარჩელზე – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში, დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

ალიმენტის სხვაგვარი ოდენობის დადგენის საფუძველს, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს ერთ-ერთი მხარის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლა (აღნიშნულს ადგილი უნდა ჰქონდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელმაც განსაზღვრა ალიმენტის ოდენობა). საალიმენტო ვალდებულების მქონე მხარეთა ოჯახური და მატერიალური მდგომარეობა შეიძლება როგორც გაუმჯობესების, ისე გაუარესების მხრივ შეიცვალოს, იმასთან შედარებით, რაც იყო თავის დროზე, ანუ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის.

გვარეობითი განსჯადობის თვალსაზრისით, საქმეები მამობის დადგენის შესახებ პირველი ინსტანციით განიხილება რაიონული სასამართლოების მიერ. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების უმეტესობას კანონი მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას მიაკუთვნებს<sup>72</sup> და პირდაპირ მიუთითებს ამ წესიდან გამონაკლისზე რამდენიმე საქმის მიმართ, მათ შორის ამგვარი გამონაკლისი კანონით გათვალისწინებულია მამობის დადგენისა და მისი სადავოდ ქცევის საქმეებთან დაკავშირებით.

ამ საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას ალტერნატიული ხასიათი აქვს. სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, სარჩელები ალიმენტის გადახდევინებისა და მამობის დადგენის შესახებ მოსარჩელემ შეიძლება ასევე წარუდგინოს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმის მიუხედავად, იყო თუ არა სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეტანილი ალიმენტის გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან ერთად თუ ცალკე, მისგან დამოუკიდებლად. მიგვაჩნია, რომ ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც სარჩელს მამობის დადგენის შესახებ წარადგენს ბავშვის ფაქტობრივი მამა, ვინაიდან სხვა წესს ამ საკითხთან დაკავშირებით კანონი არ შეიცავს.

მოპასუხის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციის არარსებობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დამაბრკოლებელ ფაქტორს. როდესაც მოპასუხის ადგილსამყოფელი არ არის ცნობილი, სასამართლო საქმეს განიხილავს მოპასუხის უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამის შესახებ ცნობები უნდა წარედგინოს სასამართლოს.

შესაძლებელია მოპასუხეზე ძებნის გამოცხადება იმ პირობით, თუ მამობის დადგენის შესახებ სარჩელთან ერთად წამოყენებულია მოთხოვნა მოპასუხისთვის ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების შესახებ. ამ შემთხვევაში მოსამართლე

---

<sup>72</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი.

მოვალეა გამოიტანოს განჩინება მოპასუხის ძებნის შესახებ, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის მიუხედავად.<sup>73</sup>

რამდენადაც მამობის დადგენის მოთხოვნა უკავშირდება ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ამ საქმეზე სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯი (კერძოდ, ექსპერტიზის და სხვა ხარჯი) არ უნდა გადაიხდევინებოდეს, სსკ-ის 46-ე მუხლიდან გამომდინარე.

სპეციფიკურობით გამოირჩევა განქორწინების საქმეთა განსჯადობა. ამ საქმეთა განხილვა გვაროვნული განსჯადობის მიხედვით ხდება მაგისტრატის მოსამართლის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განქორწინების მოთხოვნას ახლავს მეუღლეებს შორის დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე. ასეთ დროს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმის განხილვა წარმოებს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

რაც შეეხება განქორწინების საქმეთა ტერიტორიულ განსჯადობას, აღნიშნული (და საერთოდ ოჯახური დავების განსჯადობა) მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური (მე-19) მუხლით. ამ მუხლით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, განქორწინების სარჩელი უნდა აღიძრას სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს, მიუხედავად იმისა, მეუღლეები ერთად ცხოვრობენ თუ – ცალ-ცალკე. თუ მეუღლეებს სარჩელის შეტანის დროისათვის ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ, სარჩელი შეტანილ უნდა იქნას მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ მას, ვინც მოპასუხედ უნდა დასახელდეს, არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნული განსჯადობის წესებით განიხილება იმ პირთა განქორწინების საქმეებიც, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით. მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ისეთი შემთხვევები, როცა პირი მსჯავრდებულია სამ წელზე

---

<sup>73</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი.



ნაკლები ვადით, ე. ი. როცა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საროში განქორწინების გამარტივებული წესი. თუ მეუღლეებს არ ჰქონდათ ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნას მსჯავრდებამდე პირის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი მიხედვით.

მართალია, ოჯახური დავების განსჯადობა სსკ მე-19 მუხლითაა დადგენილი, მაგრამ ამ საქმეთა განსჯადობის განსაზღვრა მხოლოდ ამ ნორმით როდი ამოიწურება. მაგალითად, განქორწინების სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ პირის მიმართ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც უცნობია. ასეთ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>74</sup>

თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც ამნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით განხილულ იქნას სასამართლოში მისი საცხოვრებლის მიხედვით, ამასთან, ანალოგიურ ნორმაში, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობაც, რომლის გამოც მას არ შეუძლია მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში გამოცხადება, რაც ასევე საფუძველია საქმის მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახილველად.

---

<sup>74</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი.

## 2.4. საოჯახო საქმეთა სასამართლო განხილვისათვის მომზადების თავისებურებანი

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კონკრეტული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე შესასრულებელ საპროცესო მოქმედებებს და ცალკეული კატეგორიის საქმის მომზადების მეთოდის თავისი სპეციფიკა გააჩნია. ამგვარ სპეციფიკას განსაზღვრავს სადავო, ანუ მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, საქმის სირთულე, მტკიცების სირთულე და სხვა გარემოება.<sup>75</sup> ცხადია, თავისებურებით გამოირჩევა საოჯახო საქმის მომზადებაც. ერთ-ერთი თავისებურება სსსკ-ის 354-ე მუხლით არის გათვალისწინებული. აღნიშნული ნორმის დანაწესის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს, თავისი ინიციატივით განსაზღვროს საქმეზე დასადგენ გარემოებათა, ე.ი. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრე მოცემული საქმის გადაწყვეტის მიზნით. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული ავტორების მიერ მიჩნეულია, რომ, ამ ნორმის თანახმად, სასამართლომ თვითონ უნდა დაადგინოს მტკიცების საგანი საქმეზე<sup>76</sup> და მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ და რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

მტკიცების საგნის განსაზღვრას სასამართლო საოჯახო საქმეზეც, ისევე როგორც სხვა საქმეებზეც, მატერიალური ნორმების გათვალისწინებით ახდენს, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, რადგან ნორმა უთითებს საქმეზე დასადგენი გარემოებების სასამართლოს მიერ განსაზღვრაზე. ზემოაღნიშნული შეხედულება მართებულია, ვინაიდან, ზოგადი წესის თანახმად, საქმეზე დადგენა, ანუ დამტკიცება სჭირდება სწორედ მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს. ამასთან, უფრო მართებული იქნება, თუკი 354-ე მუხლი არ იქნება განმარტებული

<sup>75</sup> Треушников М. К. Особенности рассмотрения отдельных категорий гражданских дел, М. 1995, გვ. 23-ე, 38-ე, 77-ე

<sup>76</sup> ნახეთ, შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ. 2015 გვ. 550

სიტყვასიტყვით და მოცემულ ნორმაში მოაზრებული იქნება არა მხოლოდ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების სასამართლოს მიერ განსაზღვრა, არამედ ზოგადად საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განსაზღვრა სასამართლოს მიერ. საქმე ისაა, რომ მტკიცების საგანი განსხვავდება საქმის გარემოებებისაგან. საქმის გარემოებები უფრო ფართო კატეგორიაა და მასში, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების გარდა, ის გარემოებებიც იგულისხმება, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარვეზულად უნდა ჩაითვალოს სსკ-ის 354-ე მუხლის ზემოაღნიშნული დანაწესი და მასში სიტყვები - „განსაზღვროს საქმეზე დასადგენი გარემოებები“, მიზანშეწონილია შეიცვალოს სიტყვებით: „განსაზღვროს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები“, რამეთუ სასამართლომ უნდა განსაზღვროს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და არა მხოლოდ მტკიცების საგანში შემავალი, ანუ საქმეზე დასადგენ-დასამტკიცებელი გარემოებები. ამასთან, ცხადია, მოცემული ნორმა თავისთავად პროგრესულია. როგორც პირთა უფლებების დაცვის გარანტია, იგი სასამართლოს მიერ საოჯახო საქმეთა სწორად განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო გარანტიაა და სსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლებთან სისტემურ კავშირში უნდა გამოვიყენოთ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ 354-ე მუხლის დანაწესით მოცემული ინიციატივის გათვალისწინება არ გულისხმობს და არ უშვებს ნორმის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას. მოცემული ნორმა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის იმ პრინციპიდან, რომლის თანახმადაც, სასამართლო ხელმძღვანელობს პროცესს. შესაბამისად, დასახელებული ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის განხორციელების გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკა 354-ე მუხლის დანაწესს საოჯახო დავების განხილვასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ დანაწესად მიიჩნევს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე Nას-1213-1064-2010 განმარტებულია:<sup>77</sup> „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

<sup>77</sup> ვუთითებ კრებულიდან „სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში“, ალევო ნაჭყებია, თბილისი, 2000-2013 წ.

აგებულია რა შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპებზე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ, ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. აღნიშნულისგან განსხვავებით, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვაში. მითითებული დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის XIII თავიდან, რომელიც აწესრიგებს რა საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს, 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. უფრო მეტიც, კანონით გათვალისწინებულ (მათ შორის – ბავშვის უფლებების დადგენის) შემთხვევებში, ამავე კოდექსის 354-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დროებითი განკარგულება, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამონაკლისს წარმოადგენს და უზრუნველყოფს ამ სფეროში უფლებების დარღვევაზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას.

ამდენად, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო არ არის შეზღუდული შეჯიბრებითობის პრინციპით, მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ. კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით სასამართლომ უნდა იმოქმედოს სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპით - თავისი ინიციატივით უტყუარად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვას“.

ამასთან, გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „სსკ-ის 354-ე მუხლის განვრცობა და ყველა კატეგორიის საოჯახო საქმეთა განხილვისას გამოყენება არ

იქნებოდა მართებული. მაგალითად, საერთო ქონების გაყოფისას,<sup>78</sup> მით უმეტეს, როცა პროცესიც რთულდება და მესამე პირი აცხადებს დამოუკიდებელ პრეტენზიას ქონებაზე, სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ იმოქმედებს და ვერ გამოითხოვს მტკიცებულებებს. შესაბამისად, საჭიროა 354-ე მუხლის შეზღუდვითი განმარტება. ძირითადად ეს ნორმა საოჯახო საქმეებზე მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება ბავშვთა უფლებები, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციიდან თუ სხვა აქტებიდან გამომდინარე. საერთაშორისო კონვენციები ავალდებულებენ სასამართლოს, საქმის გარემოებები თავად დაადგინოს ბავშვის უკეთესი და უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე“.<sup>79</sup>

საოჯახო საქმეთა მორიგი თავისებურება დადგენილია იმავე 354-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის შესაბამისადაც, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების გამო აღძრულ საქმეებთან ერთად. აღნიშნული გარემოება უნდა გათვალისწინოს, სასამართლომ და საქმის მომზადების ეტაპზე გადაწყვიტოს ზოგიერთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია კონკრეტული საოჯახო დავის თავისებურების გამო. მაგალითად, მან უნდა გადაწყვიტოს საკითხი, დასაშვებია თუ არა სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება, შეგებებული სარჩელის აღძვრა.

ყურადსაღებია სსკ-ის 352-ე მუხლის დანაწესი, რომელიც საოჯახო საქმეების მიმართ დასაშვებად მიიჩნევს სამართალწარმოების საერთო წესების გამოყენებას. საქმის მომზადების ასპექტში დასახელებული ნორმის სიტყვასიტყვით გამოყენებამ და კონკრეტული საოჯახო საქმის მატერიალური სამართლებრივი მხარის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა არასწორი გზით წაიყვანოს მართლმსაჯულება. საქმე ისაა, რომ არც XLIII თავი, რომელიც საოჯახო საქმის განხილვის თავისებურებებს ეხება, არც სამართალწარმოების ზოგადი წესები, რომელთა გამოყენებაზეც 352-ე მუხლი უთითებს, სრულად არ ითვალისწინებს საოჯახო საქმეთა მომზადების თუ განხილვის ყველა თავისებურებას, პირიქით, სსკ-ის მე-200 მუხლით დადგენილია საქმის

<sup>78</sup> როგორც ჩანს, ამ მოსაზრების ავტორები გულისხმობენ მეუღლეთა საერთო ქონებას.

<sup>79</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2015, გვ. 551

მომზადების მიზანი - ეს არის საქმის განხილვის დაჩქარება და ერთ სასამართლო სხდომაზე მისი განხილვის დამთავრების შესაძლებლობის შექმნა. არადა, სწორედ საოჯახო საქმეებია ის საქმეები, რომლებზეც საქმის მომზადების მიზანი არ შეიძლება იყოს საქმის დაჩქარება. მაგალითად, როცა საქმე განქორწინებას ეხება, საქმის დაჩქარება ვერ იქნება საქმის მომზადების მიზანი. განქორწინების საქმის მომზადებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მატერიალური სამართლის ნორმა, კერძოდ, სკ-ის 1127-ე მუხლი, რომელიც სასამართლოსგან მოითხოვს, ყველა ზომა მიიღოს მეუღლეთა შესარიგებლად და ამ მიზნით შეუძლია 6 თვემდეც კი გადადოს საქმის განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულყოფას მოითხოვს სსკ-ის 352-ე მუხლი, რომელიც მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსით და კონკრეტული კატეგორიის საოჯახო საქმისათვის კერძო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესები, იმ დამატებებით, რაც ამ თავშია დადგენილი“.

თავისებურებით გამოირჩევა ცალკეული კატეგორიის საოჯახო საქმის მომზადება. სახელდობრ, მამობის დადგენის საქმეები უნდა მომზადდეს სასამართლო განხილვისათვის. იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოპასუხე აღიარებს თავს ბავშვის მამად და თანახმაა, შეიტანოს ერთობლივი განცხადება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერეტორიულ სამსახურში მამის შესახებ ჩანაწერის განსახორციელებლად. უფრო ხშირად მოპასუხეს აქვს სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ყველა იმ გარემოების მიმართ, რასაც ეფუძნება მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე, რომელსაც ევალება მოპასუხისაგან ბავშვის ბიოლოგიური წარმოშობის დამტკიცება, იძულებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებით საქმიანობაში. თავის მხრივ, მოსამართლემ უნდა მიიღოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები, რომ მოსარჩელისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცებულებების შეგროვება და წარდგენა, რომელიც, ყველა მიღებული ზომის გათვალისწინებით, აუცილებელი და საკმარისი იქნება საქმის არსებითად გადასაწყვეტად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სსკ-ის 354-ე მუხლის დანაწესი.

მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომა უნდა დანიშნოს, საპროცესო ეკონომიურობის პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მხარეთაგან მიღებული ინფორმაცია საშუალებას აძლევს მოსამართლეს, მკაფიოდ განსაზღვროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მოპასუხეს შეუძლია განაცხადოს თანხმობა მამობის დადგენის შესახებ განცხადების შეტანის თაობაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. ამ შემთხვევაში მოსამართლეს უფლება აქვს, შესთავაზოს ბავშვის დედას და მოპასუხეს მამობის ნებაყოფლობით დადგენა. მოპასუხის ასეთი თხოვნა უმჯობესია გაფორმდეს ცალკე წერილობითი განცხადების სახით, რომელშიც ასახული იქნება მოპასუხის შუამდგომლობაც, რომ იგი ამისათვის გარკვეული დროის მიცემას ითხოვს. ეს საშუალებას მისცემს მოსამართლეს, თვალი ადევნოს მოპასუხის ქმედებას. გარდა ამისა, სასამართლოს განკარგულებაში რჩება მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი მასალა, რომელიც მოწმობს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

მამობის ნებაყოფლობით დადგენისა და, შესაბამისად, სასამართლოსთვის მამის შესახებ ჩანაწერის საფუძველზე გაცემული ბავშვის დაბადების მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, მოსამზადებელ სხდომაზე საქმე შეიძლება შეწყდეს.

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მხარეთა მორიგება. თუმცა მამობის დადგენის საქმის დასრულება მორიგების გზით შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი მორიგების საფუძველს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთდათმობა. იმ შემთხვევაში, როდესაც იმ სამართალურთიერთობათა წარმოშობის პირობები, რომლებზედაც ლაპარაკია დავაში და მათი შინაარსი (უფლებები და მოვალეობები) განისაზღვრება იმპერატიული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით, რომლის გამოყენებაც გამორიცხავს რამენაირ გადახვევას ამ აქტით დადგენილი სამართალურთიერთობების პირობებისა და შინაარსისგან, კანონით დადგენილი პირობების თვითნებური შეცვლა სასამართლოს მხრიდან, ანდა თვით სამართალურთიერთობათა მონაწილეების ნება-სურვილით – დაუშვებელია. ძნელი წარმოსადგენია სიტუაცია, როდესაც მამობის დადგენის საქმეზე

მხარეები დადებენ მორიგებას, რომლის თანახმადაც, მოპასუხე თანხმდება მის რეგისტრაციაზე ბავშვის მამად, იმ პირობით, რომ მეორე მხარე უარს იტყვის რაიმე მოთხოვნის წაყენებაზე მის მიმართ მშობლის მოვალეობის შესრულების თვალსაზრისით, ანდა, თუ ბავშვის დედა უარს იტყვის მამობის დადგენაზე, მოპასუხე თანახმა იქნება იტვირთოს მშობლის მოვალეობა და სხვა.

სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის ამოდიოდა ამ დებულებიდან. მამობის დადგენის პირობები და წესი განსაზღვრულია კანონით, ამიტომ სასამართლოები არ უნდა ამტკიცებდნენ მორიგებას მამობის დადგენის საქმეზე.

ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდება ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამოყენება და ასევე – მოსამზადებელი სხდომის შინაარსიც მოცემული კატეგორიის საქმეებზე. ჯერ ერთი, საქმე მოსამზადებელ სხდომაზე არ შეიძლება დასრულდეს საქმისწარმოების შეწყვეტით იმ საფუძველით, რომ მხარეები მორიგდნენ. მეორეც, გამორიცხულია სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ვინაიდან კანონით დადგენილი არ არის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამ კატეგორიის საქმეებისათვის და, მაშასადამე, მამობის დადგენა სასამართლოს ბავშვის დაბადების შემდეგ ნებისმიერ დროს შეუძლია.<sup>80</sup>

სხვა დანარჩენი წესებით მოსამზადებელი სხდომა ამ კატეგორიის საქმეებზე არ განსხვავდება თავისი შინაარსით ანალოგიური სასამართლო პროცედურებისაგან საქმეთა სხვა კატეგორიებზე, რომელთა მთავარი მიზანია იმ გარემოებათა მკაფიოდ განსაზღვრა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის, მტკიცებულებათა საკმარისობის განსაზღვრისა და საქმის არსებითად მოსმენის შესაძლებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

---

<sup>80</sup> საოჯახო საქმეებზე ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამოყენების თავისებურების შესახებ დამატებით იხილეთ: დ. სუხიტაშვილი, ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2019 წ.



## 2.5. საოჯახო საქმეთა სასარჩელო წესით განხილვაში მონაწილე სუბიექტები და მათი საპროცესო სტატუსი

### 2.5.1 საოჯახო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის გავლენა ამ სახის ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში მონაწილე სუბიექტებზე

საოჯახო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათი და იურიდიული ბუნება გავლენას ახდენს სამოქალაქო პროცესში მონაწილე სუბიექტების შემადგენლობის განსაზღვრაზე, საოჯახო საქმეებზე სამართალწარმოების თავისებურებასა და სუბიექტების საპროცესო სტატუსზე.

მატერიალური სამართალი გავლენას ახდენს პროცესში მონაწილე მხარეებზე, რომლებსაც გააჩნიათ საქმეში მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. საოჯახო კანონმდებლობაში სპეციალური პროცესუალური ნორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დავის სუბიექტებზე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გავლენა ვრცელდება მონაწილეთა მთელ შემადგენლობაზე, მათ შორის – იმათზეც, რომლებიც მხოლოდ პროცესუალურად არიან დაინტერესებული.

რადგან საოჯახო საქმეების ბევრი კატეგორიის საქმეზე სამართალწარმოებაში სასამართლო დაცვის საგანი მოიცავს არასრულწლოვანთა პირად და ქონებრივ უფლებებს, წარმოიჭრება ისეთი მნიშვნელობის საკითხი, როგორც არის: ქმედუუნარობა, შეზღუდულქმედუნარიანობა, ასევე მხარდაჭერა. ამიტომაც საინტერესოა საკითხი ამ პირთა პროცესუალური მდგომარეობის შესახებ.

პროცესუალურ კანონმდებლობაში, მართალია, დგინდება ფიზიკურ პირთა პროცესუალური ქმედუნარიანობის ასაკობრივი ზღვარი, მაგრამ არ განისაზღვრება იმ ფიზიკურ პირთა პროცესუალური მდგომარეობა, რომელთა უფლებების დაცვა პროცესში ხდება მათი პირადი მონაწილეობის გარეშე, იმის გამო, რომ მათ ან არ გააჩნიათ, ან შეზღუდული აქვთ პროცესუალური ქმედუნარიანობა.

სიახლეა მხარდაჭერის ინსტიტუტი როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობაში. მისი შემოღება განაპირობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებამ. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2015 წლის 20 მარტს შევიდა ცვლილებები. იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის შეფასებული ეს ცვლილებები - არათანმიმდევრულ და წინააღმდეგობრივ ცვლილებებად. კერძოდ, ფსიქიკური, გონებრივი და ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირს სამოქალაქო კოდექსი შეზღუდვებისაგან კი არ ათავისუფლებს და დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას კი არ ანიჭებს, არამედ მოითხოვს სამოქალაქო ურთიერთობის ყველა იმ სფეროს ჩამონათვალს, სადაც ამ პირს უნდა შეეზღუდოს თავისუფალი მოქმედება და მხოლოდ მხარდამჭერის რჩევითა და მითითებით იმოქმედოს. თუმცა კანონი ღიად ტოვებს ვითარებას, როცა ფსიქიკური და გონებრივი დარღვევების მქონე პირი სამოქალაქო ურთიერთობის ყველა სფეროში საჭიროებს მესამე პირის მუდმივ წარმომადგენლობას. ამიტომ ლიტერატურაში მართებულად მიეთითება, რომ „ასეთ შემთხვევაში, მხარდაჭერის ინსტიტუტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლო იძულებული იქნება მხარდაჭერის მიმღებს სამოქალაქო ურთიერთობის ყველა სფეროში დაუწესოს ავადმყოფობის შესაბამისი მაღალი ხარისხის შეზღუდვები, რაც ავადმყოფობის ხარისხის თანაზომიერი იქნება და სამოქალაქო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მხარდამჭერს დააკისროს, რაც ფაქტობრივად ისეთივე შედეგს გამოიწვევს, როგორსაც ე. წ. ტოტალური შეზღუდვა. ასეთ პირობებში ბუნებრივად იბადება კითხვა - მაშ, რისთვის გვჭირდება მხარდაჭერის ინსტიტუტი?! ამ და სხვა წინააღმდეგობების გამო ექსპერტ-ფსიქიატრები და სხვა სპეციალისტები არ იზიარებენ მხარდაჭერის ინსტიტუტის რეგულაციებს“.<sup>81</sup>

საოჯახო საქმეებზე სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროცესუალური კანონმდებლობის ზოგადი თავისებურება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე წარმოადგენს არა მარტო მხარეს, რომელიც მიმართავს

<sup>81</sup> დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2016, გვ. 54-62

სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად, არამედ პირს, რომლის განცხადებით დაწყებულია საქმის განხილვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. ეს ნორმები გამოიყენება იმ პირთა პროცესუალური მდგომარეობის განსაზღვრისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ პროცესუალური ქმედუნარიანობა.

არასრულწლოვანი მოსარჩელედ ითვლება იმ საქმეებზე, რომელთა აღძვრა ხდება კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის უფლებების და ინტერესების დაცვის მიზნით.

არასრულწლოვანის დასახელებას მხარედ საოჯახო საქმეებზე, სადაც ხდება მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. არასრულწლოვანთა დამოუკიდებელი როლის განსაზღვრისას ხდება მათი მატერიალური დაინტერესების და იმ სუბიექტთა პროცესუალური დაინტერესების გამიჯვნა, რომლებიც იცავენ ქმედუნაროთა ინტერესებს. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ზოგიერთ შემთხვევაში უგულებელყოფილია ზემოაღნიშნული დებულების მნიშვნელობა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია განიხილავდა არასრულწლოვანის სასარგებლოდ მამისათვის ალიმენტის დაკისრების სარჩელს. ალიმენტის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დაისვა მისი დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შუამდგომლობა. თავისი განჩინება იმით დაასაბუთა, რომ ბავშვის დედას, როგორც მოსარჩელეს, საკმაო სახსრები გააჩნდა ხელფასის სახით, რის გამოც აღარ იყო საჭირო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებლობით მოსარჩელეს არ ადგებოდა ზიანი.<sup>82</sup>

---

<sup>82</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 აგვისტოს განჩინება საქმეზე № 2/36731-16

სასამართლოს ეს განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უპირობოდ აღსრულდება დაუყოვნებლივ; მეორე, იმის გამო, რომ დედის მატერიალურ მდგომარეობაზე კი არ უნდა ემსჯელა სასამართლოს, არამედ ბავშვის უფლებაზე, მიიღოს ალიმენტი, დედა კი არ არის საქმეში მოსარჩელე, როგორც ეს სასამართლომ არასწორად ჩათვალა, არამედ ბავშვი, ვინაიდან გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი სწორედ ბავშვისთვის დგება. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება იმ მხრივაც არის აშკარად უკანონო, რომ მის გამოტანამდე ბავშვის უფლება ალიმენტის მიღებაზე უკვე აღიარებულ იქნა სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებით, რის გამოც გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა აღსრულდეს იგი. შეცდომა გამოიწვია სწორედ იმან, რომ საქმის მხარე სწორად არ განისაზღვრა. არასრულწლოვანთა მხარედ აღიარება ხელს შეუწყობს სასამართლოს მხრიდან არასრულწლოვანთა უფლებების უფრო სწორ დაცვას და ამით მათ მიეცემა შესაძლებლობა, გამოხატონ პროცესუალური აქტიურობა. მხარეთა შესახებ ზოგადი პროცესუალური წესების შევსება უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროცესში მოსარჩელედ შეიძლება გამოვიდნენ ის პირები, რომელთა უფლებების დასაცავად აღიძვრება სამოქალაქო სამართალწარმოება, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ პროცესუალური ქმედუნარიანობა.

იმ სუბიექტთა ჯგუფში, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება, პროცესზე დაიცვან არასრულწლოვანთა უფლებები, შედიან: 1) ფიზიკური პირები; 2) სახელმწიფო ორგანოები. პირველ ჯგუფში შედიან ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ კანონიერი წარმომადგენლების ფუნქციას (მშობლები, მეურვეები, მზრუნველები). მეორე ჯგუფს განეკუთვნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ძირითადი პროცესუალური გარანტიების განხორციელება ხდება კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მშობლებლისთვის, მეურვეებისა და მზრუნველებისათვის ხდება ვალდებულებების დაკისრება, რომლებითაც მათ უნდა დაიცვან ბავშვთა ინტერესები ყველა დაწესებულებაში, მათ შორის - სასამართლოშიც.

საპროცესო სამართალში კანონიერი წარმომადგენლობა განიხილება, როგორც სასამართლო წარმომადგენლობის ერთ-ერთი სახე.

როდესაც ხდება კანონიერი წარმომადგენლებისა და სხვა სახის წარმომადგენლების მოქმედების რეგულირების შედარება, ეს ჩვენ გვიჩვენებს შემდეგი სახის ნიშნებს: 1) მონაწილეობის ხასიათი; 2) მონაწილეობის მიზანი და საფუძველი; 3) სუბიექტური შემადგენლობა; 4) უფლებამოსილების მოცულობა; 5) უფლებამოსილების მინიჭების დადასტურება.

აქედან გამომდინარე, პროცესში სასამართლო წარმომადგენლების მონაწილეობა, კანონიერი წარმომადგენლების გარდა, ხორციელდება დისპოზიციურ საწყისებზე და წარმოადგენს ფაკულტატურს, რადგან ფიზიკურ პირებს შეუძლიათ წარმართონ თავიანთი საქმეები სასამართლოში ან წარმომადგენლების მეშვეობით, ან პირადად. იურიდიული პირების საქმეებს სასამართლოში უძღვებიან ან მათი ორგანოები, ან წარმომადგენლები. სასამართლოში წარმომადგენლების მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საქმეში მონაწილე პირების – მხარეების, მესამე პირების – ნების გამოვლენა. სასამართლოში წარმომადგენლობის მიზანს წარმოადგენს იურიდიული დახმარების გაწევა ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და ინტერესების დაცვისას და პროცესის მონაწილეებისათვის შესაძლებლობის მინიჭება, რომ უფრო კვალიფიციურად წარმართონ თავიანთი საქმეები.

კანონიერი წარმომადგენლობის მოწესრიგება ხდება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული წესებით, რომლებსაც ადგილი აქვს არა მარტო საოჯახო, არამედ პროცესუალურ კანონმდებლობაშიც, რაც ხაზს უსვამს კანონიერი წარმომადგენლების პროცესში მონაწილეობის ვალდებულებას. მათი მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს კანონმდებლობით კანონიერი წარმომადგენლებისათვის იმ ქმედუუნარობისა და შეზღუდულქმედუნარიანი პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვის ფუნქციის მინიჭება, რომლებსაც არ შესწევთ უნარი, დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები პირადად. შესაბამისად, პროცესში კანონიერი

წარმომადგენლების მონაწილეობის მიზანს წარმოადგენს არა იურიდიული დახმარება წარმოდგენილისათვის, არამედ სასამართლოში მისი ინტერესების დაცვა.

კანონიერი და სხვა წარმომადგენლების სასამართლოში მონაწილეობის თავისებური ხასიათი, მიზანი და საფუძველი აისახა მათ სუბიექტურ შემადგენლობაზე. კანონიერი წარმომადგენლების შემადგენლობა წინასწარ განსაზღვრულია საოჯახო და პროცესუალურ კანონმდებლობაში, მაშინ, როდესაც სასამართლო სახელშეკრულებო წარმომადგენლის კანდიდატურა აირჩევა თვით წარმოდგენილი პირის მიერ იმ პირთა წრიდან, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ წარმომადგენლები სასამართლოში.

დაბოლოს, კანონიერი და სხვა წარმომადგენლების უფლებამოსილების მოცულობა და მათი დადასტურების წესი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. იმ დროს, როდესაც სასამართლო სახელშეკრულებო წარმომადგენლების უფლებამოსილება გამოიხატება მინდობილობით, რომელიც გაცემული და გაფორმებულია კანონის შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლები სასამართლოს წარუდგენენ სხვა დოკუმენტებს, რაც ადასტურებს მათ წარმომადგენლობას. ამ დოკუმენტებს წარმოადგენს ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მშობლის სამართლებრივ სტატუსს.

სახელშეკრულებო და კანონიერი წარმომადგენლების პროცესუალური უფლებამოსილებების მოცულობა განისაზღვრება სხვადასხვა სამართლის ნორმაში მათი არსებითი განსხვავების გათვალისწინებით. თუ კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია შეასრულოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულების უფლებამოსილება გააჩნია წარმოდგენილს, მაშინ სასამართლო წარმომადგენლების უფლებამოსილება საპროცესო კანონით არსებითად იზღუდება. სხვადასხვა პროცესუალური მოქმედებების შესრულებისათვის (სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა და სხვ.) წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს სპეციალური უფლებამოსილება, რომლის არსებობაც დასტურდება მინდობილობით.

პროცესუალური წარმომადგენლობა არ უშვებს იმას, რომ წარმოდგენილი პირი წარმომადგენელმა შეცვალოს, კანონიერი წარმომადგენლები კი მთლიანად ცვლიან პროცესზე წარმოდგენილებს, რომლებსაც არ შეუძლიათ საქმის განხილვაში მონაწილეობა, იმის გამო რომ შეზღუდული აქვთ პროცესუალური ქმედუნარიანობა. ეს გარემოებები ადასტურებს, რომ სასამართლო და კანონიერი წარმომადგენლები პროცესზე მონაწილეობენ სხვადასხვაგვარად. სასამართლო სახელშეკრულებო წარმომადგენელი დამხმარე როლს ასრულებს, რაც, თავის მხრივ, განსხვავდება იმ ფუნქციისაგან, რომელსაც ასრულებენ პროცესზე კანონიერი წარმომადგენლები.

ასეთი არსებითი სხვაობა სასამართლო და კანონიერ წარმომადგენლობას შორის იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ მათ გააჩნიათ განსხვავებული პროცესუალური როლები. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ კანონიერი წარმომადგენლები არიან პირები, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში. შესაბამისად, იმისდა მიუხედავად, რომ ეს პირებიც წარმომადგენლებად იწოდებიან, მათი ფუნქციის გათვალისწინებით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი სსკ-ის 101-ე მუხლი ამავე კოდექსის XII თავში კი არ იქნებოდა ასახული, არამედ ამ თავიდან, რომელსაც ეწოდება „წარმომადგენლობა სასამართლოში“ იქნებოდა ამოღებული და აისახებოდა თავში „მხარეები“. ეს იმითაც არის გამართლებული, რომ 101-ე მუხლით გათვალისწინებულია კანონიერი წარმომადგენლობის სხვადასხვა შემთხვევა და, მაშასადამე, კანონიერი წარმომადგენლის ინსტიტუტის გამოყენება არ შემოიფარგლება მარტოდენ საოჯახო საქმეებით. ისიც საყურადღებოა, რომ სსკ-ის 79-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ იურიდიული პირები. ეს ნორმა მხარეების თავშია ასახული. როგორც ცნობილია, იურიდიული პირები სასამართლოში მონაწილეობას იღებენ თავიანთი ორგანოების (დირექტორების და სხვა) მეშვეობით. ეს უკანასკნელნი კი სხვა არაფერია, თუ არა კანონიერი წარმომადგენლები. აღნიშნული მოსაზრებითაც შეიძლება გავამართლოთ კანონიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტის მხარეების თავში ასახვის მიზანშეწონილობა.

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა კანონიერი წარმომადგენლების მიერ ქმედუნაროებისა და შეზღუდულქმედუნარიანების უფლებების დაცვის ძირითად

პროცესუალურ გარანტიას წარმოადგენს. დამატებითი პროცესუალური გარანტიები მოცემულია იმ ნორმებში, რომლებიც არეგულირებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ. ამ სუბიექტების პროცესში ჩართვა ხელს უწყობს საოჯახო საქმეებზე სამართალწარმოების საჯაროობას, ოჯახის დაცვის კონსტიტუციური დანაწესის განხორციელებას, ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის ამაღლებას ბავშვის ნორმალური აღზრდის საკითხში, ოჯახის შენარჩუნებას, გამოხატავს სახელმწიფო-სამართლებრივ ინტერესს საოჯახო ურთიერთობების განმტკიცებისათვის.

არასრულწლოვანების დამცველი სუბიექტების პროცესში ჩართვის საფუძვლებს განსაზღვრავენ პროცესუალური და საოჯახო მატერიალური სამართლის ზოგადი და სპეციალური წესები. ზოგადი წესებით დგინდება სხვა პირთა უფლებების დაცვის წესები სახელმწიფო ორგანოების, კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან. პროცესუალური ნორმები, რომლებიც ეხება საოჯახო საქმეებში მონაწილეობას, შეადგენს საოჯახო კანონმდებლობის პროცესუალურ ნორმათა საკმაოდ ფართო ჯგუფს, რომლებიც არეგულირებს ყველა სუბიექტის მოქმედებას, რომელთა მიერ ხდება პროცესში სხვისი უფლებების დაცვა.

რადგან სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ამიტომ საოჯახო კანონმდებლობის ნორმები განსაზღვრავენ იმ სარჩელთა წრეს, რომლითაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი ინიციატივით. მათ მიეკუთვნება სარჩელები: სხვადასხვა საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის; მშობლის უფლების ჩამორთმევის; შვილად აყვანის გაუქმების შესახებ და სხვა.

სახელმწიფო ორგანოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება შეესაბამება მის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელების სპეციალურ კომპეტენციას და ასევე ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.



რეალურად არ არსებობს საჭიროება, რომ ეს უფლება მიეცეს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანიზაციას. ბავშვთა უფლების დაცვის გარანტიას წარმოადგენს ამ უფლების მინიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის. სხვა პირებს შესაძლებლობა აქვთ, მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რათა მიღებულ იქნას ზომები მშობელთა არასწორი ქცევის შემთხვევაში.

კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს არასრულწლოვანის როგორც ქონებრივი უფლებების დასაცავად, ისე სარჩელით, რომელშიც სასამართლო დაცვის საგანს შეადგენს არასრულწლოვანის პირადი არაქონებრივი უფლებები.

საოჯახო კანონმდებლობაში იმ პირთა წრის რეგულირება, რომლებსაც გააჩნიათ უფლება სხვისი უფლებების დასაცავად, ხელს უწყობს ქმედუუნაროთა ძირითად და დამატებით უფლებათა დაცვის გარანტიების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით – ბავშვების, ასევე სამართალწარმოებაში საოჯახო საქმეებზე განსაკუთრებული წესების დამკვიდრებას. ამ წესების სრულყოფისათვის მიზანშეწონილი არ იქნება კანონიერ წარმომადგენელთა მხრიდან მზრუნველობის ქვეშ მყოფთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ყოველ მოთხოვნაზე სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება, რადგან მათ აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს ზოგადი ნორმის საფუძველზე, რომელიც ავალდებულებს მზრუნველობის ქვეშ მყოფთა უფლების დაცვას ყველა დაწესებულებაში, მათ შორის - სასამართლოშიც.

პროცესუალური კანონმდებლობის ზოგადი წესების მიხედვით, ყველა სუბიექტი, ვინც მიმართავს სასამართლოს სხვა პირთა უფლების დასაცავად (სახელმწიფო ორგანოები და სხვ.), განეკუთვნება საქმეში მონაწილე პირთა შემადგენლობას, მაგრამ, რადგან არ არსებობს ტერმინი მათი სახელწოდებისათვის, მათ ეწოდებათ მხარეები, პროცესუალური მოსარჩელები. ამ პირთა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება მატერიალურ სამართალურთიერთობასთან ადვილად განისაზღვრება სადავო მატერიალური სამართალურთიერთობების ანალიზისას. ეს განსხვავებები შესამჩნევია საქმის აღძვრის სტადიაზეც კი. როდესაც პირისათვის, რომელიც მიმართავს

სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად, საკმარისია მიუთითოს თავისი კავშირი კონკრეტულ მოთხოვნასთან, მაშინ, როცა სხვისი უფლების დასაცავად სასამართლოში მიმართვისას უნდა მოხდეს უფლების საფუძვლიანობის დასაბუთება კონკრეტული მოთხოვნის წარსადგენად.

საპროცესო მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი, რომ ჩაერთოს პროცესში. კანონიერი წარმომადგენლისათვის საკმარისია თავისი სამართლებრივი სტატუსის დადასტურება.

საქმის აღძვრა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით ხორციელდება დისპოზიციური პროცესუალური წესების საფუძველზე, როდესაც ამ სუბიექტთა ნების გამოვლენაზე არის დამოკიდებული მათი უფლების რეალიზაცია. საოჯახო საქმეებში ამ სუბიექტთა მონაწილეობის ვალდებულების ხარისხისდა მიხედვით, მათი საოჯახო საქმეებში მონაწილეობა შეიძლება იყოს ფაკულტატიური ან სავალდებულო. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მონაწილეობის ვალდებულება დგინდება საოჯახო კანონმდებლობის სპეციალური ნორმებით.<sup>83</sup>

სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები) პროცესში ერთვებიან თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად და ფიზიკური პირების უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მოვალეობა მდგომარეობს, მაგალითად, ბავშვის აღზრდის უზრუნველყოფაში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს: 1) თვით ორგანოს ინიციატივა; 2) სასამართლო ინიციატივა; 3) კანონის სპეციალური მითითება. თუმცა ამ ორგანოს შეუძლია ჩაერთოს სასამართლო საქმის განხილვაში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხდება ორი საპროცესო ფორმით: სასამართლოსადმი

---

<sup>83</sup> Кострова, დასახ. ნაშრომი, გვ. 112

მიმართვა სასარჩელო მოთხოვნით სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად; პროცესში ჩართვა დასკვნის მისაცემად.

საოჯახო ურთიერთობების პირადი ხასიათი, ამ ურთიერთობის სუბიექტების დამოუკიდებლობა გამორიცხავს საოჯახო საქმეებზე უფლება-მოვალეობების სხვებისათვის გადაცემას.

ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებას მოჰყვება საქმისწარმოების დასრულება შეწყვეტის გზით. მაგალითად, განქორწინების საქმის განხილვისას ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი იწვევს საქმისწარმოების შეწყვეტას, რადგან ერთ-ერთის სიკვდილით წყდება ქორწინება და აღარ არსებობს განქორწინების საჭიროება.

მამობის დადგენის საქმეზე მოპასუხის გარდაცვალება გამოიწვევს საქმის შეწყვეტას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს არ ეკარგება შესაძლებლობა, სხვა წესით დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები. კერძოდ, რადგან პირველი პროცესი შეწყდა საქმეში უფლებამონაცვლეობის დაუშვებლობის გამო, დაინტერესებულ პირს შეუძლია აღძრას ახალი სარჩელი მამობის დადგენის შესახებ, რომელზეც მოპასუხეები იქნებიან გარდაცვლილის მემკვიდრეები, ვინაიდან მათ უფლებებზე ახდენს გავლენას მიღებული გადაწყვეტილება.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის წესით, ანუ უდავო წარმოების წესით მამობის დადგენას და დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანას კანონი არ ითვალისწინებს.

საქმეში მონაწილე პირთა წრე, როგორც წესი, შემოიფარგლება ორი უმნიშვნელოვანესი საპროცესო ფიგურით - მოსარჩელითა და მოპასუხით. მამობის დადგენის საქმეებზე სკ-ის 1190-ე მუხლში ჩამოთვლილი პირები, რომლებსაც აქვთ მამობის დადგენის შესახებ განცხადების შეტანის უფლება (გარდა სრულწლოვანებას მიღწეული ბავშვისა), პროცესში გამოდიან არასრულწლოვანი მოსარჩელის წარმომადგენლებად. თუმცა პრაქტიკაში ბავშვის დედის მიერ სასარჩელო განცხადების შეტანისას (ასეთი შემთხვევა კი უმეტესობას შეადგენს), დედა იწოდება მოსარჩელედ. სინამდვილეში კი, მოსარჩელეს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ბავშვი. მოსარჩელის

შესახებ საკითხის ასეთი მიდგომა გამართლებულია რიგი საპროცესო საკითხის გადაწყვეტისას. ასე, მაგალითად, პროცესიდან ბავშვის დედის გასვლის შემთხვევაში (გარდაცვალება, მშობლის უფლების ჩამორთმევა, უგზო-უკვლოდ დაკარგვა) საქმისწარმოება არ წყდება, არ წარმოიშობა ასევე უფლებამონაცვლეობა, არამედ საქმე შეჩერდება, საქმის შეჩერება კი მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვისათვის მეურვის (მზრუნველის) დანიშვნას უკავშირდება. ბავშვის გარდაცვალებას კი მოსდევს წარმოების შეწყვეტა სკ-ის 272-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მათ შორის - მოსამზადებელ სხდომაზეც.

განსახილველი კატეგორიის საქმეში მოპასუხედ გამოდის ბავშვის სავარაუდო მამა, რომლის მიმართაც წარდგენილია სარჩელი მამობის დადგენის შესახებ. ეს დებულება ეჭვს არ იწვევს სასამართლო პრაქტიკაშიც.

იმ შემთხვევაშიც, თუკი საქმე მამობის დადგენის შესახებ აღძრულია იმ პირის მიერ, რომელიც თავს ბავშვის მამად მიიჩნევს, მაშინ სწორედ ეს პირი გამოვა პროცესში მოსარჩელედ. რაც შეეხება მოპასუხეს, მას ისევ და ისევ ბავშვი წარმოადგენს, რადგან იგი სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეა. თუმცა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ამგვარი სარჩელის აღძვრა სავარაუდო მამის მხრიდან განპირობებულია წინააღმდეგობით ბავშვის დედის მხრიდან, რომელიც არ იძლევა თანხმობას მამობის ნებაცოფლობით დადგენისათვის. ეს თანხმობა წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაზე გავლენის მომხდენ ფაქტორს. თანხმობის არარსებობა აბრკოლებს ბავშვის მამის უფლების განხორციელებას - აღნიშნულ იქნას ასეთად დაბადების შესახებ სააქტო ჩანაწერში და, მაშასადამე, ჰქონდეს მშობლის უფლება-მოვალეობები. ასეთი თანხმობის არარსებობის პირობებში აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდებოდა სარჩელი მამობის დადგენის შესახებ, რომელიც ასევე ბავშვის დედის ინტერესებსაც შეეხება. აქედან გამომდინარე, საპროცესო თვალსაზრისით, ბავშვის დედა, რომელიც ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის ფუნქციებს ასრულებს, იმავდროულად თავის ინტერესებსაც დაიცავს, ე. ი. მოპასუხის მდგომარეობას დაიკავებს.

ანალოგიურად წყდება საკითხი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საპროცესო მდგომარეობის შესახებ, რომელიც დედის გარდაცვალების, მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობის, ანდა მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაშია აღჭურვილი უფლებით - დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მამობის ნებაყოფლობით დადგენას.

საქმეში მონაწილე პირთა წრე ფართოვდება ისეთი ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნების ერთად აღძვრისას, როგორცაა მამობის დადგენა და ბავშვის დაბადების შესახებ სააქტო ჩანაწერიდან იმ მამის შესახებ ცნობების გაუქმება (ანულირება), რომლებითაც მითითებული იყო სხვა კონკრეტული პირი.

### 2.5.2. არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე

„ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში საყოველთაო რეკოლუციაა. ბავშვები, რომლებსაც ეპყრობიან უფრო როგორც საკუთრებას და არა როგორც ადამიანს, ახლა იქცა არაერთი სამართლებრივი დოქტრინისა და სასამართლო გადაწყვეტილების, საერთაშორისო კონვენციების, კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი ყურადღების ობიექტად“.<sup>84</sup>

აღნიშნულის შედეგია ქართულ სამართლებრივ სივრცეში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენა - ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება, რომელიც 2020 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა. აღნიშნულის შედეგად ცვლილებები განიცადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმაც, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსმა, რომლის ანალიზიც აუცილებელია წინამდებარე დისერტაციის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

---

<sup>84</sup>Laufer-Ukeles P., „Separating Care from the Caregiver“, konferenciis masalebis krebul-Si: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conferece, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013, 27.

მოცემული მუხლის თავდაპირველი რედაქცია მნიშვნელოვნად შეიცვალა 2019 წლის 20 სექტემბრისა და 2020 წლის 21 მაისის კანონებით. თუკი მანამდე არასრულწლოვანს მხოლოდ 14 წლის ასაკიდან ჰქონდა უფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის უფლება, თანაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დღეს შეზღუდვა მოხსნილია და არასრულწლოვანი უპირობოდ სარგებლობს სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის უფლებით. 81<sup>1</sup>-ე მუხლის არსებული რედაქცია შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლს, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ საკუთარი შეხედულებების ჩეამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ მიზნით სახელდობრ, კონვენცია ბავშვს ანიჭებს შესაძლებლობას, მას მოუსმინონ სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესით. ამავე კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

სსსკ-ის 81<sup>1</sup> –ე მუხლი არასრულწლოვანი მოსარჩელის განცხადების/სარჩელის საფუძველზე აღძრულ საქმეებზე ითვალისწინებს როგორც წარმომადგენლის, ისე შესაბამისი ორგანოს მონაწილეობას.

ამრიგად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე (საოჯახო, შრომითი და სხვა ნებისმიერი დავა) არასრულწლოვანს ნებისმიერი ასაკიდან აქვს უფლება პირადად დაიცვას თავისი უფლება, თავისუფლება ან კანონიერი ინტერესი, მაგრამ სასამართლომ არასრულწლოვან მოსარჩელეს სავალდებულო წესით უნდა დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი და ისე განიხილოს საქმე.

განსახილველი ნორმა არ იძლევა არავითარ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ ვინ იგულისხმება საპროცესო წარმომადგენლის სტატუსის მქონე სუბიექტში.

კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ ვინ იგულისხმა კანონმდებელმა საპროცესო წარმომადგენელში, შესაძლებელია სსსკ-ის 81<sup>1</sup>-ე მუხლის 2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულ ბავშვის უფლებათა კოდექსთან სისტემურ კავშირში ანალიზის შემდეგ, რომლის მე-80 მუხლის დანაწესის შესაბამისად, ბავშვს უფლება აქვს სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი. მაშასადამე, საპროცესო წარმომადგენლის ცნება უფრო ფართოა და მოიაზრებს როგორც კანონიერ წარმომადგენელს ისე სხვა საპროცესო წარმომადგენელსაც, საინტერესოა, ბავშვის უფლებათა კოდექსის დასახელებულ ნორმაში მითითებული სიტყვები „ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი“ ვის გულისხმობს - ბავშვის მიერ არჩეულ წარმომადგენელს თუ ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ არჩეულ საპროცესო წარმომადგენელს? ეს კითხვა რელევანტურია იმდენად, რამდენადაც კანონი ბავშვს თავის პირადად დაცვის უფლებას აძლევს და ლოგიკურად ჩნდება კითხვა: თუკი ბავშვს აქვს ფართო უფლება (უფლება დამოუკიდებლად დაცვაზე), მაშინ რატომ არ უნდა ჰქონდეს ამ უფლების თავის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების უფლება. ბავშვის უფლებათა კოდექსის დასახელებული ნორმის ფორმულირება არასრულყოფილია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლი სულაც სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო წარმომადგენელზე საუბრობს.

ამავე კოდექსის 81-ე მუხლში საუბარია მხარდამჭერის საპროცესო წარმომადგენლობაზე, ხოლო 101-ე მუხლში – სხვადასხვა სახის კანონიერ წარმომადგენელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლის ზემოაღნიშნულ და სხვა ნორმებთან სისტემური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. არასრულწლოვანს/ბავშვს აქვს სასამართლოსადმი როგორც უშუალოდ მიმართვის, ისე საქმის განხილვაში უშუალოდ მონაწილეობის უფლება.<sup>85</sup>

2. არასრულწლოვანს/ბავშვს აქვს საქმის განხილვაში თავის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება,<sup>86</sup> მათ შორის ბავშვს აქვს ადვოკატის მოწვევის უფლება.<sup>87</sup> არჩეული წარმომადგენელი ნიშნავს სახელშეკრულებო წარმომადგენელს, ამიტომ საინტერესოა, როგორ, რა წესით შეიძლება განახორციელოს ბავშვმა წარმომადგენლის არჩევის უფლება?

საქმე იმაშია, რომ არასრულწლოვანი დამოუკიდებლად ვერ გასცემს მინდობილობას, რაც აუცილებელი დოკუმენტია არჩევითი წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობისათვის ანუ ვერ დადებს გარიგებას. ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლის სიტყვებს, რომელთა თანახმადაც არჩევითი წარმომადგენლის მეშვეობით პროცესში მონაწილეობის მიღების უფლებას ბავშვი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ ბავშვის/არასრულწლოვანის უფლება წარმომადგენლის არჩევაზე ორი გზით შეიძლება განხორციილდეს: პირველი გზა არის კანონმდებლობით დადგენილი წესი,<sup>88</sup> რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვანის მიერ ან არასრულწლოვანის სახელით მინდობილობის/რწმუნებულების გაცემის წესს. ეს წესი უნდა განიმარტოს იმ მოთხოვნების საფუძველზე, რომლებსაც აწესებს ბავშვის უფლებების მომწესრიგებელი კანონმდებლობა. შესაბამისად, როგორც არასრულწლოვანის მიერ მზრუნველის თანხმობით მინდობილობის გაცემისას, ისე არასრულწლოვანის სახელით მინდობილობის გაცემისას მოსმენილი უნდა იქნეს არასრულწლოვანის აზრი და

---

<sup>85</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე და 74-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>86</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლი.

<sup>87</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>88</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 71 ბრძანებით დამტკიცებული საანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 25-ე მუხლი.



გათვალისწინებული იქნეს მისი საუკეთესო ინტერესები.<sup>89</sup> მეორე გზა კი, განსაზღვრულია სსსკ-ის 81<sup>1</sup>-ე მუხლით, რომლის თანახმადაც სასამართლო არასრულწლოვანს უნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს. მართალია სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, მაგრამ ამ დანაწესის შინაარსი არ უნდა იქნეს გაგებული სასამართლოს უფლებად, თავს მოახვიოს ბავშვს საპროცესო წარმომადგენლის კანდიდატურა, ჯერ ერთი, საპროცესო წარმომადგენელი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაინიშნოს, როდესაც ბავშვის წარმომადგენლობა არ არის უზრუნველყოფილი ან არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის მშობლების, როგორც ბავშვის ბუნებრივი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. მაგალითად, მშობელს ჩამორთმეული, შეზღუდული ან შეჩერებული აქვს მშობლის უფლებები, ან გარდაცვლილი არიან, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ძალუძთ ბავშვის წარმომადგენლობა. მეორე ის, რომ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნამდე სასამართლომ უნდა მოისმინოს ბავშვის აზრი. ბავშვის უფლებათა კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ბავშვთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებაში ბავშვს გარანტირებული აქვს შესაძლებლობა, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ბავშვისათვის არჩევანის უფლების მინიჭების შესაძლებლობას.

აღნიშნულს ადასტურებს ბავშვის უფლება, არ დაეთანხმოს საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. ბავშვის ნების გათვალისწინება და საპროცესო წარმომადგენლის სწორად შერჩევა, აღარც წარმოშობს შემდგომ მისი საქმიდან ჩამოცილების საჭიროებას.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩააბას საქმეში სასამართლომ.

---

<sup>89</sup> არასრულწლოვანის აზრი მარტოდენ სასამართლოში როდი გაითვალისწინება, არამედ არასრულწლოვანის უფლებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ წარმოებაში, მათ შორის სანოტარო საქმის წარმოებაში მინდობილობის გაცემისას.

4. საპროცესო წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვინც ზოგადად შეიძლება იყოს წარმომადგენელი, მაგრამ ამასთან, საპროცესო წარმომადგენელში არ იგულისხმება არჩევითი წარმომადგენელი, არამედ იგულისხმება კანონიერი წარმომადგენელი, ან მხარდამჭერი (ეს უკანასკნელი არც არჩევითი, არც კანონიერი წარმომადგენელია) ან სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო წარმომადგენელი.

5. თუკი საპროცესო წარმომადგენელი არის ბავშვთან მომუშავე პირი (პროფესიონალი), მას გავლილი უნდა ჰქონდეს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებებისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე.<sup>90</sup> საუბარია პროფესიონალთა სპეციალიზაციაზე, თორემ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ წარმოებაში შესაძლოა მშობელიც მონაწილეობდეს, როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი. აბსურდი იქნება მშობელს მოეთხოვოს სპეციალიზაცია. არადა ბავშვის უფლებათა კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ფართოა და მოითხოვს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ წარმოებაში, მათ შორის სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოებაში მონაწილე აბსოლუტურად ყველა პირის სპეციალიზებას კანონით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ამიტომ, დასახელებული დანაწესი არ უნდა გავრცელდეს ბავშვის მშობლებზე, ან ბავშვის გარიგებით/არჩევით წარმომადგენელზე. დაბოლოს, სახელმწიფო გარანტირებულს ხდის ბავშვის უფლებას იურიდიულ დახმარებაზე, რაც გამოიხატება აღნიშნული უფლების ბავშვის მიერ სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელებაში.

6. სპეციალიზაცია არ არის საჭირო ასევე მაშინაც, როდესაც საპროცესო ან გარიგებით წარმომადგენლად ბავშვი აირჩევს ისეთ პირს, რომელიც არ არის ადვოკატი. საქმე იმაშია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ხოლო ამგვარი უპირატესი ინტერესის / ბავშვის

---

<sup>90</sup> პროფესიონალთა სპეციალიზაცია – ბავშვის უფლებათა კოდექსის 73-ე მუხლი.

საუკეთესო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭების ერთ-ერთი საბაზისო კრიტერიუმია ბავშვის მოსაზრებები. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია ბავშვის ამგვარი საუკეთესო ინტერესის უგულვებელყოფა წარმომადგენლის არჩევის საკითხში.

ბავშვის მიერ არჩეული წარმომადგენლის მონაწილეობა არ შეიძლება შეიზღუდოს აპელაციისა და კასაციის სტადიაზე, თუნდაც ის არ იყოს ადვოკატი. აღარაფერს ვამბობთ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო წარმომადგენელზე.

რაც შეეხება საპროცესო წარმომადგენლის უფლებებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერი წარმომადგენლისაგან განსხვავებით კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საპროცესო წარმომადგენლის საპროცესო უფლებებს.<sup>91</sup> ჩვენი აზრით, სსსკ-ის მე-7 მუხლიდან გამომდინარე (ანალოგია), სსსკ-ის 101-ე მუხლის ანალოგიით საპროცესო წარმომადგენელი პროცესში აღჭურვილი უნდა იყოს კანონიერი წარმომადგენლის უფლებებით.

დისერტაციის მოცემული ნაწილის კვლევა ცხადყოფს, რომ საკანონდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია 81<sup>1</sup>-ე მუხლის ცალკე არსებობა და სრულიად შესაძლებელია მისი ინტეგრირება 81-ე მუხლში. ამასთან, ეს ორი ნორმა შესაბამისობაშია მოსაყვანი ერთიმეორესთან, ვინაიდან, მაგალითად, 81-ე მუხლის მე-4 ნაწილი გარკვეული პირობებით უშვებს არასრულწლოვანის უფლებას, პირადად დაიცვას თავი სასამართლოში, მაშინ როცა, 81<sup>1</sup>-ე მუხლი უპირობოდ ითვალისწინებს ამგვარ უფლებას. ასეთი წინააღმდეგობრივი ნორმები სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ გაუგებრობას გამოიწვევს, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო შეცდომას. ამიტომ აუცილებელია ამგვარი ხარვეზების გასწორება კანონმდებლობაში.

---

<sup>91</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე და 101-ე მუხლები.

## თავი III. მტკიცების თავისებურებანი საოჯახო საქმეთა სასარჩელო წესით განხილვისას

### 3.1. მტკიცების თავისებურებანი მამობის დადგენის საქმეებზე

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავი, კერძოდ კი, მასში ასახული 354-ე მუხლი, საოჯახო საქმეებზე გამოყენებული მტკიცებულებების რაიმე სპეციფიკას კი არ ადგენს, არამედ განსაზღვრავს მარტოოდენ სასამართლოს ინიციატივის შესაძლებლობას საოჯახო საქმეებზე მტკიცებულებათა გამოთხოვის საკითხში. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ იქნება დასაბუთებული და კანონიერი, როცა ეფუძნება სათანადო მტკიცებულებებს, მნიშვნელოვანია შევხვით აღნიშნულ მტკიცებულებებსა და მტკიცების თავისებურებებს საოჯახო საქმეებზე. ბუნებრივია, შეუძლებელია შევხვით ყველა კატეგორიის საოჯახო საქმეზე მტკიცების თავისებურებებს. ამიტომ სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავში შემოვიფარგლებით მხოლოდ მამობის საქმეებზე მტკიცების თავისებურებებით და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობის საკითხით.

საქმე ისაა, რომ მამობის დადგენის საქმეებზე ბოლო დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძინა ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნამ. თუ აქამდე სკ-ის 1190-ე მუხლი მამობის საკითხის დასადგენად შესაძლებლად მიიჩნევდა მხოლოდ არაპირდაპირ მტკიცებულებებს, დღეს მამობის დადგენა შესაძლებელია ექსპერტიზის დასკვნით, როგორც პირდაპირი მტკიცებულებით.

ამრიგად, არსებული წესის მიხედვით, კოდექსში ცვლილებებამდე მამობის დადგენა არ ეფუძნებოდა ე. წ. ჭეშმარიტების პრინციპს. დღეს კი სწორედ ჭეშმარიტების პრინციპი არის წამოწეული წინა პლანზე. ევროპის ქვეყნების საოჯახო სამართალიც შვილების წარმოშობის დადგენას აფუძნებდა შვილებსა და მშობლებს შორის მარტოოდენ ბიოლოგიურ კავშირზე. თუმცა „ნათესაობის“ სამართლებრივი კატეგორია

მოიცავდა როგორც იურიდიულ, ისე ბუნებრივ-ბიოლოგიურ ასპექტებს. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერი თვლიდა და დღესაც ჩათვლის, რომ ბიოლოგიური ასპექტია მთავარი და განმსაზღვრელი და მას უპირატესობა აქვს იურიდიული ასპექტის მიმართ.<sup>92</sup> ქართული კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოშიც ორი ასპექტით დგინდება მამობა - იურიდიული და ბუნებრივ-ბიოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით. ამ ცვლილებამ საოჯახო სამართლის ზოგიერთ მკვლევარში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. უფრო სწორად, ლიტერატურაში მართებულად აღინიშნება, რომ მიზანშეწონილია გამოკვლევულ მონაცემებთან ერთად სასამართლომ სხვა მტკიცებულებებიც გამოიყენოს. სასამართლოს უმთავრეს მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ობიექტური ქეშმარიტების დადგენა იმის თაობაზე, რომ ბავშვი ნამდვილად მოპასუხისაგან წარმოიშვა. მამობის პრეზუმფცია უნდა ემყარებოდეს მოპასუხის საოჯახო ურთიერთობებში განსაზღვრული ხარისხით ჩართულობასაც. სასამართლომ უნდა განსაზღვროს ბავშვთან და მის დედასთან სავარაუდო მამის ურთიერთობის ის ხარისხი, რაც ლოგიკურად საფუძვლად დაედება ამ უკანასკნელისათვის მშობლის უფლება-მოვალეობების დაკისრებას, მით უმეტეს, რომ მას შეუძლია სასამართლოში წარადგინოს მამობის გამაბათილებელი საბუთები.

სწორედ ამიტომაც, რომ სასამართლო ზოგჯერ უარს ამბობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისეთ შემთხვევაში, როცა ქალსა და მამაკაცს შორის არსებობდა შემთხვევითი, ხანმოკლე კავშირი და მამაკაცი არ უარყოფს იმას, რომ შეიძლება ბავშვი ასეთი კავშირისაგან იყოს გაჩენილი. ბავშვის გაჩენისადმი ასეთი არასერიოზული და ქარაფშუტული დამოკიდებულება, შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება მოპასუხისათვის სერიოზული ზნეობრივი და მატერიალური ვალდებულებების დაკისრების საფუძველი გახდეს. არც მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნას უნდა მიეცეს დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა.<sup>93</sup> იგი სხვა მტკიცებულებებთან ერთად უნდა გამოიყენოს

<sup>92</sup> Corral, H. F. Filiation and assisted reproductive technology // Trabajopublicado en Revue Generale de Droit (U. de Ottawa), 2001. – N 31. – გვ. 701-729.

<sup>93</sup> კრებული - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეებზე, N ას-595-1248-03 თბ. 2003, N 12, გვ. 3420

სასამართლომ. ამ აზრს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილში განმტკიცებული ნორმა იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე (თუნდაც ეს გენეტიკური ექსპერტიზის საფუძველზე იყოს დამტკიცებული), თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.<sup>94</sup> ლიტერატურაში გვხვდება აზრი, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ნაკარნახები უნდა იყოს ბავშვის ჯანმრთელობის და ფსიქიკის დაცვის ინტერესებით, სხვა შემთხვევაში კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს მამობის პრეტენდენტს<sup>95</sup> ბავშვის უფლებათა გაეროს კომიტეტმა არაერთგზის აღნიშნა, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ განმარტება, უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას,<sup>96</sup> არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულების სულისკვეთებას. გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფინანსურ ინტერესებს, არამედ ბავშვის კონსტიტუციურ უფლებას იცოდეს, ვინ არის მამა<sup>97</sup> ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს განმარტებით, ბიოლოგიური მამობის დადგენა შესაძლებელია მარტოდენ იმ მიზნით, რომ შემდგომში დადგინდეს ბავშვთან ურთიერთობის უფლება და შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესები. კერძოდ, საქმეზე „ანაიო გერმანიის წინააღმდეგ“, ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის საკითხის განხილვისას, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ არ განიხილა შემდეგი საკითხი: ტყუპ ბავშვებსა და განმცხადებელს შორის ურთიერთობა შესაბამისობაში იქნება თუ არა ბავშვების ინტერესებთან.<sup>98</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში მოცემული მამობის იძულებითი დადგენის გარემოებების დეტალური ანალიზი იძლევა დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მსგავს შემთხვევაში სასამართლოს უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა იმის თაობაზე, რომ ბავშვი ნამდვილად

<sup>94</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, მამობის დადგენის საფუძველი. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული N 2, 2012;

<sup>95</sup> გ. რუსიაშვილი, ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენა, შედარებითი სამართლის ქართულ - გერმანული ჟურნალი, N9/20 გვ. 52-53.

<sup>96</sup> Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child // United Nations Children's Fund, – 2007. - გვ. 38.

<sup>97</sup> Löhnig, Vermögensbezogene Informationspflichten unter getrennt lebenden Ehegatten und vorzeitiger Ausgleich des Zugewinns bei vorzeitiger Aufhebung der Zugewinnsgemeinschaft, NZFam 2015, 359.

<sup>98</sup> Anayo v. Germany № 20578/07) 21.12.2010

მოპასუხისაგან წარმოიშვა. მან უნდა განსაზღვროს ბავშვსა და მის დედასთან მოპასუხის ურთიერთობის ხარისხი, რაც საფუძვლად დაედება მოპასუხისათვის მშობლის უფლება-მოვალეობების დაკისრებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკაც. კერძოდ, მამობის დადგენის დასახელებული ორი ასპექტიდან, რომელ ასპექტს ანიჭებს უპირატესობას? ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახური კავშირების განვითარებას, კერძოდ კი, ოჯახში ბავშვის ინტეგრაციის იურიდიული გარანტიების უნდა შეიქმნას. საქმეზე „კორონი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ“<sup>99</sup> დადგინდა ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ჰოლანდიის ხელისუფლებამ გათხოვილ ქალს არ მისცა შესაძლებლობა, გაექარწყლებინა ქმრის მამობა ბავშვის მიმართ, რამაც შეუძლებელი გახადა ბიოლოგიური მამის უფლება განხორციელება, თავისად ელიარებინა ბავშვი. ოჯახური ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, რომ ფაქტობრივ ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ მოვლენებს პრიორიტეტი გააჩნიათ კანონის დანაწესების მიმართ, რომლებიც, როგორც ამ შემთხვევაშია, ეწინააღმდეგებიან ფაქტებს და დაინტერესებულ პირთა მისწრაფებებს და შესაბამისად, არავისათვის მოაქვთ სარგებელი.

მამობის დადგენის საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადებისას ძირითადი ყურადღება, როგორც წესი, ექცევა მტკიცების საკითხებს. გარდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების განსაზღვრისა, მოსამართლე მოვალეა, სსკ-ის 354-ე მუხლის ძალით, საქმეში მონაწილე პირებს აღმოუჩინოს დახმარება მტკიცებულებათა შეგროვებასა და გამოთხოვაში, ან თვითონ გამოითხოვოს ისინი, ანუ ასეთი ხელშეწყობა შესაძლებელია დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის არარსებობის დროსაც.

მამობის დადგენის შესახებ საქმეებზე მტკიცებულებათა საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოებისათვის ამოსავალი უნდა იყოს სკ-ის 1190-ე მუხლი. მოცემული კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება ნებისმიერი

---

<sup>99</sup> Orzeczenie z dnia 27 października 1994 r., skarga numer 18535/91. [http://www.espch.ru/component/option,com\\_frontend/Itemid,1](http://www.espch.ru/component/option,com_frontend/Itemid,1).

მტკიცებულება, რომელიც უტყუარად ადასტურებს ბავშვის ბიოლოგიურ წარმოშობას კონკრეტული პირისაგან. ასეთ მტკიცებულებებს მიეკუთვნება ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი, რომელიც დგინდება სსსკ-ის 102-ე მუხლში ჩამოთვლილი მტკიცებულებებით. მამობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთობლივი ცხოვრება და მათ მიერ საერთო მეურნეობის გაძღოლა ბავშვის დაბადებამდე, ანდა ბავშვთან ერთობლივი ცხოვრება და ბავშვის ერთობლივი აღზრდა ან რჩენა, ანდა მტკიცებულებები, რომლებიც სავსებით, ანუ უტყუარად ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. აღნიშნული გარემოებებიდან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მამობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისათვის.

ბავშვის დაბადებამდე ბავშვის დედასთან მოპასუხის თანაცხოვრება და საერთო მეურნეობის გაძღოლა შეიძლება დადასტურდეს ოჯახური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი გარემოებების არსებობით. კერძოდ, ერთ სახლში ცხოვრება, ერთობლივი კვება, ზრუნვა ერთმანეთზე, ერთიანი ბიუჯეტი, ქონების შეძენა ერთობლივი სარგებლობისათვის, საერთო ხარჯები. მხარეთა შორის ასეთი ურთიერთობების შეწყვეტა ბავშვის დაბადებამდე თავისთავად არ შეიძლება წარმოადგენდეს მამობის დადგენის შესახებ სარჩელის არდაკმაყოფილების საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ორსულობის დაწყებამდე იქნა შეწყვეტილი. რაც შეეხება ბავშვის ერთობლივად აღზრდას, ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოპასუხე ურთიერთობს ბავშვთან, იჩენს მის მიმართ მშობლიურ მზრუნველობას და ყურადღებას. რჩენის ფაქტის დასადგენად საჭიროა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ბავშვი იმყოფებოდა დედისა და მოპასუხის კმაყოფაზე. ანდა მოპასუხე სისტემატურად უწევდა დახმარებას საკვების, საბავშვო ტანსაცმლის, სათამაშოების შეძენაში, ბავშვის მოწყობაში საბავშვო (მათ შორის სამედიცინო) დაწესებულებებში. ამგვარი დახმარების ოდენობა და მისი ხანგრძლივობა არ არის არსებითი ბავშვის რჩენის ფაქტის დამტკიცებისათვის, დადასტურებისათვის.

ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი



ურთიერთობა ბავშვის დაბადებამდე უნდა გაგრძელდეს. ხშირად ქალის დაორსულება საფუძვლად ედება მასთან მამაკაცის ურთიერთობის შეწყვეტას. ამიტომ ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა ბავშვის დაბადებამდე არ შეიძლება მამობის დადგენის შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდეს. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, თუ იგი ბავშვის ჩასახვამდე შეწყდა. საქმისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ მშობლები ერთად ცხოვრობდნენ ბავშვის ჩასახვის მომენტიდან და ასე გრძელდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენაში არ იგულისხმება ამ ორი მომენტის თანადამთხვევა, საკმარისია ერთ-ერთი მათგანის არსებობა. შეიძლება მამა ბავშვის სარჩენად ხარჯებს არ იღებდეს, მაგრამ ზრუნავდეს მის აღზრდაში და, პირიქით, შეიძლება მამა უშუალოდ არ ზრდიდეს ბავშვს, მაგრამ გარკვეულ ხარჯებს იღებდეს მის სარჩენად.<sup>100</sup>

სასამართლო პრაქტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარების ფაქტს. ბავშვის დედისა და მოპასუხის თანაცხოვრება და მათ მიერ საერთო მეურნეობის გაძღოლა, ასევე ბავშვის რჩენა და აღზრდა, თუ ამ ფაქტორებს ადამიანური ურთიერთობების ბუნებრივი ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით შევაფასებთ, საკმაოდ წონადი არგუმენტია ბავშვის წარმოშობის შესახებ დასკვნის გამოტანის სასარგებლოდ. თუმცა ასეთი ფაქტის არსებობის ალბათობის ხარისხი, როგორც ჩანს, უფრო დაბალია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე თვითონ, ზოგჯერ საჯაროდ, მესამე პირების წინაშე, ყოველგვარი იძულებისა და დათქმის გარეშე მიუთითებს მისგან ბავშვის წარმომავლობის შესახებ. უფრო მეტიც, აფიქსირებს ამ ფაქტს, ამ გარემოებას დოკუმენტებში. მტკიცებულებებს, რომლებითაც შეიძლება უტყუარად დადასტურდეს მოპასუხის მიერ მამობის აღიარება, წარმოადგენს მისი წერილები და სხვა - საფოსტო გზავნილები, მისალოცი ბარათები დედისადმი ბავშვის დაბადების დროს სამშობიარო სახლში მისვლისას; მამის პირადი საქმე, განცხადებები მატერიალური დახმარების გაწევის, დასასვენებელი სახლების, საოჯახო ტიპის პანსიონატში საგზურის აღების, შვებულებით, მათ შორის უხელფასო შვებულებით,

<sup>100</sup> ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი, თბ. 2004. გვ. 275-276.

გარკვეული დროს სარგებლობის შესახებ, როცა ამგვარ მტკიცებულებებში ისეთი გარემოებაა მითითებული, როგორცაა ბავშვის დაბადება და ა. შ. მთავარია, რომ ამა თუ იმ დოკუმენტის შინაარსი არ იწვევდეს ეჭვს იმ საკითხთან მიმართებაში, თუ ვისგან მომდინარეობს ისინი და რომ ეს პირი ბავშვს მამად ეკუთვნის. რიგ შემთხვევაში აღიარება დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებებში. მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი როგორც ბავშვის დაბადების შემდეგ, ისე ბავშვის დედის ორსულობის პერიოდში.<sup>101</sup>

თავისი დამოკიდებულება ბავშვისადმი, როგორც საკუთარი შვილისადმი, მოპასუხემ შეიძლება გამოხატოს ზეპირი ფორმითაც. ამ შემთხვევაში მოსარჩელე ეყრდნობა მოწმეთა ჩვენებებს. უნდა აღინიშნოს, რომ მოწმეთა ჩვენებები მამობის დადგენის საქმეებში წარმოადგენს მტკიცებულებების საკმაოდ გავრცელებულ სახეობას. მონაცემები, რომლებსაც ისინი ადასტურებს, ეხება არა მარტო მამობის აღიარების ფაქტს, არამედ სხვა გარემოებებსაც, რომლებიც საშუალებას იძლევა, პასუხი გაეცეს კითხვას: არის თუ არა მოპასუხე ბავშვის მამა. თუმცა, ტრადიციულად, სასამართლოები მოწმეთა ჩვენებების მიმართ საკმაოდ სიფრთხილეს იჩენენ, ვინაიდან ითვალისწინებენ იმას, რომ ეს პირები, როგორც წესი, მხარეებთან ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობებით არიან დაკავშირებული და, ბუნებრივია, მათმა „წმინდა ცხოვრებისეულმა დაინტერესებამ“ „საქმის შედეგით“ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მიერ მიცემული ჩვენებების სისრულესა და ობიექტურობაზე. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ნათესავებისაგან ზოგჯერ საკმაოდ ძნელია სრული ინფორმაციის მიღება საქმის გარემოებების შესახებ, ვინაიდან მათ „მოწმის იმუნიტეტი“ გააჩნიათ და უფლება აქვთ, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე ახლო ნათესავის წინააღმდეგ.<sup>102</sup>

<sup>101</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, მამობის დადგენის საფუძველი. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული N 2, 2012.

<sup>102</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლი. აქვე ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სხვადასხვა ნორმაში იყენებს, როგორც „ახლო ნათესავის“, ისე „ნათესავის“ ცნებებს. (სსკ-ის 142-ე, 215-ე, 30-ე, 31-ე მუხლები). არც ერთი დასახელებული ნორმის მიხედვით, ნათესავთა წრეში კანონი არ მოიაზრებს სულიერ ნათესავებს - ნათელმძროვნობით დაკავშირებულ პირებს, რაც, ჩვენი აზრით, ერთგვარი ხარვეზია და ეს პირებიც უნდა შედიოდნენ ნათესავების (ახლო ნათესავების) წრეში. თუ გავითვალისწინებთ ნათელმძროვნობის მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოებისათვის, საჭირო გახდება შესაბამისი ცვლილებების შეტანა დასახელებულ ნორმებში.

მტკიცების ამ თავისებურების გათვალისწინებით, საქმეთა მოცემულ კატეგორიაზე მოსამართლე სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე, კერძოდ, მოსამზადებელ სხდომაზე, ჩვეულებრივ ურჩევს მხარეებს, დაასახელონ და მოითხოვონ მოწმეებად ისეთი პირები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათთან ნათესაობით ან მეგობრობით. ცხადია, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ნათესავების, მეგობრების, ახლო ნაცნობების დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მოსამართლეს უფლება აქვს, უთხრას მხარეს უარი ნათესაური ან მეგობრული კავშირის მოტივით. მთავარია არა ის, შეიძლება თუ არა ამ პირების ჩვენებების გამოყენება მამობის დადგენის შესახებ საქმეთა განხილვისას, არამედ მთავარია მათი შეფასება. მაგალითად, ძნელია ექვი შეიტანო მოწმედ დაკითხული მოპასუხის მშობლების მიუკერძოებლობაში, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, მათმა შვილმა სარჩელი არ აღიარა, განაცხადეს, რომ დაბადებული ტყუპები მათი შვილიშვილები არიან, რომ ისინი აკითხავენ ბავშვებს და ცდილობენ შეძლებისამებრ დაეხმარონ მათ დედას.

მამობის აღიარება ზოგჯერ ასახულია სასამართლოში შეტანილ განცხადებაში, რომელშიც გამოთქმულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მამობის ნებაყოფლობით დადგენის თხოვნით მიმართვის სურვილი. ასეთი განცხადების შედეგებზე ზემოთ იყო საუბარი. ასეთი სურვილი მხარემ შეიძლება გააჟღეროს სასამართლოს სხდომაზეც, რომელზეც საქმე არსებითად წყდება.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 143-ე მუხლი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მქონე სუბიექტებს ჩვენების მიცემის ვალდებულებას აკისრებს, როდესაც გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების საკითხი, მაგრამ ამ ნორმის გავრცელება მამობის დადგენის საკითხის მიმართ და შესაბამისად ნორმის განვრცობა დაუშვებელია.

ბავშვის წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ზოგჯერ საჭირო ხდება სპეციალური ცოდნა, კერძოდ, მედიცინის სფეროში. იგულისხმება საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება. თანამედროვე

პერიოდში ექსპერტის დასკვნის მნიშვნელობა მამობის დადგენის საქმეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავთ, რომ სკ-ის 1190-ე მუხლი მამობის დადგენის შესაძლებლობას განსაზღვრული იურიდიული ფაქტების არსებობას უკავშირებს. ამასთან, აღნიშნული გარემოებები მხოლოდ მაშინ გახდება მამობის დადგენის საფუძველი, თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით მამობის დადგენა შეუძლებელია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გამოყენება უნდა მოხდეს მოპასუხისაგან ბავშვის წარმოშობის საკითხის გასარკვევად. საუბარია ბიოლოგიური ხასიათის ფაქტზე, რომლის გამოსავლენად სავსებით მართებულია, ზოგჯერ კი აუცილებელი, მტკიცებულებათა ისეთი სახეობის გამოყენება, როგორცაა ექსპერტიზის დასკვნა.

მამობის დადგენის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა შეუძლიათ: ბავშვის დედას; მეურვეს ან მზრუნველს; პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი; თვითონ ბავშვს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ასეთი საქმე სასამართლოში განიხილება სასარჩელო წარმოების წესით.

უმნიშვნელო როლს თამაშობს სისხლის ექსპერტიზა. მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა ეფუძნება სისხლის ჯგუფისა და ტიპის მშობლებიდან შვილებზე გადასვლის მექანიზმს. იგი სისხლის ჯგუფობრივი ან ტიპობრივი და არა ინდივიდუალური კუთვნილების დადგენის საშუალებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სისხლის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იძლევა მამობის გამორიცხვისა და არა დადგენის საშუალებას.<sup>103</sup> განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გინეკოლოგიურ ექსპერტიზას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის ჩასახვის ვადების დადგენა. ასეთი ექსპერტიზის საფუძველზე შეიძლება მოპასუხემ საეჭვოდ ჩათვალოს მოსარჩელესთან ერთად ცხოვრების პერიოდში ბავშვის ჩასახვის ფაქტი. უროლოგიური ექსპერტიზა მოპასუხის განაყოფიერების უნარის დადგენას ისახავს მიზნად. გრაფიკული ექსპერტიზით კი, იმ საბუთის მოპასუხის მიერ შექმნა

<sup>103</sup> ლ. ნადიბაიძე, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა. ჟ. „სამართალი“, 1996, N1-2, გვ. 59. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., 2004, გვ. 279

შეიძლება დადასტურდეს, რომლითაც მისი მამობაა აღიარებული. აღნიშნული ექსპერტიზების მონაცემების გამოყენებამ სასამართლოს შეიძლება ხელი შეუწყოს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. მათ სხვა მტკიცებულებათა მიმართ რაიმე უპირატესობა არ გააჩნიათ.

უკანასკნელ პერიოდში, სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების კვალობაზე, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული გენურ ინჟინერიაში. დადგენილია, რომ ყველა ადამიანის გენებში არსებული ცილა დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი საფუძვლად დაედო პიროვნების იდენტიფიკაციისა და ნათესაობის დადგენის ახალ მეთოდებს - გენური დაქტილოსკოპიის დამკვიდრებას. გამოკვლევის ობიექტად გამოიყენება სისხლი, სხეულის ძვლის ნაწილები და სხვ. გენეტიკური ექსპერტიზა უმეტესად საზღვარგარეთაა გავრცელებული. მიუხედავად მისი სიძვირისა, გენეტიკური ექსპერტიზის მასალების ფართოდ გამოყენება შეიძლება არა მარტო მაშინ, როცა მამობის სასამართლო წესით დადგენა ხდება, არამედ, როცა პირს გარკვეული პრეტენზია გააჩნია ბავშვის მშობლობაზე, ამა თუ იმ პირთან სისხლის ნათესაობაზე და ა. შ.<sup>104</sup>

სასამართლო წესით მამობის დადგენისათვის კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოპასუხეს არ შეუძლია სასამართლოში წარადგინოს მამობის გამაბათილებელი საბუთები (ბავშვის ჩასახვის მომენტში ხანგრძლივ მივლინებაში ყოფნა, იმპოტენტობა და სხვ.). მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცდება მამობის დადგენისათვის რომელიმე საფუძვლის არსებობა, სასამართლო მოპასუხეს აღიარებს ბავშვის მამად, ასეთი პირი რეგისტრაციაში გატარდება როგორც ბავშვის მამა და მას დაეკისრება ბავშვის რჩენა-აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.<sup>105</sup>

<sup>104</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, მამობის დადგენის საფუძველი. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული N 2, 2012.

<sup>105</sup> კრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეებზე, ას-861-1133-05 თბ., 2006. №9, გვ. 22.

სასამართლო წესით მამობის დადგენისას შვილებს მშობლების მიმართ, აგრეთვე მათი ნათესავების მიმართ წარმოეშობათ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც გააჩნიათ რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს.<sup>106</sup>

რადგან შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძველია შვილების წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დადგენა, ამიტომ შვილებს მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ უფლება-მოვალეობები წარმოეშობათ დაბადებიდან და არა მამობის სასამართლო წესით დადგენის მომენტიდან.

ბავშვის წარმოშობის საკითხის გასარკვევად ექსპერტიზის დანიშვნის შუამდგომლობის აღძვრის უფლება მოპასუხესაც აქვს. მოპასუხის ინტერესია დაამტკიცოს ბავშვსა და მოპასუხეს შორის ბიოლოგიური კავშირის არარსებობა.

გამოსაკვლევი პირის ექსპერტიზებში მონაწილეობა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. თუმცა, როდესაც ექსპერტიზა სასამართლოს მიერ არის დანიშნული, მნიშვნელოვანია სსსკ-ის 169-ე მუხლის გათვალისწინება. მოცემული ნორმის თანახმად, გათვალისწინებულია მხარის მიერ ექსპერტიზაში მონაწილეობისაგან თავის არიდების, გამოკვლევისათვის აუცილებელი მასალის წარუდგენლობის და სხვა შემთხვევებში მტკიცებულებითი მნიშვნელობის შედეგები, როდესაც საქმის გარემოებების მიხედვით და ამ მხარის მონაწილეობის გარეშე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია. ეს შედეგები მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს, იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე არიდებს თავს ექსპერტიზას და ასევე, თუ როგორი მნიშვნელოვანია მისთვის, უფლება აქვს, დადგენილად ან არდადგენილად აღიაროს ფაქტი, რომლის გასარკვევაც დაინიშნა ექსპერტიზა. იმდენად, რამდენადაც ზემოაღნიშნული ექსპერტიზების ჩატარება მასში მხარის შესაბამისი წესით მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, ექსპერტიზის დანიშვნისას მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს ექსპერტიზაში

---

<sup>106</sup> ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი, თბ. 2004. გვ. 282.

მონაწილეობისათვის თავის არიდების შედეგები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილით.<sup>107</sup>

ბავშვის წარმომავლობის საკითხზე გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის გენეტიკური დაქტილოსკოპიის მეთოდით ჩატარებული ექსპერტიზისაც, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, ვინაიდან არავითარ მტკიცებულებას არ გააჩნია სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა. ამასთან, მამობის დადგენის საქმეზე ჩასატარებელ ექსპერტიზაზე მხარის გამოუცხადებლობა, როდესაც ამ მხარის გარეშე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, ანდა კვლევისთვის აუცილებელი საგნების წარუდგენლობა ექსპერტისთვის<sup>108</sup> თავისთავად არ წარმოადგენს უპირობო საფუძველს სასამართლოს მიერ იმ ფაქტის დადგენილად ან პირიქით, არდადგენილად მიჩნევისათვის, რომლის გასარკვევადაც იყო დანიშნული ექსპერტიზა. ამ საკითხს სასამართლო წყვეტს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე და რა მიზეზით არ გამოცხადდა ექსპერტიზაზე, ანდა არ წარუდგინა ექსპერტებს კვლევისათვის აუცილებელი საგნები, ასევე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მხარისთვის ექსპერტთა დასკვნას საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარე.

ექსპერტიზაში მონაწილეობისაგან თავის ამრიდებელი მხარის ქცევის შეფასებისადმი ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულია, ვინაიდან სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეიცავს მხოლოდ იმ ფაქტის არსებობის ან არარსებობის პრეზუმფციას, რომლის დასადგენადაც არის დანიშნული ექსპერტიზა. ეს პრეზუმფცია შეიძლება სადავო გახდეს თავის ამრიდებელი მხარის მიერ დასადგენი ფაქტების შესახებ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით. მაგალითად, სისხლის ექსპერტიზის ან გენეტიკური დაქტილოსკოპიის მეთოდის გამოყენებაზე დაფუძნებული ექსპერტიზისათვის თავის არიდებისას მოპასუხე წარადგენს იმის უდავო მტკიცებულებებს, რომ მას არა აქვს განაყოფიერების უნარი, ანდა, რომ ბავშვის ჩასახვა

<sup>107</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი მე-4 ნაწილი.

<sup>108</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი.

მოხდა იმ პერიოდში, როდესაც გამორიცხული იყო ინტიმური ურთიერთობა ბავშვის დედასთან და ეს მტკიცებულებები სასამართლოს მიერ სათანადოდ იქნა შეფასებული.

მტკიცების პროცესში აუცილებელია მტკიცებულებათა დასაშვებობისა და შესახებობის წესის დაცვა.<sup>109</sup>

თუ მტკიცებულებათა განკუთვნიანობა ან შესახებობა ნიშნავს სასამართლო საქმის განხილვისას მხოლოდ იმ ფაქტების გამოკლევას, რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა, მაშინ მტკიცებულებათა დასაშვებობისას მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული იურიდიული ფაქტების განმტკიცების ფორმას.<sup>110</sup>

მამობის დადგენის საქმეზე მტკიცების საგნის სპეციფიკა შემდეგში მდგომარეობს: როდესაც შესაძლებელია მამობის დადგენა ექსპერტიზის მეშვეობით, მაშინ ამ საქმეებზე მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს არა სკ-ის 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული გარემოებებიდან ერთ-ერთი, არამედ ბავშვის წარმომავლობის ფაქტი მოპასუხისაგან, რადგან ეს ფაქტი შედის მისი მოთხოვნის საფუძველში. სხვა შემთხვევაში კი, ბავშვსა და მამას შორის არსებული ურთიერთობა, 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დედის მიერ მითითებული პირი წარმოადგენს მის ბიოლოგიურ მამას. გარკვეული პირისაგან ბავშვის წარმომავლობა, რომელიც ცხოვრობს დედასთან ერთად ან მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, ზემოქმედებას ახდენს მტკიცების საგანზე და ასევე მტკიცებისას მხარეებს შორის ვალდებულების განაწილებაზე.

მტკიცების დროს ვალდებულებების განაწილებისას ბავშვის დედა, რომელსაც უკავია მოსარჩელის მდგომარეობა, ვალდებულია, დაამტკიცოს 1190-ე მუხლის მე-4

<sup>109</sup> ზოგიერთ საოჯახო საქმეზე მტკიცებულებების დასაშვებობის და შესახებობის წესებზე მითითებულია ქართულ ლიტერატურაში. იხ. თეა კალანდაძე, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, გვ. 100, ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“ (N:2(29)11

<sup>110</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მტკიცებულებათა შესახებობისა და დასაშვებობის წესში, 2018 წლის მარტის თვეში შევიდა ცვლილებები, რაც ითვალისწინებს ყველა მტკიცებულების მიღებას სასამართლოს მიერ საქმის მომზადების ეტაპზე და შემდეგ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლით დადგენილი წესით მათ ამოღებას საქმიდან სასამართლოს მთავარ სხდომაზე. აღნიშნული ცვლილების კრიტიკის შესახებ იხილეთ: შ. ქურდაძე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-4 ნაწილის შემოღების მნიშვნელობისა და მიზანშეწონილების შესახებ“. ქ. „ცხოვრება და კანონი“, 2018 წ. N3-4



ნაწილში მითითებული თუნდაც ერთ-ერთი გარემოება, რომელიც წარმოადგენს კანონში მამობის დადგენის საქმეზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს. რადგან აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის დამტკიცება ქმნის მამობის პრეზუმფციას, მოსარჩელე თავისუფლდება დაამტკიცოს შვილისა და მისი სავარაუდო მამის სისხლის ნათესაობის ფაქტი, თუ მოპასუხე წარდგენილი სარჩელის წინააღმდეგი არ არის.

### 3.2. მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურება საოჯახო საქმეთა განხილვისას

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი აწესრიგებს სხვადასხვა უფლებებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვის საკითხს. ამ საქმეების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს მათი განხილვის პროცედურასა და ფორმაზე.<sup>111</sup>

საოჯახო კატეგორიის დავებთან მიმართებით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. სწორედ სამართალწარმოების განსხვავებული სპეციფიკისა და მოსამართლის ინკვიზიციური როლის გათვალისწინებით, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად. ამ კატეგორიის დავებში მოსამართლის აქტიურ როლზე აპელირებს სასამართლო პრაქტიკაც,<sup>112</sup> რომლის მიხედვითაც, სასამართლოს, რომელიც კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას იხილავს, მინიჭებული აქვს უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლი პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ

<sup>111</sup> ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. ახალაძე მ. კუბლაშვილი მ. ქურდაძე გ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2022 (პირველი მუხლის კომენტარი).

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-53-51- 2016

მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი). ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია: ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ საქმისთვის მნიშვნელოვანია. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს.<sup>113</sup> მოსამართლის ინკვიზიციური როლი მხარეთა შეჯიბრების პროცესში განსაკუთრებით გამოკვეთილია მაშინ, როდესაც საქმე ბავშვის (არასრულწლოვანის) ინტერესებს ეხება.<sup>114</sup> აქ უპირატესია ბავშვის აღზრდის, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გათვალისწინება. შესაბამისად, არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს ამოსავალი წერტილი ბავშვის საუკეთესო ინტერესებია. შესაბამისად, ამ მიმართებით მოსამართლის აქტიური, ე.წ. „ინკვიზიციური“ როლი უკიდურესად გამართლებულია.<sup>115116</sup>

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. ამ თავისებურებას განაპირობებს საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა, რომლიდან გამომდინარე უფლებებიც უპირატესად პიროვნებას უკავშირდება და ამასთან, ეს ურთიერთობები განგრძობადი ხასიათისაა.<sup>117</sup> ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა არაფერია, თუ არა კერძო

<sup>113</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-53-51- 2016

<sup>114</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-307- 294-2015

<sup>115</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.10.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-476- 450-2014

<sup>116</sup> ჰაგენლოხი უ. ალავიძე ბ. ბაქაძური ნ. ბერეკაშვილი დ. გასიტაშვილი ე. თოდუა მ. მესხიშვილი ქ. ქათამაძე პ. ძლიერიშვილი ზ. 2020. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები.

<sup>117</sup> ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი თბ. 2000, გვ. 16-17.

სამართლებრივი ურთიერთობები, მაგრამ ამ ურთიერთობების სრულყოფით და ზოგადად ოჯახის განმტკიცებით, დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, საოჯახო სამართლებრივი დავის განხილვისას, სსსკ-ის 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მინიჭებული აქვს უფლება, არ დასჯერდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი), ასევე მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ ამ მტკიცებულებებს მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანში შემავალ, ანუ დასადგენ გარემოებათა დასადასტურებლად.<sup>118</sup> თუმცა არ არის მართებული დებულება, რომლის თანახმადაც დასახელებული 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით“.<sup>119</sup> საქმე იმაშია, რომ ეს წესი განპირობებულია საოჯახო საქმეთა განხილვის სპეციფიკით და არა ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციით, რამეთუ ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენცია დამახასიათებელია კერძო სამართლისათვის. სამოქალაქო საპროცესო სამართალი კი, საჯარო სამართალია, რომელშიც მხოლოდ სპეციალური ნორმები მოქმედებენ.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლო თავად განსაზღვროს მტკიცების საგანს, ე. ი. იმ გარემოებათა წრეს რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; თავისი ინიციატივით გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ მნიშვნელობა აქვთ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.

შედარებისათვის, საოჯახო საქმეთა განხილვისას, პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს

<sup>118</sup> ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ, 2007, 97.

<sup>119</sup> ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ, 2007, 97.

უფლებას აძლევს გაუძღვეს საქმისწარმოებას. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლო საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები.<sup>120</sup> სასამართლოს ეკისრება, მხარეებისათვის განმარტებების მიცემის ვალდებულება, რითაც მათ ექმნებათ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე მტკიცების ტვირთის დაძლევის შესაძლებლობა. თუმცა იმავდროულად მხარეს შეუძლია არც გამოიყენოს და არ გაითვალისწინოს მოსამართლის განმარტებები.<sup>121</sup>

შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად სასამართლოს მინიჭებული აქვს პროცესის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა წარმოიშობა ორი პრინციპის - მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროპორციის საკითხი. საინტერესოა რა დოზით უნდა მოხდეს ამ ორი პრინციპის შეხამება და გამოყენება საქმის განხილვისას.

ერთი მხრივ სასამართლო შებოჭილია მხარეთა მოთხოვნებით,<sup>122</sup> მეორე მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპი არ ნიშნავს სასამართლოს უკიდურეს პასიურობას. საპროცესო კანონმდებლობით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები, თუ ამას საქმის გარემოებები მოითხოვენ ან მხარეები შუამდგომლობენ ამის შესახებ. მტკიცების ტვირთის მხარეებზე განაწილებისას სასამართლოს არ ერთმევა უფლება, მხარეებს შესთავაზოს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები,<sup>123</sup> მაგალითად, თუკი დავა შეეხება მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფას, აქ გადამწყვეტია ის, ხომ არ რეგულირდება მეუღლეებს შორის ქონებრივი უფლებები საქორწინო კონტრაქტით, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება საქორწინო კონტრაქტის შესაბამისად.<sup>124</sup>

<sup>120</sup> Grunsky W, Zivilprozessrecht, München, 11 aufl, 2003, 36

<sup>121</sup> Luke W, Zivilprozessrecht, München, 8 Aufl, 2003, 5

<sup>122</sup> სსკ-ის 248-ე

<sup>123</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2003, 43-44

<sup>124</sup> Kaye P, Civil Jurisdiction and Inforcement of Foreign Judgments, Oxford, 1987, 613

ამდენად, საკითხი უნდა გადაწყდეს შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპებს შორის ზომიერი ბალანსის სასარგებლოდ. შესაბამისად, მხარეები არც შეზღუდული იქნებიან სასამართლოს აქტიურობით და არც დაიჩაგრებიან იმის გამო, რომ სასამართლოს ნეიტრალური როლი ექნება მინიჭებული საქმის გარემოებების გამოკვლევაში.

„სასამართლომ აქტიურად და კვალიფიციურად უნდა გამოიყენოს მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დასაცავად სასამართლოში მისულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა“.<sup>125</sup>

ვეთანხმებით საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვისას გამოიყენება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები და და ამ პრინციპებთან ერთად, ამ კატეგორიის საქმეების განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო, აქ აგრეთვე გამოიყენება სამმებრო, ანუ ინკვიზიციურობის პრინციპი.<sup>126</sup>

სამმებრო პრინციპის მოქმედების ფარგლებში, საოჯახო საქმეების განხილვის დროს, მატერიალური ნორმების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე (რომელიც უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მტკიცების საგანი) და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.<sup>127</sup>

საოჯახო საქმეთა მომზადების სტადიაზე სასამართლო განსაზღვრავს დასადგენ გარემოებებს, კერძოდ:

სარჩელის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს;

---

<sup>125</sup> მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის მოქმედება, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 4 (23), 2009, 26

<sup>126</sup> მერებაშვილი ი. დასახელებული ნაშრომი.

<sup>127</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი.

შესაგებლის ფაქტებს, რომლებსაც მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ემყარება მოპასუხე;

სხვა ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის.<sup>128</sup>

სასამართლოს მიერ ზოგჯერ საქმის ობიექტურად განხილვას სჭირდება დამატებითი მასალების შეკრება. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის დატოვება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე. ამ მიზნით განქორწინების საქმის განხილვისას მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა გამოარკვიოს, მონაწილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. თუ დაადგენს, რომ მოპასუხე არ ასრულებს ამ ვალდებულებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებით მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება (განჩინების სახით) საქმის საბოლოო განხილვამდე, რათა მოაწესრიგოს მშობლებისა და შვილების შორის ურთიერთობის საკითხი.<sup>129</sup>

საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ასევე მოქმედებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენების შემთხვევაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საოჯახო საქმეების განხილვის დროს სასამართლო თავისი ინიციატივით განსაზღვრავს დასადგენ გარემოებათა წრეს და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ თვითონ გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, სასამართლომ მოპასუხე მხარე არ უნდა გააფრთხილოს პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ.<sup>130</sup>

<sup>128</sup> შ. ქურდაძე, ნ ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2015 წ., გვ. 633

<sup>129</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლი.

<sup>130</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი.

სასამართლომ არა მარტო მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არამედ თავისი ინიციატივით უნდა გადაწყვიტოს დავა.<sup>131</sup> თავდაპირველად უნდა დადგინდეს გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება დამტკიცებას მთლიანად საქმეზე (მტკიცების საგანი), შემდეგ კი ის ფაქტები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს კონკრეტული მხარის მიერ (მტკიცების ტვირთი).

დასამტკიცებელი ფაქტები გამომდინარეობენ მატერიალური სამართლის ნორმის დისპოზიციიდან. სამართლის ნორმა მიუთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა დამტკიცდეს განსახილველი კატეგორიის ნებისმიერ საქმეზე. მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევის საქმეზე სასამართლოსთვის ამოსავალია მშობლის ქცევა და დამოკიდებულება შვილებისადმი.<sup>132</sup>

ამასთან, ყველა საქმეს ახასიათებს თავისი სპეციფიკა, რომელიც გამომდინარეობს სარჩელიდან (განცხადებიდან) და შესაგებლიდან. სარჩელში (განცხადებაში), შესაგებელში ირკვევა კონკრეტული გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს მოცემულ საქმეზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განსაზღვრის მიზნით უნდა გამოვიყენოთ ორი წყარო:

- ა) მოცემული საქმის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმა;
- ბ) სარჩელისა და შესაგებლის საფუძვლები.

მტკიცების ვალდებულება მდგომარეობს მტკიცებულებების წარმოდგენაში, რომლებიც ადასტურებს იმ გარემოებებს, რომლებსაც ემყარება მხარე. ხშირად იურისტები ფიქრობენ, რომ მტკიცებულებების წარმოდგენა საკმარისია მტკიცების ტვირთის შესასრულებლად. ფორმალურად ეს ასეა, მაგრამ საქმის მოსაგებად მარტო მტკიცებულებების წარმოდგენა არ არის საკმარისი. მთავარია, როგორ წარმართავ მტკიცებულებების გამოკვლევას, რათა სასამართლო დარწმუნდეს მათ უტყუარობაში.

<sup>131</sup> ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“; საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 4(23), 2009, 26

<sup>132</sup> მაშასადამე ამოსავალია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის დისპოზიცია.

ყოველი მხარე მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებას აქარწყლებს თავისი სამართლებრივი პოზიციით.

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლე განსაზღვრავს, თუ რომელ გარემოებებს აქვს საქმისათვის მნიშვნელობა. განუმარტავს მხარეებს (მეუღლეებს), რომ თითოეულმა მათგანმა უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც, როგორც საფუძველზე, ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. ამ მიზნით მოსამართლემ მხარეებს უნდა განუმარტოს, რა მტკიცებულებებით შეუძლიათ მეუღლეებს მათ მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება.<sup>133</sup>

პროცესში, მათ შორის საოჯახო საქმეებზე, გამოიყენება პრეზუმფცია, რომლითაც შესაძლებელი ხდება მხარის გათავისუფლება ამა თუ იმ ფაქტის მტკიცებისაგან.<sup>134</sup> მაგალითად, საოჯახო სამართალში მოქმედებს დაქორწინებული მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობის ფაქტი. აღნიშნული ფაქტი მიგვანიშნებს კანონისმიერი პრეზუმფციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ეს უკანასკნელი მოსამართლეს მიუთითებს, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს იმ შემთხვევაში, როცა მას არ ძალუძს სიმართლის გარკვევა. ასეთ სიტუაციაში საჭიროა ორიენტირის აღება მტკიცების ტვირთზე. თითოეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. აქ იგულისხმება ის ფაქტები, რომლებიც აუცილებელია და საჭიროა ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ცალკეული ელემენტის შესავსებად. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ცვლის ამ წესს: გარკვეული ფაქტები მიიჩნევა არსებულად და მოწინააღმდეგე მხარემ ისინი სადავო არ უნდა გახადოს.

კანონისმიერ პრეზუმფციებს ორი ფუნქცია აქვს: საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი. პირველი გამოხატება იმაში, რომ ეს პრეზუმფციები ცალკეულ

<sup>133</sup> იხ. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მე-2 გამოცემა, თბ, 2006, 828

<sup>134</sup> მ. სულხანიშვილი, პრეზუმფცია და პრეიუდიცია სამოქალაქო პროცესში, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2015



შემთხვევაში ცვლის საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცების წესს და მტკიცების ტვირთს აკისრებს მეორე მხარეს, რაც ამ უკანასკნელისათვის დაკავშირებულია რისკთან, რომ მან შეიძლება წააგოს პროცესი, თუ მტკიცებულება არ იქნა მიღებული. მატერიალურ-სამართლებრივი ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ ნორმის აღწერილობითი ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი კონკრეტულ პროცესთან მიმართებაში და კონკრეტულ მხარეთა შორის მაშინაც მოცემულად ჩაითვლება, როცა ობიექტურად ვერ მოხერხდა ამ გარემოების დადგენა.

მტკიცების საგანს გარკვეული თავისებურება ახასიათებს მაშინ, როდესაც სასამართლოში აღძრულია საქმე განქორწინების მოთხოვნით ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს საქართველოს სკ-ის 1123-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ქმარს ცოლის თანხმობის გარეშე არა აქვს განქორწინებაზე საქმის აღძვრის უფლება ცოლის ორსულობის და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. სამოქალაქო კოდექსის მოცემული ნორმა ზღუდავს მხოლოდ ქმრის უფლებას აღნიშნული გარემოებების არსებობისას. ცოლს ასეთ შემთხვევაში სრული მოცულობით უნარჩუნდება განქორწინებაზე საქმის ნებისმიერ დროს აღძვრის უფლება.

მოსამართლემ მსგავსი საქმის განხილვისას მტკიცების საგანში უნდა შეიტანოს დაქორწინების ფაქტი; განქორწინებაზე მეუღლის თანხმობის არსებობის ფაქტი; მეუღლის ორსულობის ფაქტი; ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის არ გასვლის ფაქტი.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს თავისუფალი განქორწინების პრინციპი, თუმცა დღემდე არსებობს ისეთი ქვეყნებიც, რომელთა კანონმდებლობა დასაშვებად არ მიიჩნევს განქორწინებას. ესენი, უმეტეს შემთხვევაში, ის ქვეყნებია, სადაც შეინიშნება კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენა. მაგალითად, არგენტინა, კოლუმბია და სხვ.<sup>135</sup> საჭიროა საქმის დეტალურად შესწავლა, მეუღლეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობათა შინაარსში გარკვევა, მოწმეთა დაკითხვა, დოკუმენტების

---

<sup>135</sup> Зенин И, А, Гражданское и торговое право зарубежных стран, М, 2009, 197, 198

გამოთხოვა. მოსამართლემ განქორწინების საქმეზე უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი: დაქორწინების ფაქტი; განქორწინებაზე ერთ-ერთი მეუღლის თანხმობის არარსებობის ფაქტი; მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრებისა და ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობის ფაქტი; სხვა ფაქტები შედის მტკიცების საგანში, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

კანონის მიზანია არა მამაკაცის უფლების შეზღუდვა, არამედ ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა.<sup>136</sup> შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეზე იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, ბავშვი გაჩენილია თუ არა დაქორწინებული მშობლებისაგან.<sup>137</sup>

განქორწინების საქმეთა განხილვისას მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საერთო წესი.

საინტერესოა ქორწინების ბათილად ცნობის საქმეების განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

საპროცესო კანონმდებლობა ქორწინების ბათილად ცნობას ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს მიერ.

ამ კატეგორიის საქმეებზე მტკიცების საგანში შედის შემდეგი ფაქტები:

დაქორწინების ფაქტი;

ფაქტები, რომლებიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას, აღძრას საქმე ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით:

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს მშობლის უფლებამოსილებიდან - ეს ის შემთხვევაა, როდესაც სარჩელი წარდგენილია ერთ-ერთი არასრულწლოვანი მეუღლის მშობლის მიერ;

---

<sup>136</sup> იხ. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ, 1999, 143

<sup>137</sup> Справочник по доказыванию в гражданском судопроизводстве, под. Редакцией Решетниковой И. В, 4-е издание, переработанное, М, 2008, 207.

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა საქორწინო ურთიერთობიდან, იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი წარდგენილია კანონით დადგენილი წესით ქორწინებაში მყოფი სხვა მეუღლის მიერ;

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომლითაც დადგენილია ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის ქმედუუნარობა, დანიშნულია მეურვე ან სარჩელი წარდგენილია ქმედუუნარო მეუღლის მეურვის მიერ;

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა პირთა მიერ დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დარღვევიდან, თუ სარჩელი წარდგენილია იმ პირთა მიერ.

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ წარმოებულ ყოველ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგანი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რის საფუძველზეა დაყენებული მოთხოვნა ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ.

ქორწინების ბათილად ცნობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეზუმფცია. ქორწინების ბათილობამდე მოქმედებს ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია და ქორწინება წყდება სასამართლოში ბათილობის საფუძვლის დადგენის მომენტიდან. ამ დრომდე გასული პერიოდისათვის ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება. ამგვარად, ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფციის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, მათთვის მოულოდნელად აღმოჩნდება მათი ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, რაც, კანონი მიხედვით, ქორწინების გაბათილების საფუძველია, მაგრამ მას, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ქორწინების გაბათილება კი არ მოჰყვება, არამედ - მისი შეწყვეტა.<sup>138</sup>

---

<sup>138</sup> იხ. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბ, 2009, 130-132

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ითხოვს ქონების გაყოფას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღიარებულია რეგისტრირებული ქორწინებიდან გამომდინარე მეუღლეთა უფლება-მოვალეობები, რის გამოც ნაკლებად არის დაცული ფაქტობრივი ქორწინება. თუ ამ საკითხს პრეზუმფციის ასპექტით განვიხილავთ, ურიგო არ იქნებოდა თუკი ქართულ სამართალშიც დამკვიდრდებოდა ე. წ. ნაგულისხმევი შეთანხმებების შესახებ ამერიკულ სამართალში არსებული პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც სასამართლოს უფლება ეძლევა თანაბრად გაყოს ქონება. ნაგუსილხმევი (კონკლუდენტური) შეთანხმებები არის ქვაზი შეთანხმებები/ხელშეკრულებები, რომლებიც სამართალმა შექმნდა იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრებას მეორის ხარჯზე.<sup>139140</sup>

სკანდინავიის ქვეყნებში ერთ-ერთი მეუღლე საკუთრების უფლებას არაპირდაპირ მოიპოვებს მეორე მეუღლის უძრავ ნივთზე. ნორვეგიული კანონმდებლობის მიხედვით, განქორწინების დროს მეუღლეები თანაბრად იყოფენ ქონებას. 1975 წელს ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ მეუღლეს მიანიჭა იმის უფლებამოსილება, რომ საკუთრების უფლება შეეძინა უძრავ ნივთზე, თუ იგი უვლიდა შვილებს და დაკავებული იყო საოჯახო საქმიანობით. ამდენად, აღნიშნულ საქმეს „ოჯახის დიასახლისი“ („Housewife case“) ეწოდა. ამასთან, მეუღლის მხრიდან არაპირდაპირი მონაწილეობის მიღება, რაც გულისხმობს ბავშვების მოვლას, და საოჯახო მეურნეობის გაწევას, საკმარისია რომ ამ უკანასკნელმა უფლება მოიპოვოს მისი მეუღლის თანხებით შეძენილ უძრავ ნივთზე, ასეთივე პრაქტიკაა დანიაში და შვედეთში.<sup>141142</sup>

---

<sup>139</sup> McCaffrey C.S., The Property Rights of Unmarried Cohabitants in the USA, Trusts & Trustees, Vol. 24, №1, February 2018, 101. 103

<sup>140</sup> ბასილაძე ნ. 2020. სამართლის ჟურნალი N2. ფაქტობრივ მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები.

<sup>141</sup> Resetar B., 2008. Matrimonial Property in Europe, A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law; vol. 12.3 , p.4.

<sup>142</sup> ფხალაძე ნ., 2020, სამართალი და მსოფლიო, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, მეუღლეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი (საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი).

საყურადღებოა, რომ თანდათანობით ქართულმა სასამართლოებმაც დაიწყეს ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების საკუთრების უფლების დაცვა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით.<sup>143</sup>

ალიმენტის საქმეებზე სასარჩელო მოთხოვნის და შესაგებელში მითითებული გარემოებების დასამტკიცებლად მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ მტკიცების სხვადასხვა საშუალება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ალიმენტის მოთხოვნის თაობაზე აღძრულ საქმეებზე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების უმეტესობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებებით, კერძოდ, სხვადასხვა დოკუმენტით, ცნობით, მოწმობით, გადაწყვეტილებით და სხვა.

მშობელს, რომელიც ითხოვს ალიმენტის დანიშვნას, აწევს იმ გარემოების დადასტურების მტკიცების ტვირთი, რომ არასრულწლოვანი ბავშვი იმყოფება მის კმაყოფაზე და მეორე მშობელი მონაწილეობას არ ღებულობს ბავშვის რჩენაში ან ამ უკანასკნელის მიერ გაწეული მატერიალური დამხარების ოდენობა არასაკმარისია.

არასრულწლოვანი შვილისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. იგი შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ალიმენტის ოდენობის შეცვლა დამოკიდებულია იმ გარემოებათა სტაბილურობით, რაც საფუძვლად დაედო ალიმენტის თავდაპირველი ოდენობის განსაზღვრას. ეს, უპირველესად, გულისხმობს ახალ გარემოებათა წარმოშობას, რამაც ცვლილება უნდა შეიტანოს ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობაში. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ამტკიცებს სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის გაზრდის საფუძვლად მითითებულ გარემოებებს. ხოლო მოპასუხემ, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს თავისი შემოსავლის ოდენობა.

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება. ასეთი

---

<sup>143</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე № 28/1156-19 , 27 ივლისი, 2020 წელი

ვალდებულების წარმოშობა გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვ.), თანახმად საქართველოს სკ-ის 1215-ე მუხლისა. დამატებითი ხარჯების დაკისრების მოთხოვნისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

თუ სარჩელი აღძრულია დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს დამატებითი ხარჯების არსებობის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში, მატერიალური და ოჯახური მდგომარეობისა და სხვა მიზეზების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს ორივე მხარემ, მიუხედავად იმისა, რომელი მხარე ემყარება მას.

ნორმალურ შემთხვევაში შვილი მშობელს ნებაყოფლობით არჩენს. ყოველგვარი რჩენა არ გულისხმობს საალიმენტო ვალდებულების არსებობას. საქმე იმაშია, რომ საალიმენტო ვალდებულება სასამართლოს მიერ დადგენილი და მაშასადამე იძულებითი წესით შესასრულებელი ვალდებულებაა. ცხადია, რჩენის მოვალეობის ნებაყოფლობითი შესრულება მოკლებულია იძულებით განხორციელებადობის თვისებას.

სრულწლოვან ქმედუნარიან შვილებს ევალებათ არჩინონ თავიანთი არაშრომისუნარიანი მშობლები, რომლებსაც მატერიალური დახმარება სჭირდებათ. შვილების საალიმენტო ვალდებულების განსაზღვრისას სასამართლო ეფუძნება ორ გარემოებას: მშობლების შრომისუნარობასა და მატერიალური დახმარების საჭიროებას.

შრომისუნარო მშობლები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ თავიანთი შვილებისაგან, უფლებამოსილი არიან მოითხოვონ დახმარება შემდეგი გარემოებების არსებობისას, რომლებიც შედის მტკიცების საგანში: მშობლებსა და შვილებს შორის შთამომავლობითი წარმომავლობა (საპენსიო ასაკის მიღწევა, ინვალიდობა); მატერიალური დახმარების საჭიროების არსებობა; მშობლებსა და შვილებს შორის ალიმენტის ოდენობაზე შეუთანხმებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება მყარი ფულადი თანხით, როგორც მშობლების, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მტკიცების საგანში შესაძლოა შევიდეს შემდეგი გარემოებები: მშობლის მატერიალური უზრუნველყოფის დონე; მშობლებისა და შვილების სახელზე რიცხული მუდმივი შემოსავლის მომტანი ქონების არსებობა; მუდმივ სარჩენად მყოფი სხვა პირების არსებობა; სხვა სრულწლოვანი ქმედუნარიანი შვილების ყოლა; სხვა შვილის ყოლა, რომელსაც უხდის ალიმენტს; დამატებითი ხარჯების არსებობა.

მშობლის უფლებაჩამორთმეული პირი შვილებისაგან ალიმენტს ვერ მოითხოვს. ალიმენტის მოთხოვნის უფლება არც მაშინ არსებობს, როცა სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უფლებაჩამორთმეული მშობელი კარგავს შვილთან ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას. მშობლისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით შვილები შეიძლება დაეყრდნონ შემდეგ ფაქტებს: მშობლის უფლების ჩამორთმევა; მშობლის მოვალეობისათვის თავის არიდება; მოსარჩელის მიერ წინასწარ განზრახული დანაშაულის ჩადენა მოპასუხის მიმართ; მოსარჩელის უღირსი საქციელის ჩადენა ოჯახის მიმართ.

სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლები დამტკიცებულ უნდა იქნეს მოსარჩელის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შვილს აქვს სურვილი, მიაღწიოს სარჩელზე უარი თქმის სამართლებრივ შედეგს, მაშინ იგი ვალდებულია ამტკიცოს გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სრულწლოვანი შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან. ამიტომ სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს საქმეზე დასადგენი მტკიცებულებები თავისი შეხედულებისამებრ (შეგროვების თვალსაზრისითაც) და შემდგომ შეაფასოს ისინი.

აუცილებელი მტკიცებულებებია: ბავშვის დაბადების მოწმობა; მშობლის საპენსიო მოწმობა ან მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; ცნობა

გამომუშავებული თანხის, შემოსავლის ან პენსიის ოდენობის შესახებ; ცნობა ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ; მშობლების ქორწინების მოწმობა; შვილის შემოსავლის ოდენობის დამადასტურებელი ცნობა; მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; სხვა წერილობითი მტკიცებულებები.

როგორც ვნახეთ, სასამართლოს მტკიცების პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა სუბიექტი და ასრულებს შესაბამის ფუნქციებს. ერთი მხრივ, სასამართლო იკვლევს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სთავაზობს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, მხარეებს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა მოპოვებაში, აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ამ შეფასებას ასახავს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მეორე მხრივ, საქმეში მონაწილე მხარეები, საქმის გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენით ადასტურებენ თავიანთ სამართლებრივ მოსაზრებებს. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა განიმარტოს მტკიცებულების მნიშვნელობა, დასაშვებობა და შესახებობა ამა თუ იმ ფაქტის დადგენის, თუ დაუდგენლობის საკითხში. მოსამართლე მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით აფასებს. ამასთან, მოსამართლის დასკვნა მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს და მაშასადამე, ამა თუ იმ ფაქტის დადგენის თაობაზე მის მიერ გამოტანილი დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. დასაბუთებული უნდა იყოს მოსამართლის დასკვნა მაშინაც, როდესაც იგი მტკიცებულებას ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, არასაკმარისად (არასარწმუნოდ) მიიჩნევს.<sup>144</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მტკიცებულებათა შეფასება ის პროცესია, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით (*appréciation souveraine*),<sup>145</sup> მტკიცებულებებთან მიმართებით გამოსაყენებელი კონკრეტული სამართლის ნორმების თანახმად, ფაქტებს მიიჩნევს ან არ მიიჩნევს დადასტურებულად (მტკიცებულებების შეფასებასთან მიმართებით ფრანგულ სამართალში არსებული დოქტრინა *la preuve légale*).<sup>146</sup>

<sup>144</sup> Jauernig, *Zivilprozessrecht*, München, 2013.

<sup>145</sup> Ommeslaghe, *Droit des obligations*, tome III (Brussels: Bruylant, 2010), section 1629.

<sup>146</sup> Fasching, *Zivilprozeßrecht*, 2nd ed. (Vienna: Manz, 1990), section 812, O. Pelli, *Beweisverträge im Zivilprozess* (Zurich: Dike, 2012), 155, the term 'legal proof' is used by *E. Silvestri*, 'The antique shop of Italian civil procedure',



დაბოლოს, სასამართლოს მტკიცების პროცესი მოითხოვს სამოქალაქო სამართალურთიერთობის სხვადასხვა სუბიექტის აქტიურობას.<sup>147</sup>

### 3.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში დასახელებულია მტკიცებულებები, რომელთა მეშვეობითაც სასამართლო ადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს, ანუ იურიდიულ ფაქტებს, რომელთაც კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი შედეგი უკავშირდება. ამასთან, ჩამონათვალში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა, როგორც მტკიცებულება, აღნიშნული არ არის. სამწუხაროდ, აღნიშნულზე არც ახლადამოქმედებული ბავშვის უფლებათა კოდექსი მიუთითებს რაიმეს. არადა, აღნიშნული ორგანოს დასკვნა მრავალი კატეგორიის საოჯახო საქმეზე საფუძვლად ედება სასამართლო გადაწყვეტილებას. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა საოჯახო საქმეზე სავალდებულოა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმე ამ ორგანოს სარჩელის საფუძველზე აღიძვრება. დასკვნის გასაცემად აღნიშნულ ორგანოს სასამართლო იწვევს ან მათი საქმეში ჩართვა მხარის შუამდგომლობით ხდება. ამგვარი დასკვნის გაცემის მიზანია იმ ვალდებულებათა შესრულება, რასაც კანონი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს

---

in Truth and Efficiency in Civil Litigation, ed. C. H. van Rhee § A. Uzelac (Cambridge, Portland, Antwerp: Intersentia, 2012).

<sup>147</sup> Справочник по доказыванию в гражданском судопроизводстве, под. Редакцией Решетниковой И. В, 4-е издание, переработанное, М, 2008, 9

აკისრებს, ასევე - კანონიერი ინტერესების დაცვა. ამიტომ საინტერესოა ამგვარი დასკვნის იურიდიული ბუნების გარკვევა და პასუხის გაცემა კითხვაზე, აქვს თუ არა ამგვარ დასკვნას მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

ქართული საპროცესო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს საკითხი სათანადოდ დამუშავებული არ არის. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო წესით (ნორმატიულად) მოუწესრიგებელია. როგორც ითქვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, მტკიცებულებათა ჩამონათვალში ამაზე საუბარი არ არის, ხოლო მატერიალური სამოქალაქო კოდექსი, ბუნებრივია, ამ დასკვნის მტკიცებულებით ღირებულებას ვერ განსაზღვრავს, თუმცა, ფაქტია, რომ ამგვარ დასკვნას დიდ სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს მატერიალური სამოქალაქო კოდექსი. ამიტომ შედარებისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მეცნიერების მოსაზრებათა ანალიზი. სახელდობრ, სახელმწიფო ორგანოს დასკვნის იურიდიული ბუნების შესახებ საკითხზე უცხოურ საპროცესო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. მაგალითად, აღნიშნულია, რომ მმართველობის ორგანო საქმის მონაწილე პირია, ე. ი. საქმის შედეგით დაინტერესებული მონაწილე პროცესში. ამიტომ მმართველობის ორგანოს დასკვნა მსჯელობაა იმის შესახებ, თუ სასამართლოს როგორი გადაწყვეტილება იქნება უფრო მართებული კომპეტენტური სუბიექტის (ანუ მმართველობის ორგანოს) აზრით.<sup>148</sup>

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა არის თუ არა მტკიცებულება, ზოგიერთი მეცნიერი უარყოფითად პასუხობს აღნიშნულ კითხვას. სახელდობრ, აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონი ზუსტად განსაზღვრავს და აწესრიგებს, თუ რა ფორმით შეიძლება იქნეს მიღებული ფაქტობრივი მონაცემები, კერძოდ, ფაქტობრივი მონაცემის მიღება შეიძლება მხარისა და მესამე პირის ახსნა-განმარტების, მოწმის ჩვენების, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულების, აუდიო და ვიდეოჩანაწერის, ექსპერტის დასკვნის სახით. სხვა,

---

<sup>148</sup> Осокина Г. Л. Гражданский Процесс. Общая часть. М., 2008, გვ. 279

კანონით გათვალისწინებული საპროცესო ფაქტების შესახებ მიღებული მონაცემები არ წარმოადგენს საპროცესო მტკიცებულებებს.<sup>149</sup>

აქედან გამომდინარე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება.

ამ აზრს სხვებიც იზიარებენ. მიიჩნევენ, რომ მტკიცებულების არსის, პროცესში მისი წარდგენის მიზანი არ იძლევა საშუალებას, სახელმწიფო ორგანოს დასკვნა საქმეზე მტკიცებულებად ჩავთვალოთ.<sup>150</sup>

განმარტავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფორმით მიღებული ფაქტობრივი მონაცემი არ წარმოადგენს მტკიცებულებას. სახელმწიფო ორგანოს დასკვნის სამართლებრივი ბუნება, აგრეთვე – სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებების თანამედროვე მოძღვრება, არ იძლევა სახელმწიფო ორგანოთა აქტების საქმეზე მტკიცებულებად მიჩნევის საშუალებას. შეუძლებელია სახელმწიფო ორგანოს დასკვნის მიჩნევა საქმეზე მტკიცებულებად, „რამეთუ ფაქტების შესახებ ინფორმაცია, როგორც მტკიცებულების შინაარსი, დასკვნის მხოლოდ აღწერილობით ნაწილშია მოცემული. დასკვნის არსი კი ასახულია სახელმწიფო ორგანოს აქტის დასკვნით ნაწილში“.<sup>151</sup>

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნას მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის. „ამასთან, თავისივე დასკვნაში ორგანოს მიერ გამოხატული აზრი არ არის მტკიცებულება. იგი არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, მაგრამ, თუ სასამართლო არ ეთანხმება დასკვნას, მან თავისი ამგვარი პოზიცია უნდა დაასაბუთოს კიდევ სასამართლო გადაწყვეტილებაში“.<sup>152</sup>

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის იურიდიული ბუნების შესახებ საკითხზე ლიტერატურაში გვხვდება წინააღმდეგობრივი დებულებების

---

<sup>149</sup> Грецшников М. К. Судебное доказательство. М., Городец, 2004, гл. 85

<sup>150</sup> Кулакова В. Ю. Участие в градеданском процессе государственных органов и органов местного самоуправления; Автороф. Дис. Канд. Юрид. Наук. М., 2001., гл. 24

<sup>151</sup> Григорьев А. Н. Заключение как формы выражения мнений отдельных участников гражданского судопроизводства: Автореф. Дис. Канд. Юрид. Наук. Саратов, 2011 г.

<sup>152</sup> Сохнова Т. В. Курс гражданского процесса. Теоретические начала и основные институты М., 2008. гл. 262

შემცველი პოზიციაც, მაგალითად, აღნიშნულია: „სახელმწიფო მმართველობის ორგანოს დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. თუმცა ასეთი დასკვნა არ არის სასამართლოსათვის სავალდებულო. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ უნდა შეაფასოს საერთო წესების საფუძველზე და შეიძლება გაიზიაროს სასამართლომ მოსამართლის დამოუკიდებლობისა და კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით. მაგრამ, თუ სასამართლო არ ეთანხმება დასკვნას, თავისი ამგვარი პოზიცია უნდა დაასაბუთოს. სახელმწიფო მმართველობის ორგანოს დასკვნა საქმის ერთ-ერთი მასალაა, რომელიც შეიძლება განიმარტოს, დაზუსტდეს და შეივსოს პროცესის განმავლობაში“.<sup>153</sup>

ამრიგად, ამ მოსაზრების ავტორი უფრო იმ პოზიციისკენ იხრება, რომ სახელმწიფო ორგანოს დასკვნა მტკიცებულებად ჩაითვალოს, თუმცა დასკვნის მიმართ იყენებს „საქმის მასალის“ ტერმინს, რაც ზუსტი საპროცესო ტერმინი არ არის. აღნიშნული ავტორის პოზიცია მოგვიანებით არსებულ მის შრომებში უფრო ზუსტი და სრულყოფილი სახით გვხვდება. სახელმწიფო ორგანოს დასკვნას იგი შემდეგნაირად ახასიათებს: „სახელმწიფო ორგანოს დასკვნის შედგენა, როგორც წესი, ხდება შემოწმებისა და საქმის მასალების წინასწარი შესწავლის საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მმართველობის ორგანო დასკვნას საკუთარი ინიციატივით ადგენს საქმის სასამართლოში აღძვრამდეც კი (მაგალითად, ეს ითქმის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნაზე ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული დავის შესახებ).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა ეფუძნება ამ ორგანოსათვის ცნობილ ან შემოწმების დროს დადგენილ ფაქტებს, რომელთაგან გამომდინარე გამოიტანება სამართლებრივი დასკვნა. სახელმწიფო ორგანოს დასკვნა არის მტკიცებულება საქმეზე საქმის გარემოებათა ჩამოყალიბების ნაწილში. ამ დასკვნას აქვს

---

<sup>153</sup> Шакарян М. С. Участие в советском гражданском процессе органов государственного управления. М. 1978, гл. 27

დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის. თუ სასამართლო არ ეთანხმება დასკვნას, თავისი ამგვარი პოზიცია უნდა დაასაბუთოს.<sup>154</sup>

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა მტკიცებულებას წარმოადგენს. მის სპეციფიკას ის განაპირობებს, რომ იგი სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ შესაბამის ინფორმაციას, არამედ შეფასებასაც, თუ რა იურიდიული მნიშვნელობა აქვს საქმის გარემოებებს, რომელთა დასადგენადაც მონაწილეობს ის სამოქალაქო პროცესში.

რაც შეეხება დასკვნის იურიდიულ ბუნებას, დასკვნაში გამოიყოფა ორი ნაწილი. უწინარეს ყოვლისა, ფაქტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა შესაბამისი ორგანოს თანამშრომლის სპეციალური ცოდნის დახმარებით და დაფიქსირდა წერილობით დოკუმენტში.

მეორე, დასკვნის შეფასებითი ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ორგანოს მოსაზრება დავის სამართლებრივი ბუნების შესახებ, შეფასებულია ორგანოს მიერ შეკრებილი, აგრეთვე – სხვა პირთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და შემოთავაზებულია დავის გადაწყვეტის მისეული ხედვა.

დასკვნის შეფასებითი ნაწილი – ეს არის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რამეთუ მოცემულ ორგანოებს უფლება აქვთ, სამართლებრივად შეაფასონ საქმის გარემოებები მათ მიერ შეკრებილი მტკიცებულებითი ინფორმაციის საფუძველზე, მაგალითად, გამოთქვან აზრი განქორწინების შემდეგ, თუ რომელ მშობელთან უნდა დარჩეს ბავშვი, რომელ მათგანს შეუძლია უზრუნველყოს ბავშვის აღზრდისათვის საუკეთესო პირობები. ამრიგად, მოცემული ორგანოები სამოქალაქო პროცესში მარტოოდენ მტკიცებულებათა წარდგენის მიზნით როდი მონაწილეობენ, არამედ – იმ მიზნითაც, რომ სასამართლომ მიიღოს კომპეტენტური შეფასება საქმის გარემოებათა სამართლებრივი მნიშვნელობისა იმ ორგანოს მხრიდან, რომელიც აღჭურვილია

---

<sup>154</sup> Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации/Под ред. М. С. Шакарян. М., 2007, гл. 129 (Автор главы М. С. Шакарян).

ხელისუფლებითი უფლებამოსილებებით მოცემულ სფეროში, ე. ი. მონაწილეობს დასკვნის მიღების მიზნით.<sup>155</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა კანონზე დაფუძნებულ სამართლებრივ დასკვნას უნდა შეიცავდეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს დავა, ე. ი. ასეთი დასკვნა სასამართლოს რეკომენდაცია უნდა იყოს საქმეზე. სახელმწიფო ორგანოს დასკვნა - წერილობითი მტკიცებულებაა.<sup>156</sup>

ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დასკვნაში ფაქტობრივი შინაარსის არსებობა (საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიღებული და გამოკვლეულია საპროცესო კანონით დადგენილი წესით) მოცემული დოკუმენტის მტკიცებულებით მნიშვნელობას განაპირობებს. თავის მხრივ, ეს ფაქტორი საშუალებას გვაძლევს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დასკვნა მტკიცებულებად მივიჩნიოთ.<sup>157</sup>

მეცნიერთა ნაწილს დაუშვებლად მიაჩნია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა კითხვაზე, არის თუ არა მტკიცებულება სახელმწიფო ორგანოს დასკვნა: „იმ შემთხვევაში, როცა მმართველობის ორგანოს დასკვნა შეიცავს ინფორმაციას საქმეზე დასადგენი ფაქტის შესახებ, ე. ი. როდესაც არსებობს დასკვნის ფაქტობრივი ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებაში მოცემულია ფაქტობრივი გარემოებანი, დასკვნა იქნება მტკიცებულება საქმეზე. იმ შემთხვევაში, როცა დასკვნა საქმეზე არ შეიცავს ინფორმაციას ფაქტების შესახებ, მტკიცებულებად მისი მიჩნევა დაუშვებელია".<sup>158</sup>

ზოგი ავტორის აზრით კი, სახელმწიფო ორგანოს დასკვნის არსისა და მნიშვნელობის შესახებ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია მკაფიო

<sup>155</sup> Гражданский процесс. Учебник/под. Ред. В. В. Яркова, М., 2009, გვ. 114-115 (Автор главы В. В. Ярков).

<sup>156</sup> Гражданский процесс. Учебник/под ред. М. К. Треушников. М. 2010. გვ. 157 (Автор главы С. А. Иванова).

<sup>157</sup> Бахарова О. А. Субъекты, защищающие от своего имени права других лиц в гражданском судороизводстве, (на примере участия органов местного самоуправления); Автор дис. канд. Юрид. Наук. Саратов, 2000, გვ. 24

<sup>158</sup> Джандосова Е. В. Участие а гражданском процессе государственных органов и органов местного самоуправления для дачи заключения по делу, 2006 г.

წარმოდგენა გვექონდეს ამგვარი დასკვნის სტრუქტურასა და შინაარსზე. როგორც წესი, დასკვნა ორი ნაწილისაგან შედგება. უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანო, წესისამებრ, ამისათვის ამზადებს ფაქტობრივ საფუძველს, კერძოდ: აგროვებს და აფასებს ინფორმაციას საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მაგალითად, ბავშვის აღზრდის უფლების, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ დავაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იკვლევს მოდავე მხარეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს, გაესაუბრება, როგორც მოდავე მხარეებს, ისე ბავშვს, ეწვევა საბავშვო და სკოლის დაწესებულებებს, გაესაუბრება პედაგოგებსა და აღმზრდელებს და ა. შ. მხოლოდ ამგვარი, ვრცელი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ სახელმწიფო ორგანო<sup>159</sup> ადგენს დასკვნას, რომელშიც რეკომენდაციას აძლევს სასამართლოს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ როგორ ესახება დავის გადაწყვეტა. ამრიგად, სასამართლოში წარდგენილ სახელმწიფო ორგანოს დასკვნას რთული სტრუქტურა გააჩნია. უწინარეს ყოვლისა, ის მოიცავს სასამართლოს დავალებით ან ამ ორგანოს ინიციატივით შეგროვებულ და საქმის გადასაწყვეტად აუცილებელ ფაქტობრივ ინფორმაციას. ამ ინფორმაციის ანალიზით, მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა საფუძველზე, კომპეტენტური ორგანოს თანამშრომელთა სპეციალური ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების გამოყენებით ყალიბდება ამ ორგანოს მოსაზრება სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და კანონიერი ვარიანტის შერჩევის შესახებ. ასეთი მოსაზრება სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათისაა. თუმცა ყველაზე ხშირად ამგვარ აზრს ეთანხმება სასამართლო. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს დავის გადაწყვეტის სხვა რომელიმე ვარიანტს, მაშინ მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი ამგვარი, სახელმწიფო ორგანოს დასკვნისაგან განსხვავებული პოზიცია.<sup>160</sup>

<sup>159</sup> ამ საკითხზე მსჯელობისას მოყვანილ მოსაზრებებში ავტორები უთითებენ როგორც სახელმწიფო ორგანოს, ისე მუნიციპალური ორგანოს დასკვნებზე. შემოკლების მიზნით ნაშრომში ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ ტერმინი „სახელმწიფო ორგანო“, თუმცა სახელმწიფო ორგანოს დასკვნაზე საუბრისას მოიაზრებიან მუნიციპალური ორგანოები.

<sup>160</sup> А. Т. Боннер, Традиционные и нетрадиционные средства доказывания в гражданском и арбитражном процессе, М. Проспект, 2015, გვ. 572

საინტერესოა, კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნას თუ მიიჩნევს მტკიცებულებად ქართული სასამართლო პრაქტიკა.

ჩვენი აზრით, ამგვარი დასკვნა სასამართლომ მტკიცებულებად უნდა მიიღოს საქმეზე და ქართული პრაქტიკა იყენებს კიდევ მას მტკიცებულებად, რაც მართებულია. თუ ისეთი სპეციფიკური მტკიცებულება, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნაა, არ იქნება საქმის მასალებში, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

მრავალ საოჯახო დავაზე,<sup>161</sup> სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების თანახმად, იმის მიუხედავად, თუ ვის წარედგინება სარჩელი ბავშვის ინტერესების დასაცავად, საქმეში უნდა ჩაერთოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მან, მაგალითად, ბავშვის აღზრდის უფლების შესახებ დავაზე უნდა შეამოწმოს ბავშვის საცხოვრებელი პირობები და იმ პირის (პირთა) საცხოვრებელი პირობებიც, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის გადაცემას აღსაზრდელად და სასამართლოს უნდა წარედგინოს შემოწმების აქტი, ამ აქტზე დაფუძნებული დასკვნა, რომელშიც ასახულია მისი მოსაზრება, თუ როგორ უნდა გადაწყდეს დავა არსებითად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. თავისთავად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მართოდენ საქმეში ჩართვა არ არის საკმარისი, თუ ამ ორგანოს დასკვნაც არ იქნება საქმის მასალებში. შესაძლებელია საქმის მასალებში წარდგენილ იქნეს რომელიმე დაწესებულების ცნობა, მშობლის დახასიათება და ა. შ., მაგრამ ამგვარი დოკუმენტები ვერ შეცვლის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნას. თავისი არსით ეს არ წარმოადგენს დასკვნას საქმეზე. აუცილებელია, სასამართლომ სწორედ საქმეში ჩართული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა გამოითხოვოს და

---

<sup>161</sup>და არა მარტო უფლებრივ დავებზე, არამედ უდავო წარმოების საქმეებზეც, მაგალითად, ისეთი საოჯახო საქმის უდავო წარმოების წესით განხილვისას, როგორც არის შვილად აყვანის საქმე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. დაწვრილებით აღნიშნულ საქმეებზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესახებ ნახეთ: ქეთევან კუხიანიძე „შვილად აყვანა ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში და ამ საქმეთა განხილვის თავისებურებანი“, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ. 2017, გვ.214-215



კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, საქმეში ჩართული ამ ორგანოს დასკვნის გარეშე არ გამოიტანოს გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აქტი უკანონო და დაუსაბუთებელი იქნება.

ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა მტკიცებულებად მიიჩნევა და მტკიცებულებად სახელდება არა მარტო ქართული სასამართლოების გადაწყვეტილებებში, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც.<sup>162</sup>

შედარებისათვის საინტერესო და მართებულია ბელორუსიის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიდგომაც სახელმწიფო ორგანოს დასკვნის სამართლებრივი ბუნების მიმართ. აღნიშნული კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად, დასკვნა და მასთან დაკავშირებული აქტები, საქმეში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა სხვა დოკუმენტები იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებას წარმოადგენს.

ბელორუსი პროცესუალისტები მოცემულ დებულებას ასე განმარტავენ: „სახელმწიფო ორგანოს დასკვნა, ამგვარი ორგანოს მიერ დამოუკიდებლად შეგროვებული მასალების (შემოწმების აქტების, დაინტერესებულ პირთა გამოთხოვის, მათი განცხადების და ა. შ.) საფუძველზე გამოტანილ დასკვნებში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ან როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის ცალკეული საკითხი იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ინფორმაციას, სახელმწიფო ორგანოს დასკვნა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები მტკიცებულებებს წარმოადგენენ სამოქალაქო პროცესში“.<sup>163</sup>

---

<sup>162</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის დადგენილება, საქმე „ისმაილოვა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ (საჩივარი №37614/02)//Российская хроника Европейского суда. Приложение к „Буллетеню Европейского суда по правам человека“, Спец. Вып. 2008, № 4, გვ. 134-143

<sup>163</sup> Научно-практический комментарий к Гражданскому процессуальному кодексу Республики Беларусь/ под общ. Ред. Т. А. Беловой, И. Н. Колядко, И. А. Мирониченко. Минск, 2005, გვ. 328

სახელმწიფო ორგანოს დასკვნა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული აქტები და სხვა დოკუმენტები, მტკიცებულებებია, რამეთუ, სამართლებრივი შეფასების გარდა, მათ შინაარსში ასახულია მოცემული ორგანოს მიერ დადგენილი ფაქტებიც. დასკვნას, მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან ერთად, სასამართლო იკვლევს საქმის განხილვის დროს საქმეზე შეკრებილ ყველა მტკიცებულებასთან ერთობლიობაში.<sup>164</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, მის 102-ე მუხლში არსებობს ხარვეზი, სახელმწიფო ორგანოს დასკვნა მტკიცებულებების ჩამონათვალში არ არის ნახსენები, მიგვაჩნია, რომ ამგვარ დასკვნას მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტების შესახებ ინფორმაციას შეიცავს, რომელთა საფუძველზეც სასამართლო ადგენს საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობას ან არარსებობას. მაგრამ, რადგან იურიდიულად, სამართლებრივად, ამგვარი დასკვნა მტკიცებულებათა ჩამონათვალში არ მოიხსენიება, მას მხოლოდ de facto აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამგვარი დასკვნების წერილობით მტკიცებულებასთან გათანაბრებაც დაუშვებელია, რადგან გამოირჩევა არსებითი სპეციფიკით. თუნდაც ის არგუმენტიც კმარა, რომ წერილობითი სახით არსებულ ყოველგვარ მტკიცებულებებს საპროცესო კანონი წერილობით მტკიცებულებად არ მიიჩნევს (მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნაც წერილობით ყალიბდება, მაგრამ ის ცალკე სახის მტკიცებულებაა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვები მტკიცებულებების ჩამონათვალი შეივსოს. მისაღებად მიგვაჩნია ბელორუსიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული 230-ე მუხლის მსგავსი ფორმულირების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში ასახვა.

---

<sup>164</sup> Гражданский процесс. Общая часть/под ред. Т. А. Беловой, И. Н. Колядко, Н. Г. Юркевича, Минск, 2006. გვ. 288-289

**თავი IV. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე  
გადაწყვეტილების მიღების და აღსრულების თავისებურებანი**

**4.1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე  
საქმეთა განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივების  
აუცილებლობის შესახებ**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს გადაწყვეტილების შინაარსს.<sup>165</sup> ცხადია, საოჯახო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება, სსსკ-ის 352-ე მუხლიდან გამომდინარე, უნდა პასუხობდეს 249-ე მუხლით დადგენილ საერთო მოთხოვნებს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ საერთო სასამართლოებში დღეს შექმნილ ვითარებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეები გადატვირთული არიან საქმეთა რაოდენობით, საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სასამართლოთა განტვირთვას. ამასთან, ამით არც მხარეთა უფლებები იქნება ხელყოფილი და ეს ღონისძიებები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მართლმსაჯულების ხარისხიან განხორციელებაზე.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება შეიძლება იყოს ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმეზე გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივება. ჩვენი აზრით, ზოგიერთ საოჯახო საქმეზე მიზანშეწონილიც კი არ არის გადმოიციეს გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები, საკმარისია სასამართლო შემოიფარგლოს შესავალი და სარეზოლუციო ნაწილებით. მაგალითად, მიზანშეწონილია აღნიშნული გამარტივება შეეხოს ქორწინების შეწყვეტის (განქორწინების) შესახებ გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, ისეთ ვითარებაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა განქორწინების საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხში, ადრინდელი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, მეუღლეებს ჰყავთ თუ არა არასრულწლოვანი შვილები, საერთოდ აზრს მოკლებული ხდება განქორწინების საქმის

<sup>165</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი.

სასამართლოსადმი დაქვემდებარება. საკმარისი უნდა იყოს ერთ-ერთი მეუღლის მიმართვა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისადმი. ამ საკითხშიც ცვლილებებია განსახორციელებელი. ესეც განტვირთავს სასამართლოებს.

დღეს არსებული მოწესრიგება მეუღლეს, რომელიც არ არის განქორწინების თანახმა, განქორწინების გადაწყვეტილების ზედა ინსტანციებში გასაჩივრების უფლებასაც აძლევს, რაც აზრს მოკლებულია. ამასთან, განქორწინების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მხარისათვის მინიჭება ტვირთავს სასამართლოს, საჭირო ხდება უამრავი ფორმალური პროცედურის გავლა. თუ გავითვალისწინებთ პროცესის გაჭიანურების მექანიზმებსაც, შესაძლოა პროცესი რამდენიმე წელი არ დასრულდეს. ყოველივე კი ხელყოფს როგორც მხარის უფლებებს განქორწინებაზე, ისე სასამართლოს დროსა და ენერგიასაც მოითხოვს. საჭიროა განქორწინების საქმეთა გამოტანა სასამართლოს კომპეტენციის სფეროდან. ხოლო, თუ მაინც სასამართლოს კომპეტენციაში დარჩება განქორწინების საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა, აღარ უნდა იყოს საჭირო გადმოიცეს გადაწყვეტილების ოთხივე ნაწილი და სასამართლო უნდა შემოიფარგლოს შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების ჩამოყალიბებით. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება იმპერატიული წესით უნდა შედიოდეს კანონიერ ძალაში, რათა გასაჩივრების ფორმალური პროცედურების გამოყენებით არაკეთილსინდისიერ მეუღლეს არ მიეცეს შესაძლებლობა, გასაჩივრების გზით გააჭიანუროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა. გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივება საჭიროა ალიმენტის საქმეებზეც.

იმ პირობებში, როდესაც სასამართლო ადგენს ელექტრონულ ოქმს, რომელშიც აისახება დავის მიმდინარეობა, მტკიცების პროცესი და სხვა მნიშვნელოვანი მომენტი, გადაწყვეტილების სრული ტექსტის შედგენა აზრს კარგავს. დადებითად უნდა შეფასდეს ზოგიერთი საოჯახო საქმის სსსკ-ის 25-ე და მე-14 მუხლების დანაწესი, რომელიც მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის ერთპიროვნულად განხილვის შესაძლებლობის შესახებ. ამასთან, გაუმართლებლად მიგვაჩნია სსსკ-ის მე-14 და 25-ე მუხლების დანაწესი იმ ნაწილში, რომლითაც გამოირიცხება საქმის ერთპიროვნულად განხილვა ზედა ინსტანციებში,

თუკი განქორწინების საქმესთან ერთად იხილება დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ სასამართლო თვითონ უნდა დადგეს თავიდანვე პირველივე ინსტანციაში სათანადო დონეზე. ვგულისხმობთ იმას, რომ, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი და 354-ე მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს საოჯახო საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანებას, მაგრამ განქორწინების ნაწილში შესაძლოა მხარემ იურიდიული გაუთვითცნობიერებლობის გამო ვერც კი განსაზღვროს, თუ რა გართულება მოჰყვება მისთვის სარჩელთა, ანუ მოთხოვნათა ამგვარ გაერთიანებას. განქორწინების სარჩელის ცალკე აღძვრის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა უფლების სწრაფად დაცვა. ბავშვის მიკუთვნების საქმესთან ერთად, განქორწინების მსურველი მხარე დამოკიდებული ხდება მეორე მოთხოვნაზეც. ასეთ დროს, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია სასამართლომ გამოაცალკევოს განქორწინების საქმე, ვინაიდან კანონის იმ დანაწესში, რომლითაც განქორწინების საკითხი მიბმულია ბავშვის მიკუთვნების საკითხთან, რაიმე რაციონალური დებულება და აზრი არ არის გატარებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული აუცილებელია სასამართლოს მუშაობის შესამსუბუქებლად. ამასთან, მართლმსაჯულება გაცილებით სწრაფად განხორციელდება. მოსამართლეს გამოუთავისუფლდება დრო, რათა აიმაღლოს პროფესიული ოსტატობა და თანაც უფრო რთული კატეგორიის საქმეები გულდასმით მოამზადოს და განიხილოს.<sup>166</sup>

---

<sup>166</sup> ირმა მერებაშვილი, სასამართლო - დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვის გარანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, ივნისი, 2009 წ.

## 4.2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა საოჯახო საქმეებზე

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხარის გამოუცხადებლობისა და შესაგებლის წარუდგენლობის გამო.

საოჯახო საქმეებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობის საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში ორი, რადიკალურად საპირისპირო, შეხედულება გვხვდება. მაგალითად, ერთ-ერთ სამეცნიერო სტატიაში აღნიშნულია: „სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საოჯახო საქმე არსებული მასალების საფუძველზე. თუ საქმის მასალები არ იძლევა სწორი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მოცემულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ გადაწყვიტოს დავა არსებითად ჩვეულებრივი და არა – დაუსწრებელი გადაწყვეტილებით.<sup>167</sup>“

რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე № ას-121-117-2016 იმსჯელა შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე 1-ლი ინსტანციის სასამართლოში. დიდი პალატა ცალკე საოჯახო საქმეებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე ამ გადაწყვეტილებაში არ მსჯელობს. ამის გამო, ცხადია, უზენაესი სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას ზოგადად უფლებრივ დავებზე, მათ შორის - საოჯახო საქმეებზეც. უფრო მეტიც, დიდი პალატის აზრით,

---

<sup>167</sup> ფ. ბასილაია, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“ № 4 (23) '09, გვ. 33. ავტორი არ ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საოჯახო საქმეებზე არ გამოირიცხება დაუსწრებელი წარმოების წესით საქმის განხილვა, შ. ქურდაძე, თბ. 2005 წ., გვ. 766

შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება 1-ლი ინსტანციის სასამართლოს ვალდებულებად არის მიჩნეული.

დიდი პალატის აზრით, შესაგებლის წარუდგენლობის გამო „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ წარმოადგენს საქმის განმხილველი სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის დროსაც სასამართლო თვითონ წყვეტს ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანის მიზანშეწონილობის საკითხს, არამედ კანონით იმგვარი იმპერატიული პირობაა დადგენილი, რომ სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება“.

მიმაჩნია, რომ რადიკალური და არასწორია, როგორც ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საოჯახო საქმეზე დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ისე დიდი პალატის მიდგომა, რომლის თანახმადაც, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს ვალდებულებას შეადგენს. ვფიქრობთ, დიდმა პალატამ არ გაითვალისწინა სწორედ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა თავისებურებანი. მით უმეტეს, დიდი პალატა მსჯელობს შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ეს კი ხდება საქმის მომზადების ეტაპზე, როდესაც მოწინააღმდეგეს გაეგზავნა სარჩელი და მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ვადაში შემოვიდა სასამართლოში შესაგებელი. ჩვენი აზრით, მხოლოდ ცალკეულ საოჯახო საქმეზეა შესაძლებელი ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მაგალითად, განქორწინების, ალიმენტის დაკისრების და სხვა. ხოლო რიგ საოჯახო საქმეზე უბრალოდ შეუძლებელია გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მშობელთა შეუთანხმებლობისას დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც სასამართლოში საქმის განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. აშკარაა, რომ, თუკი

მშობლის უფლება შეჩერებულია, მაშინ ვინ შეიტანს შესაგებელს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში? ცხადია, რომ არ შემოიტანოს შესაგებელი მეორე მშობელმა, სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს. სასამართლო, ყველაფერთან ერთად, უნდა დაელოდოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნას.

სკ-ის 1209-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო პირისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას ითვალისწინებს 10 წელს მიღწეული ბავშვის სურვილსაც, ასევე შესაძლებელია სხვა მსგავსი მაგალითების მოხმობაც. დასახელებულ შემთხვევაში შესაგებლის წარუდგენლობა ვერ გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უპირობოდ გამოტანის საფუძველი.

ზემოაღნიშნულის გამო ვეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, „მხარის გამოუცხადებლობა ან მოპასუხის მიერ სარჩელზე შესაგებლის წარმოუდგენლობა სასამართლოს როდი აკისრებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების უპირობოდ გამოტანის ვალდებულებას. კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს არა თუ უფლება აქვს, არ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ ვალდებულიც კი არის აღნიშნულზე, თუნდაც პირი სათანადოდ იყოს გაფრთხილებული სხდომის შესახებ, ან მოპასუხეს სათანადოდ ჩაბარდეს სარჩელი. სასამართლოს უფლება (და თუნდაც ვალდებულება) – კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის პრინციპიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა-არგამოტანის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს სამართალწარმოების ამოცანებს. სასამართლოსთვის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ მას ეკისრება კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება.<sup>168</sup>

---

<sup>168</sup> შ. ქურდაძე, ნ ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2015 წ., გვ. 633



ამრიგად, ისეთ კუმულატიურ პირობებთან ერთად, როგორებიც არის მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარება და შესაგებლის წარუდგენლობა, თუნდაც სახეზე იყოს დამატებითი პირობაც, როგორიც არის სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა, დასახელებულ შემთხვევებში ვერ გამოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა, მცირედენი თავისებურებებით - მასში არ მიეთითება სამოტივაციო ნაწილი. ამიტომ, ზემოაღნიშნული პირობების გარდა, საოჯახო საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებად სავალდებულოა 10 წელს მიღწეული ბავშვის თანხმობის მიღება ან სახელმწიფო ორგანოს (მეურვეობისა და მზრუნველობის სახით) სავალდებულო ჩართვა.

ამრიგად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესი საოჯახო საქმეების სასამართლო განხილვისას უპირობოდ როდი უნდა იქნეს გამოყენებული. კანონმდებელი გვთავაზობს განსხვავებულ რეგულაციას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო საქმეების განხილვისას, სხვა სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ იძლევა მის მიერ სარჩელზე უარის თქმის ვარაუდის საფუძველს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ სასამართლომ თავად უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აზრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის გამო მოპასუხის სხდომაზე გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებისა და სარჩელის ცნობის ვარაუდს. ამიტომ, სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საოჯახო საქმე. თუ საქმის მასალები არ იძლევა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მოცემულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ არსებითად გადაწყვიტოს დავა, ჩვეულებრივი და არა – დაუსწრებელი გადაწყვეტილებით.

### 4.3. სასამართლოს დროებითი განკარგულება საოჯახო საქმეებზე

როდესაც საოჯახო სამართლებრივ დავებზე გადაწყვეტილების მიღების საკითხს ვეხებით, გვერდს ვერ ავუვლით სასამართლოს დროებითი განკარგულების ინსტიტუტს. სსსკ-ის 355-ე მუხლი ამგვარი განკარგულების მიღებას შესაძლებლად მიიჩნევს მთელი რიგი საკითხის მოსაწესრიგებლად, როგორებიც არის: შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები; მშობლის ურთიერთობა ბავშვთან; ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის; მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება; ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის საკითხი; საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი; საოჯახო საქმის განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი. საინტერესოა დროებითი განკარგულების არსისადმი სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომების ანალიზი. სასამართლო პრაქტიკაში დროებითი განკარგულების ინსტიტუტი საკმაოდ ხშირად გამოიყენება ოჯახის წევრთა შორის დავის საბოლოოდ დასრულებამდე ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით და უზრუნველყოფს საოჯახო ურთიერთობის სუბიექტთა შორის უფლებებისა და მოვალეობების დროებით, მაგრამ მშვიდობიანად და ეფექტურად განსაზღვრას საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. დროებითი განკარგულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი შეიძლება შეიცვალოს საბოლოო შემაჯამებელი სასამართლო აქტით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 თებერვლის განჩინებაში საქმეზე N 28/6593-16 განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და აღნიშნულია შემდეგი: ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე,

სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.<sup>169</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის თანახმად, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები.

აღნიშნული ნორმით აღიარებულია მშობლების თანაბარი უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ, თუმცა მშობლებთან შვილების ურთიერთობის საკითხში არსებითი და გადამწყვეტია ბავშვის ინტერესები. ბავშვის უპირატესი ინტერესია, ჰქონდეს მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი ბავშვისაგან განცალკევებით ცხოვრობენ.

ამდენად, დროებითი განკარგულება არ წარმოადგენს მშობლისა და შვილის ურთიერთობის დადგენის შესახებ შემაჯამებელ აქტს, არ მიიღება საქმის არსებითი განხილვის დასრულების ეტაპზე, რაც ნიშნავს, რომ მისი მიზანია მშობლისა და შვილის ურთიერთობის მოწესრიგება დავის დასრულებამდე, ანუ დროებით და მისი შინაარსი არ ახდენს ზეგავლენას საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე. ამ დროს სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, არსებითად იმსჯელოს სარჩელზე და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განისაზღვროს განკარგულების შინაარსი და არ დაუშვას ბავშვთა ინტერესების რაიმე ფორმით ხელყოფა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 მაისის განჩინებაში კი საქმეზე N 2ბ/700-17 განმარტებულია შემდეგი:

„სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის თანახმად, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც

---

<sup>169</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 2ბ/6593-16, 24 თებერვალი 2016 წ.

შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები".<sup>170</sup>

სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სასამართლო დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შვილების დედასთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისათვის დროებითი განკარგულების მიღება, იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიერ შეზღუდული აქვს შვილებთან ურთიერთობა.

საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 სექტემბრის დროებითი განკარგულება საქმეზე № 28/2524-17, რომელშიც ვკითხულობთ: „355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესით, სასამართლო ახდენს ბავშვთან მშობლის აუცილებელი კავშირის საკითხის განხილვას და დადგენას დავის არსებითად გადაწყვეტამდე, რომელიც არასრულწლოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესის გატარების მიზანს ემსახურება".<sup>171</sup>

პალატა განმარტავს, რომ მშობლებისა და მათი არასრულწლოვანი შვილების ოჯახური თანაცხოვრება ერთობლივად ფუნქციებისა და მორალური პასუხისმგებლობების გადანაწილებით ვლინდება და ეს პასუხისმგებლობები იგივეა (იგულისხმება, რომ უცვლელი რჩება) მშობელთა თანაცხოვრების მოშლის თუ არქონის შემთხვევაშიც. მორალური პასუხისმგებლობის ტვირთი კანონის რეგულირების ფარგლებში ხაზგასმით ვლინდება როგორც დედის, ისე მამის მიმართ და მასში მოიაზრება როგორც შვილებისადმი მატერიალური ზრუნვა, ისე მშობელთა სავალდებულო კავშირი ბავშვის დამაკმაყოფილებელი ფსიქოსოციალური მდგომარეობის, სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და

<sup>170</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 28/700-17, 08 მაისი 2017 წ.

<sup>171</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 28/2524-17, 11 სექტემბერი 2017 წ.

მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის. ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

არასრულწლოვანი შვილის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია როგორც დედის, ისე მამის როლი, რადგან ორივე წარმოადგენს მშობელს თანაბარი უფლებებით და პასუხისმგებლობით შვილისადმი. მშობლის ემოციური კავშირის და მშობლის ინსტინქტის რომელიმე მხარის მიერ მეტად წარმოჩენის პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს ბავშვის უპირატეს ინტერესებთან და მის კეთილდღეობასთან.<sup>172</sup>

სასამართლომ ასეთ შემთხვევაში აქცენტი უნდა გააკეთოს ბავშვის განვითარების უპირატეს ინტერესებზე და მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვისათვის ყველაზე ადეკვატური გარემოს ქონის საშუალება, რადგან მნიშვნელოვანია ბავშვის გარე სამყაროსთან ჯანსაღი ინტეგრაცია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ფსიქოსოციალური განვითარების სრულყოფას მასში.

ამ საქმეზე მხედველობაში იქნა მიღებული სქესის საკითხიც. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე არის მამა, რომელიც ითხოვს მის არასრულწლოვან ვაჟთან ურთიერთობისათვის დღეების განსაზღვრას. სასამართლო ასეთ დროს ყურადღებას აპყრობს ბავშვის სქესს. მამრობითი სქესის მდებარეობითი სქესისაგან განსხვავების ბუნებრივი შემთხვევა სქესობრივი იდენტიფიკაციისათვის დამახასიათებელი სომატური და ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარეა (ანატომიურ, ჰორმონალურ ფუნქციათა სხვაობები განაპირობებს სქესისგან განსხვავებულ ფსიქოლოგიურ განწყობებს). იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი შვილი მამრობითი სქესის წარმომადგენელია, სასამართლოს აზრით,

<sup>172</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის, უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ - Elsholz v. Germany, N 25735/94, 31.07.2000 პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - TK and KM v. UK, N 28945/95, 10.05.2001, პარ. 72).

მნიშვნელოვანია დედასთან ერთად ბავშვის მამასთან უწყვეტი სიახლოვე. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ მოპასუხე მხარე, არასრულწლოვანის დედა, შვილის მამასთან ურთიერთობის წინააღმდეგი არ არის, სადავო მხოლოდ მამის მიერ დღეებისა და დროის განსაზღვრაა.

დროებითი განკარგულება არ წარმოადგენს მშობლისა და შვილის ურთიერთობის დადგენის შესახებ შემაჯამებელ აქტს, არ მიიღება საქმის არსებითი განხილვის დასრულების ეტაპზე, რაც ნიშნავს, რომ მისი მიზანია მშობლისა და შვილის ურთიერთობის მოწესრიგება დავის დასრულებამდე, ანუ დროებით და მისი შინაარსი არ ახდენს ზეგავლენას საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე.

ამ სახის სასამართლო აქტის გამოტანისას, პროცედურულ საკითხებთან ერთად, საყურადღებოა ტერმინოლოგიური საკითხი. 355-ე მუხლის სათაურში სასამართლოს ამგვარ აქტს სასამართლოს დროებითი განკარგულება ეწოდება. ამავე ნორმაში, კერძოდ, ნორმის მეორე და მესამე ნაწილებში კი, ეს სასამართლო აქტი განჩინებად იწოდება, ამასთან ყოველგვარი დამატების - სიტყვა „დროებითის“ გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც იცნობს ამგვარ განჩინებას, სკ-ის 1217-ე მუხლში მითითებულია, რომ, თუ მოპასუხე ბავშვის მშობლად არის ჩაწერილი, ამავე კოდექსის 1191-ე და 1192-ე მუხლების მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებითად განხილვამდე გამოიტანოს განჩინება შვილის შესახებ სახსრების გადახდევინების შესახებ. ამრიგად, დროებით განკარგულებაში იგულისხმება საქმის არსებითად განხილვამდე გამოტანილი სასამართლო აქტი. კანონი აღნიშნულ აქტს ხან \_ განკარგულებად და ხანაც განჩინებად მოიხსენიებს. სსკ-ის 243-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლო გადაწყვეტილების ფორმით მიიღება; სსკ-ის 284-ე მუხლის შესაბამისად კი, დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მაშასადამე, განკარგულება, როგორც ცალკე აქტი, რომელიც 355-ე მუხლშია ნახსენები, სასამართლო პრაქტიკაში საპროცესო კანონის 284-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, განჩინების ფორმით მიიღება. ამიტომ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს ტერმინების ერთიანობა, 355-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და

სიტყვა „განკარგულება“ შეიცვალოს სიტყვით „განჩინება“. ცალკე მუხლში, სახელდობრ სსკ-ის 356-ე მუხლში, ასევე საუბარია რიგი საკითხის განჩინებით მოწესრიგებაზე. სსკ-ის 355-ე და 356-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ტერმინოლოგიურის გარდა, ამ ნორმებში სხვა ცვლილებებიც არის შესატანი. კერძოდ, დუბლირების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია ამ ორი ნორმის ერთ ნორმად გაერთიანება. მართალია, 356-ე მუხლში თითქოს მცირედი განსხვავებაა, რადგან, მაგალითად, მასში საუბარია ქორწინებაში დაბადებული ბავშვების მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხზე, 355-ე მუხლში კი, ზოგადად, შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხის მოწესრიგებაზე, თუმცა აშკარაა, რომ კანონმდებელი ცდილობს მოაწესრიგოს საოჯახო ურთიერთობები, იმის მიუხედავად, ქორწინების გარეშეა თუ ქორწინებაში დაბადებული ბავშვი და ა. შ. შესაბამისად, ნორმათა გაერთიანებისას შეიძლება მიეთითოს ერთ გამაერთიანებელ წესზე - მშობლის ზრუნვის საკითხის მოწესრიგებაზე შვილის მიმართ, რაც თანაბრად გამოსაყენებელი იქნება როგორც ქორწინებაში დაბადებული, ისე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ინტერესების დასაცავად.

356-ე მუხლში ცვლილებაა შესატანი მასში კანონმდებლის მიერ დაშვებული შეცდომის გამო. კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, თუ სასამართლო ცალკე გამოყოფს ქორწინების საქმეებიდან გამომდინარე სხვა საქმეებს, მაშინ მას ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებზე მშობელთა საერთო ზრუნვის და ასეთ ბავშვებთან მშობლის ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე გამოაქვს განჩინება. აქ კანონმდებელს დაშვებული აქვს შეცდომა. დასახელებულ ნორმაში ქორწინების საქმეებიდან გამომდინარე საქმეებზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ განქორწინების საქმეებიდან გამომდინარე საქმეებზე, ვინაიდან მუხლის სათაურში ნახსენებია განქორწინების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გაუგებრობას იწვევს საკითხი, რას შეეხება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებზე გამოტანილი განჩინება. აქ მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ განჩინებით დროებით, ანუ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წესრიგდება ეს საკითხები, თორემ თავად ნორმა არაფერს

გვამცნობს აღნიშნულზე. ამრიგად, დასახელებულ უზუსტობათა და შეცდომების გამო სსკ-ის 355-ე და 356-ე მუხლების ხარვეზული ნაწილები დახვეწას მოითხოვს.

დროებითი განკარგულების პრაქტიკული მნიშვნელობა ძალზე დიდია. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ზოგიერთ შემთხვევაში სათანადოდ არ არის გააზრებული მისი მნიშვნელობა მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხში. საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კანონი ნათელია, არ შეიცავს რაიმე ხარვეზს, თუმცა სასამართლო დაუსაბუთებლად ამბობს უარს დროებითი განკარგულების მიღების თაობაზე აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, ერთ-ერთი საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: მცირეწლოვანმა მოსარჩელემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით აღძრა სარჩელი მოპასუხის (ბების) მიმართ და, სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლიდან გამომდინარე, მოითხოვა პირადი სერვიტუტის დადგენა მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებზე (ბინაზე). სასამართლომ მიიღო სარჩელი, რის შემდეგაც მოსარჩელემ მოითხოვა დროებითი განკარგულების მიღება უკვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, რომლითაც მიეცემოდა უფლება, ესარგებლა მოპასუხის საკუთრებაში არსებული ბინით დავის საბოლოო გადაწყვეტამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლის თანახმად, დროებითი განკარგულებით, სასამართლო აწესრიგებს ბინით სარგებლობის საკითხს. საქმეზე ნომერი 2/2049-18, რომელიც მიღებული იქნა 2018 წლის 13 თებერვალს, თავისი განჩინებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დროებითი განჩინების მიღების შესახებ შუამდგომლობა იმ აბსურდული მიზეზით, რომ პირადი სერვიტუტის დადგენა ბინაზე განეკუთვნება სანივთო კატეგორიის დავას, ხოლო, სასამართლოსვე აზრით, სსკ-ის 355-ე მუხლის „ვ“ პუნქტის გამოყენება, სსკ-ის 352-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მხოლოდ საქორწინო და საოჯახო საქმეების განხილვის შემთხვევაში ხდება.<sup>173</sup>

---

<sup>173</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 2/2049-18, 13 თებერვალი 2018 წ.



ამრიგად, სასამართლოს აზრით, მოთხოვნა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. სასამართლომ აშკარად შეცდომა დაუშვა დროებითი განკარგულების გამოტანის საკითხის გადაწყვეტისას. არ გაითვალისწინა არც მატერიალური ნორმების გავლენა პროცესზე, არც სამართლის სისტემურობა, ის, რომ სამართლის დარგები ერთ სისტემას ქმნიან, არც ის, რომ სამოქალაქო პროცესი წარმოადგენს სამოქალაქო მატერიალური სამართლის განხორციელების ფორმას და, შესაბამისად, არ მიიღო მხედველობაში ის, რომ ფორმალურად სანივთო სამართლის წიგნში ასახულ ამა თუ იმ დანაწესს საფუძვლად შესაძლოა ედოს საოჯახო ურთიერთობები. სასამართლომ არ გაითვალისწინა ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც ბავშვის უფლებებს პრიორიტეტს ანიჭებს და საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია. ამით კი კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული უფლება მოსარჩელეს მოესპო.

#### **4.4. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თავისებურებანი საოჯახო საქმეებზე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ეხება 268-ე მუხლი. ამასთან, დასახელებული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ საოჯახო საქმეთაგან მარტოოდენ ალიმენტის მიკუთვნების საქმეებზე მიეცემა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. საინტერესოა გაირკვეს, არის თუ არა შესაძლებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება სხვა კატეგორიის საოჯახო საქმეებზე, განსაკუთრებით ისეთზე, რომელიც შეეხება არასრულწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. თეორიული თვალსაზრისით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მარტო ალიმენტის საქმეებზე კი არა, სხვა საოჯახო საქმეებზეც არის დასაშვები. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს სსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი იძლევა, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება დასაშვებია ყველა სხვა საქმეზეც (ნორმაში ჩამოთვლილის გარდა), თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო

გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან, თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

ჩვენი აზრით, აღნიშნული დებულება ძალზე ზღუდავს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას, რამეთუ იგი დაუყოვნებლივ აღსრულებას შესაძლებლად მიიჩნევს ისეთ საქმეებზე, რომლებზეც გვყავს გადამხდევინებელი, რომელსაც ადგება ზიანი. გადამხდევინებელი გვხვდება ქონებრივ სამართლებრივ დავებში. გადამხდევინებელი კრედიტორის ტოლფარდი კატეგორიაა. გამოდის, რომ კანონი იცავს მხოლოდ კრედიტორის ინტერესს, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდევინება. არადა, კანონმდებელს ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტორი, რომ სამოქალაქო პროცესი ემსახურება კერძო უფლებების დაცვას. კერძო სამართალი კი, ქონებრივთან ერთად, სუბიექტის არაქონებრივ უფლებასაც აღიარებს. სწორედ საოჯახო სამართალია კერძო სამართლის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც უმთავრესად საოჯახო ურთიერთობის მონაწილეთა არაქონებრივი სფეროს მოწესრიგებაზეა ორიენტირებული.

ყურადღებას იპყრობს სსკ-ის 268-ე მუხლში მითითებული ზიანის კატეგორიაც. როგორც ცნობილია, ზიანის ცნება მოიცავს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ზიანს. არაქონებრივი ზიანის დადგომის საფრთხე საოჯახო საქმეებზე არსებობს, მაგალითად, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა არასრულწლოვანი ბავშვის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაყვანა, რაზეც არ თანხმდება ერთ-ერთი მშობელი, რის გამოც სასამართლოში აღძრულია სარჩელი მისი უფლებების შეზღუდვის შესახებ. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომელიც მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს და რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს (საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან) პრიორიტეტად ბავშვის ინტერესებს ასახელებს.

ზემოაღნიშნულ და მსგავს შემთხვევებში მიზანშეწონილი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება მიეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. საოჯახო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობის

გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მხარეს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს“.

საოჯახო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ დაგვანახა, რომ, ალიმენტების გადახდევინების შესახებ საქმეთა გარდა, სხვა საოჯახო საქმეზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების პრაქტიკა არ არსებობს. ჩვენი აზრით, ეს მნიშვნელოვნად დააზარალებს ბავშვის უფლებებს, რის გამოც უსწრაფესად არის საჭირო ხარვეზული კანონმდებლობის შეცვლა.

#### **4.5. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმის განხილვის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე**

სამოქალაქო პროცესში ცნობილია გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის დამთავრების ორი ფორმა - სარჩელის განუხილველად დატოვება და საქმისწარმოების შეწყვეტა. დისერტაციის ამ მონაკვეთში ჩვენ შემოვიფარგლებით საოჯახო საქმეებზე მხოლოდ საქმის შეწყვეტის თავისებურების განხილვით. ამასთან, შევხებით საქმის შეწყვეტის არა ყველა საფუძველს, არამედ მხოლოდ ერთ-ერთს, კერძოდ, საქმის შეწყვეტას მხარის გარდაცვალების გამო. სსკ-ის 272-ე მუხლის თანახმად, საქმე წყდება ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის<sup>174</sup> გარდაცვალების შემდეგ, როცა დაუშვებელია უფლებამონაცვლობა. საქმის შეწყვეტის ამ საფუძველზე შეჩერება განპირობებულია

<sup>174</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ბევრგან გვხვდება „მოქალაქის“ ცნება. მიგვაჩნია, რომ ეს ცნება უნდა შეიცვალოს „ფიზიკური პირის“ ცნებით. სამოქალაქო კოდექსის 1519-ე მუხლი მოითხოვს ცნებებისა და ტერმინების ერთიანობას, კერძოდ, მასში არსებული ცნებები და ტერმინები ადეკვატურად უნდა გამოიყენებოდეს ყველა სხვა ნორმატიულ აქტში. სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ფიზიკური პირის ცნებას და, მაშასადამე, მიზანშეწონილია სწორედ ამ ცნების გამოყენება, ვინაიდან, ჯერ ერთი, საჭიროა სკ-ის 1519-ე მუხლის დანაწესის და მოთხოვნის დაცვა, მეორე, ფიზიკური პირის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მოქალაქის. პროცესის მხარე არის არა მარტო კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე, არამედ უცხოელი მოქალაქეც და აპატრიდიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის დანაწესის არსებობით, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს. საინტერესოა გაირკვეს, რომელი კატეგორიის საოჯახო საქმეს შეეხება აღნიშნული დანაწესი. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მეუღლეთა შორის სრულიად სხვადასხვაგვარი დავა შეიძლება წარმოიშვას. მაგალითად, დავა შეიძლება შეეხებოდეს ქორწინების შეწყვეტას, ალიმენტს, საერთო ქონების გაყოფას, ქორწინების ბათილობას და სხვა. მოცემული ნორმით იგულისხმება მეუღლეებს შორის აღძრული ნებისმიერი დავა, რომლის საგანიც არის ისეთი უფლება, რომელიც მეუღლის სიცოცხლეში მოქმედებს და, მაშასადამე, სამკვიდროში არ შედის.

სრულიად შესაძლებელია მეუღლეთა შორის დავაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაგრამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე გარდაიცვალოს ის მეუღლე, რომლის სასარგებლოდაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, საპროცესო თვალსაზრისით, საინტერესოა საკითხი, შეუძლია თუ არა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს გადაწყვეტილების გასაჩივრება. ეს საკითხი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც საქმის განხილვის შედეგი შესაძლოა გავლენას ახდენდეს მის უფლება-მოვალეობაზე. მაგალითად, თუ ქორწინების შეწყვეტის გადაწყვეტილება გაუქმდება, სადავო ქონება შევა სამკვიდროში. გვხვდება მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს აპელაციის უფლება ვერ მოესპობა, რადგან მოსარჩელე გარდაიცვალა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „უხარვეზო სააპელაციო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში ეს საჩივარი სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს, შემდეგ გააუქმოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ და შეწყვიტოს საქმის (და არა სააპელაციო) წარმოება სარჩელზე“.<sup>175</sup> საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ბოლომდე დასაბუთებულად არ მიგვაჩნია. თუკი სასამართლო შეწყვეტს საქმეს, მაშინ გაუგებარია, განსახილველად მიღებულ საჩივარზე ვინ უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარე. დასახელებულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე არ გვყავს. მსგავს შემთხვევაში აპელაციის შეტანა აზრს მოკლებულია, ვინაიდან უსამართლო შედეგს იწვევს. უფრო

<sup>175</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 559

მართებულად მიგვაჩნია, თუკი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მხარის გარდაცვალებისას, როცა უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია, დაუშვებლად ჩაითვალოს საჩივრის უფლება. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსსკ-ის 353-ე მუხლის შემდეგნაირად ფორმულირება: „ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს, ხოლო, თუ საქმეში მხარედ მონაწილე მეუღლე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მაგრამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლამდე გარდაიცვალა, გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება დაუშვებელია“.

როგორც ითქვა, დასახელებული მუხლი გამოიყენება მეუღლეთა შორის სხვადასხვა დავაზე. მაგალითად: მეუღლე მოითხოვდა ქორწინების დამაბრკოლებელი პირობების დარღვევით გაფორმებული ქორწინების ბათილად ცნობას და საქმის განხილვისას გარდაიცვალა. ცხადია, საქმე შეწყდა. ეს იმიტომ, რომ დასახელებულ შემთხვევებში დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა, მაგრამ სკ-ის 1143-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება, მეუღლეთა გარდა, იმ პირებსაც აქვთ, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ ქორწინებით (მაგალითად, შვილს, როგორც მემკვიდრეს პირველი ქორწინებიდან). მართალია, საქმე შეწყდა და უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია, მაგრამ შემდგომში შეიძლება აღიძრას ცალკე სარჩელი სხვა დაინტერესებული პირის მიერ ამავე მოთხოვნით. მაგრამ ამგვარი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით.<sup>176</sup>

#### **4.6. მორიგების გზით საოჯახო საქმის განხილვის დამთავრების თავისებურება**

---

<sup>176</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 559

ცალკე განხილვას მოითხოვს საოჯახო საქმეებზე მორიგების ინსტიტუტის თავისებურება. მორიგება საქმის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამ აირჩია დასავლური, ევროპული, შეუზღუდავი დისპოზიციურობის მოდელი, რომელიც გულისხმობს მხარეების სრულ თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი სამოქალაქო უფლებები და მათი დაცვის საპროცესო საშუალებები სასამართლოს მემწეობით სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

სამოქალაქო სამართლებრივი დისპოზიციურობა აშკარად სახეზეა ქონებრივ ურთიერთობებში, თუმცა საოჯახო სამართლებრივი რეგულირება, დისპოზიციურობის პრინციპის გამოყენების თვალსაზრისით, გამოირჩევა სპეციფიკური ნიშნებით. მრავალი საოჯახო სამართლებრივი ნორმის იმპერატიული ხასიათი, საოჯახო სამართალში პირადი არაქონებრივი ურთიერთობების დომინირება, საოჯახო ურთიერთობების წარმოშობასა, შეცვლასა და შეწყვეტაზე სახელმწიფო კონტროლი ზღუდავს საოჯახო სამართლებრივ დისპოზიციურობას, ზემოქმედებს საოჯახო დავების დისპოზიციური რეგულირების ფარგლებზე.

მაგალითად, მორიგება სამოქალაქო საქმეებზე, რომელსაც ეწოდება მხარეთა შეთანხმება უფლებრივი დავის შეწყვეტის შესახებ, თავისი არსით არ შეესაბამება საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკას და არ გამოიყენება პირადი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.

კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და თეორიის ანალიზი, რომელიც შეეხება მორიგებას საოჯახო საქმეებზე, გვარწმუნებს იმაში, რომ ამ შეთანხმებების შეზღუდულად გამოყენება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, რომლებიც ასახვას პოულობს საოჯახო სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკაში: 1) ზოგიერთი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების იმპერატიულობა, რომელთა შეცვლა დაუშვებელია დისპოზიციური შეთანხმებით; 2) ნების გამოვლენით დავის გადაწყვეტის დაუშვებლობა, თუ სამართლებრივი შედეგი აქვს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებას, ან კონკრეტულ საკითხში სააქტო ჩანაწერს (განქორწინება, მამობის დაგენა); 3) საოჯახო საქმეთა ნათლად გამოხატულ ხასიათზე (მშობელთა უფლების

ჩამორთმევა, ქორწინების ბათილად ცნობა, შვილად აყვანის ბათილად ცნობა, შვილების ჩამორთმევა მშობელთა უფლების ჩამორთმევის გარეშე).

მორიგების ფარგლები სხვადასხვაგვარია ქონებრივ და არაქონებრივ საოჯახო დავებზე. არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორიგებას საოჯახო დავების დროს არაქონებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, მორიგების დადების დაუშვებლობა მამობის დადგენის საქმეზე, რადგან მისი პირობები განსაზღვრულია კანონით.

საოჯახო საქმეებზე მორიგების შეზღუდვა არ აისახება არც საპროცესო და არც საოჯახო კანონმდებლობაში, თუმცა ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმეებზე მორიგების ინსტიტუტის არსებობა აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ მორიგება შეზღუდულია საოჯახო საქმეებზე, საოჯახო საქმეთა მორიგებით დასრულება სასამართლოში იშვიათი არ არის. საოჯახო საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულდება მოდავე მეუღლეთა შორის გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, რადგან ხდება მორიგება. მორიგება განაპირობებს არა მარტო დავის შეწყვეტას, არამედ საოჯახო ურთიერთობების აღდგენას. ამიტომ საოჯახო დავის დასრულება მორიგებით დადებითად აისახება საქმეზე. სასამართლო იღებს ზომებს ოჯახის შესანარჩუნებლად და საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების გასამყარებლად.

ახალი კონფლიქტური სიტუაციის ან ოჯახში უთანხმოების შემთხვევაში საქმისწარმოების შეწყვეტამ არ უნდა შეაფერხოს სასამართლოში აღნიშნული მოთხოვნის ხელმეორედ აღძვრა, თუკი ის კვლავ საჭიროებს სამართლებრივ დაცვას.

მორიგება, როგორც საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი, არ შეიძლება დაშვებულ იქნას ყველა საქმეზე. მათი რიცხვიდან უნდა გამოირიცხოს საქმეები, სადაც მომეტებული სახელმწიფო ინტერესია (ქორწინების ბათილად ცნობა, მშობელთა უფლების ჩამორთმევა, შვილების ჩამორთმევა მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე). ყველა ამ საქმეზე განკარგვითი მოქმედებები მეტად შეზღუდულია.

ამის გარდა, მოდავე მეუღლეთა ან მშობელთა მორიგებამ არ უნდა წაართვას სხვა პირებს თავიანთი ინტერესების სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა. ეს ეხება ბავშვებს. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს საქმეებს მამობის

დადგენის შესახებ, სადაც სასამართლო წყვეტს საქმისწარმოებას მას შემდეგ, რაც მიიღებს დედის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ის შეურიგდა მოპასუხეს და ისინი აგრძელებენ ერთად ცხოვრებას. ასეთ შემთხვევაში სარჩელზე უარის თქმა ნიშნავს, რომ დაუშვებელია განმეორებითი სარჩელის წარდგენა, იმ დროს, როდესაც ამის აუცილებლობა შეიძლება გაჩნდეს, თუ ბავშვის მშობლები თავიანთი ნებით არ გააფორმებენ მამობას.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი, როდესაც ვსაუბრობთ დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებაზე საოჯახო საქმეებში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, ხოლო ორივე მხარე უფლებამოსილია ერთმანეთს მოურიგდეს. მოცემულ ნორმაში არაფერია ნათქვამი დასახელებულ დისპოზიციურ უფლებამოსილებათა განხორციელებაზე სასამართლოს კონტროლის შესახებ. მაგალითად, ვგულისხმობთ შემდეგს: შეუძლია თუ არა სასამართლოს არ გაიზიაროს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა, ან მხარეთა ნება მორიგების შესახებ. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ სასამართლოს არავითარი უფლება აქვს აკონტროლოს მხარის ნება, მაშინ გამოვა, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლი ზემოაღნიშნულ დისპოზიციურ უფლებამოსილებათა თავისუფალი და ნებაყოფლობითი განხორციელების პრეზუმფციას ადგენს. ჩვენი აზრით, ნორმის ამგვარი განმარტება არ იქნებოდა მართებული. სასამართლო რომ აკონტროლებს დისპოზიციური უფლებამოსილებების განხორციელებას და მათი განხორციელებისას კანონიერების დაცვას რომ მოითხოვს, ამას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად (უახლესი გადაწყვეტილებებიდან შეიძლება დასახელდეს 2017 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1212-1132-2017; 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-636-607-2016 და სხვა), მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა (ორმხრივი გარიგება), ამიტომ ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუკი ქართულ პრაქტიკაში მორიგების კონტროლი ხდება, ბუნებრივია, სასამართლომ უნდა



აკონტროლოს სარჩელის ცნობის ან სარჩელზე უარის თქმის კანონიერებაც, ვინაიდან აღნიშნული მოქმედებებიც, გარდა იმისა, რომ პროცესუალურ შედეგებს წარმოშობს, მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე აქტებიც – გარიგებებია. ამ უფლებათა განხორციელების კონტროლი სასამართლოს მხრიდან წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით თავისებურებას საქართველოს სამოქალაქო პროცესში და გამოიხატება იმაში, რომ მოსამართლე არ მიიღებს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმას, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და არ დაამტკიცებს მხარეთა შორის მორიგებას, თუ ეს ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვინმეს კანონით დაცულ ინტერესს.<sup>177</sup>

მარტივი მაგალითის მოხმობაც კი ნათელს გახდის აღნიშნული პოზიციის მართებულობას. მაგალითად, ბავშვის დედამ ერთ სარჩელში გააერთიანია ბავშვის დაბრუნებისა და ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნა. მოპასუხემ - ბავშვის მამამ, განაცხადა, რომ სარჩელი წარდგენილი არ არის ბავშვის ინტერესის სასარგებლოდ, არამედ წარდგენილია დედის მიერ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით. მოსარჩელემ - ბავშვის დედამ, იმისთვის, რომ გაექარწყლებინა ეს მოსაზრება - უარი თქვა ალიმენტის მოთხოვნაზე. სასამართლომ მოსარჩელის უარი ალიმენტის გადახდევინების თაობაზე, უკანონოდ უნდა ჩათვალოს, რადგან სარჩელზე უარის თქმა დაარღვევს ბავშვის ქონებრივ უფლებებს იმით, რომ იგი დაკარგავს მამის მხრიდან მატერიალური დახმარების მიღების შესაძლებლობას, რომელიც, კანონით, ვალდებულია არჩინოს იგი.<sup>178</sup> შესაბამისად, სარჩელზე უარის თქმა ზიანს აყენებს ბავშვს, რომელიც პროცესუალური თვალსაზრისით მოსარჩელეა. დავის განხილვისას არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევა შესაძლოა განაპირობოს არასწორმა წარმოდგენამ ბავშვთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინტერესების ერთიანობის შესახებ და სასამართლოს მიერ კონტროლის ფუნქციების განუხორციელებლობამ.

---

<sup>177</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სარჩელზე უარის თქმის, სარჩელის ცნობის, მორიგების ნების გამოვლენისას მოქმედებს მათი თავისუფალი და ნებაყოფლობითი გამოვლენის პრეზუმფცია. ნახეთ: Пучинский В. К., Гражданский процесс зарубежных стран, 2014, გვ. 62.

<sup>178</sup> სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლი.

საოჯახო სამართალწარმოებისას სასამართლოს პროცესუალური აქტიურობა განისაზღვრება საოჯახო კანონმდებლობის არა მარტო ზოგადი, არამედ სპეციალური წესებით. ამასთან აღსანიშნავია, კიდევ ერთი საკითხი. ჩვენ ვსაუბრობით სასამართლოს მხრიდან კონტროლზე არსებული დავის ფარგლებში. მატერიალური სამართლის ზოგიერთი ნორმა ისეა ჩამოყალიბებული, რომ ერთი შეხედვით ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს სასამართლო უფლებამოსილი იყოს თავისი ინიციატივით გასცდეს დავის საგანს და გადაწყვიტოს ცალკეული საკითხები, რომლებიც არ ყოფილა განცხადებული დადგენილი წესით: ბავშვების საცხოვრებელი ადგილის შესახებ და ალიმენტის გადახდევინების თაობაზე განქორწინების საქმეზე; ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნის თაობაზე მშობლის უფლების ჩამორთმევის დროს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო, როცა აუცილებელია, იღებს ზომებს მცირეწლოვანი შვილებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად. სკ-ის 1128-ე მუხლის შესაბამისად, როცა მეუღლეები არ არიან შეთანხმებული განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელ ადგილსა და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე, სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს ისიც, თუ რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელმა მშობელმა რა ოდენობით უნდა გადაიხადოს სარჩო (ალიმენტი). ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროებისამებრ საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმული უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სასამართლოს უფლება აქვს შეცვალოს დავის დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე მოწესრიგების ფარგლები. მართალია, ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი დისპოზიციურობის პრინციპს ეფუძნება და დავის საგანს თავად მხარეები განსაზღვრავენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, საოჯახო საქმეებზე, მათი თავისებურებებიდან გამომდინარე, სასამართლო შემთხვევით არ არის აღჭურვილი უფლებით და ვალდებულებითაც კი, რომ ცალკეული საოჯახო სამართლებრივი და უფლებრივი საკითხი თავად გადაწყვიტოს.

თუ საოჯახო საქმეებზე სასამართლოს მოესპობა ამგვარი ინიციატივა, მაშინ დაუცველი აღმოჩნდება არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესები. აზრს მოკლებული იქნება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლოს შესაძლებლობაც, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, განსაზღვროს დასადგენი გარემოებები. თუ სახელმწიფო სასამართლოს სახით არ იქნება მეტად აქტიური საოჯახო საქმეებზე, მაშინ აზრს დაკარგავს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის დანაწესიც, რომლის თანახმადაც, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია. სახელმწიფოს მფარველობის გარეშე არასრულწლოვანი ბავშვები ვერ შეძლებენ თავის დაცვას მათდამი მშობელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შემთხვევაში. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სკ-ის 1127-ე, 1128-ე და საოჯახო საქმეებზე სასამართლოს ინიციატივის და მოვალეობის დამდგენი სხვა მსგავსი ნორმების გავლენით სასამართლო პროცესულურად უფლებამოსილი და ვალდებულია თავისი ინიციატივითაც ჩაერიოს დავის საგნის ფარგლებში და შეცვალოს იგი. გარდა ამისა, მხარეთა მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის გაძლიერება არასრულწლოვანთა უფლების დაცვას ეფექტურს გახდის.

**თავი V. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის  
თავისებურებანი ევროპის წამყვან ქვეყნებში**

## 5.1. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი გერმანიის სამართალში

მიზანშეწონილია შევადაროთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი წამყვანი ევროპული ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებს – სწორედ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებების ასპექტში. ნაშრომის ამ მონაკვეთში შევხებით ევროპის წამყვანი ქვეყნების საპროცესო სამართალში არსებულ მოწესრიგებას.

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობს საოჯახო საქმეებს. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეექვსე წიგნი არ არის პატარა მოცულობის. მისი სიდიდე არ ნიშნავს, რომ მასში არსებული სპეციალური რეგულირება არის იდეალური, თუმცა გერმანიის გამოცდილება ამ სფეროში, მის დადებით და უარყოფით ასპექტებთან ერთად, საინტერესოს წარმოადგენს.

გერმანიის სამართალში საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები განსახილველად ექვემდებარებიან საოჯახო საქმეთა სასამართლოს, რომლებიც წარმოადგენენ რაიონულ სასამართლოებს. სააპელაციო და კერძო საჩივრები ასეთ საქმეებზე განიხილება ზემდგომ სასამართლოებში – საოჯახო საქმეთა სენატში. შემდეგი საჩივარი რევიზიის ფორმით ხორციელდება ზემდგომ ფედერალურ სასამართლოში (ბავარიის ასევე არის ბავარიის ზემდგომი სასამართლო).

საოჯახო საქმეთა ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.<sup>179</sup> საოჯახო საქმეთა გაგება და კლასიფიკაცია ასრულებს მთავარ როლს. მათი მეშვეობით განისაზღვრება სასამართლოს კომპეტენცია, სარჩელთა გაერთიანების დასაშვებობა (დასაშვებია მხოლოდ საოჯახო საქმეთა გაერთიანება) და მათი განხილვის თანმიმდევრობა. ამის გარდა, საოჯახო საქმის კატეგორია განსაზღვრავს მისი განხილვის

<sup>179</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 621 მუხლის 1-ლი აბზაცი.

პროცედურას, რადგან გერმანიის კანონმდებლობაში არ არსებობს წარმოების ერთნაირი წესები ყველა საოჯახო საქმეზე.

ის, თუ რა კატეგორიას განეკუთვნება საქმე, განსაზღვრავს სასამართლო, გერმანიის საოჯახო სამართლის საფუძველზე, რადგან ეს აუცილებელია განსჯადობის განსაზღვრისათვის. ამ დასკვნას სასამართლო აკეთებს მოსარჩელის ან მოპასუხის მოთხოვნის, ასევე იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რასაც წარადგენენ ისინი.

გერმანიის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ოთხი სახის წარმოებას საოჯახო საქმეებზე: წარმოება განქორწინების და მისგან გამომდინარე საქმეებზე; წარმოება ქორწინების ბათილად ცნობაზე და მისი არსებობისა და არარსებობის დადგენა; წარმოება საქმეებზე, რომლებიც ეხება ბავშვთა და მშობელთა ურთიერთობას და წარმოება რჩენის თაობაზე. ამასთან პროცესუალური წესები მოცემულია არა მარტო გერმანიის საპროცესო კოდექსში, არამედ არასასარჩელო წარმოების საქმეთა კანონმდებლობაში, ასევე დადგენილებაში მეუღლეთა საცხოვრებლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენების შესახებ.

ამრიგად, გერმანიაში მოქმედებს საოჯახო საქმეთა სამართლებრივი რეგულირების სისტემა, რომელიც ქმნის სირთულეს, მაშინაც, როდესაც რომელიმე საქმე ცალკე განიხილება. სირთულეები არსებითად მატულობს, როდესაც განსახილველია რამდენიმე საქმე (მოთხოვნა), მაგალითად, როდესაც განქორწინების საქმე დაკავშირებულია რჩენასთან და საცხოვრებლის გამოყენების წესის განსაზღვრასთან. მათ დასაძლევად კანონმდებელი ცდილობს უზრუნველყოს სხვადასხვა სახის წარმოების შესაბამისობა. როგორც წესი, ეს ხდება მითითებითი წესების მეშვეობით, რომლებიც სირთულეს უქმნის იურისტებსაც კი. რიგითი მოქალაქეებისთვის კანონის ტექსტი ხდება სრულიად გაუგებარი. ამავე დროს, საოჯახო საქმეთა სპეციალური პროცესუალური რეგულირებაც მნიშვნელოვანს წარმოადგენს და ამიტომ საჭიროა მისი დეტალური მოწესრიგება. უფრო საინტერესოა სოციალური ფუნქციიდან გამომდინარე სასამართლო პროცედურის წესების განხორციელება, პროცესუალური თავისებურებები განქორწინების საქმეზე.

წარმოება განქორწინების საქმეებზე განსხვავდება ჩვეულებრივი წარმოებისაგან შემდეგი ფუნდამენტალური წესების მიხედვით: რეგულირება, რომელიც მიმართულია ოჯახის შესანარჩუნებლად; მეუღლეთა უფლებების შეზღუდვით და ასევე სასამართლოსათვის იმ უფლების მინიჭებით, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები და მხედველობაში მიიღოს გარემოებები, რომელთა თაობაზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. ეს განპირობებულია იმით, რომ ქორწინება მიჩნეულია საზოგადოებისათვის უმთავრეს ინსტიტუტად და ეხება საზოგადოებრივ ინტერესებს - როგორც კავშირი, რომელიც სულ უნდა არსებობდეს.

კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა პროცედურას იმაზე დაყრდნობით, არის თუ არა პროცესის საგანი მხოლოდ განქორწინება ან განქორწინებას უკავშირდება თუ არა სხვა სახის მოთხოვნები; სადავოდ არის თუ არა გამხდარი განქორწინება ან ხდება თუ არა განქორწინება მხარეთა შეთანხმებით.

ხდება განსჯადობის დეტალური დარეგულირება. ზოგად წესებს, რომელთა მიხედვით ხდება განქორწინების საქმეების მიკუთვნება იმ ტერიტორიული სასამართლოსათვის, სადაც მეუღლეებს აქვთ ერთობლივი საცხოვრებელი, ასევე ემატება მთელი რიგი დამხმარე წესებისა და ასევე საერთაშორისო განსჯადობის ნორმები. გერმანიის საპროცესო კოდექსის ამ ნაწილის კორექტირებას ახდენს ევროკავშირის 29 მაისის 2000 წლის N 1347/2000 რეგლამენტი, რომელიც ეხება გადაწყვეტილებათა კომპეტენციას, აღიარებას და აღსრულებას საქორწინო საქმეებზე და იმ წარმოებაში, რომელიც ეხება მშობელთა პასუხისმგებლობას მათი შვილების მიმართ.

საქორწინო საქმეთა პირადი ხასიათი განაპირობებს თავისებურებებს, რომლებიც ეხება პროცესის სუბიექტებს. ასეთი წარმოებისას შეზღუდულქმედუნარიან მეუღლესაც კი აქვს პროცესუალური ქმედუნარიანობა. ხოლო ქმედუნაროს სახელით პროცესზე გამოდის მისი კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც განქორწინების თაობაზე მოთხოვნის წარსადგენად სჭირდება მეურვეობის საქმეებზე სასამართლოს თანხობა.

სავალდებულოა საადვოკატო წარმომადგენლობა, თანაც მინდობილობით პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული უფლება განქორწინების საქმეში მონაწილეობაზე. ეს უკანასკნელი წესი განპირობებულია იმით, რომ განმცხადებელი გაფრთხილებულ უნდა იქნეს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამგვარ საქმეზე სწრაფი განაცხადის გაკეთებას, ასევე მიეცეს საბაზი, კარგად გაარკვიოს თავისი მისწრაფება.

განქორწინების საქმე იწყება არა სარჩელით, არამედ განცხადებით. შესაბამისად, აქტიურ მხარეს ეწოდება არა მოსარჩელე, არამედ განმცხადებელი (der Antragsteller), ხოლო პასიურს - არა მოპასუხე, არამედ მოპასუხე განცხადებით (der Antragsgegner). განცხადებას განქორწინების თაობაზე უნდა ჰქონდეს იგივე რეკვიზიტები, რაც სარჩელს, მაგრამ შესაბამისი მონაცემებით, რაც აღნიშნულია 2 § 622 აბზაცში. მისი საფუძვლიანობის თავისებურება განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.<sup>180</sup>

იზღუდება მხარეთა უფლებები მოთხოვნათა გაერთიანებისა და შეგებებული სარჩელის წარდგენის სფეროში. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, განქორწინების მოთხოვნასთან ერთად, შეიძლება გაერთიანდეს ორი სახის მოთხოვნა. პირველი, მოთხოვნა საოჯახო ცხოვრების აღდგენის თაობაზე. მისი მეშვეობით განმცხადებელი ცდილობს დაავალდებულოს მეორე მხარე, რათა მისდიონ ერთობლივ საოჯახო საქმეებს. აქ საუბარი მიდის უფლებათა და მოვალეობათა ერთობაზე, რომლებიც გამომდინარეობს ცხოვრების კავშირიდან, მათ შორის – იქიდან, რაც დაკავშირებულია ერთობლივ ცხოვრებასთან, საოჯახო მეურნეობის გაძლიერებამ, მზრუნველობის გამოჩენიდან, ბავშვთა აღზრდიდან. მართალია, ამ მოვალეობის შესასრულებლად დასაშვებია სასამართლოსთვის მიმართვა, მაგრამ გადაწყვეტილება საოჯახო ცხოვრების აღდგენაზე იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება. განცხადების განხილვა საოჯახო ცხოვრების აღდგენაზე წინ უნდა უსწრებდეს განქორწინების საკითხის გადაწყვეტას.

---

<sup>180</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მუხლები 1564-1568.

მეორე, განქორწინების მოთხოვნასთან შეიძლება შეთავსებულ იქნეს მოთხოვნა ქორწინების გაუქმების შესახებ. თუ არსებობს საფუძველი ორივე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ქორწინება წყვეტს არსებობას.

შეგებებული სარჩელის წარდგენა დასაშვებია, იმ ზომით, რა ზომითაც შეიძლება გაერთიანდეს მოთხოვნა, ანუ მოპასუხის უფლება, წარადგინოს შეგებებული სარჩელი, იზღუდება შუამდგომლობებით საოჯახო ცხოვრების აღდგენასა და განქორწინებაზე.

ამავე დროს, განქორწინების თაობაზე განაცხადთან ერთად შეიძლება გაერთიანდეს საქმეები, რომლებიც გამომდინარეობს განქორწინებიდან. ასეთს შეიძლება მივაკუთვნოთ ნებისმიერი საოჯახო საქმე, რომლის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება განქორწინების გამო. გამომდინარეობს თუ არა მოთხოვნები განქორწინებიდან, განისაზღვრება თუ არა ის მატერიალური კანონმდებლობით, ამაზე პასუხის გასაცემად სასამართლოებს შეუძლიათ მიმართონ არა მარტო გერმანიის, არამედ უცხოური სამართლის ნორმებს, რომლებიც არეგულირებს სადავოდ ქცეულ სამართალურთიერთობებს.

განქორწინების საქმეებზე მხარეებს შეუძლიათ მიუთითონ ახალ გარემოებებზე, სანამ დასრულდება ზეპირი განხილვა. არ შეიძლება გადაწყვეტილება გამოტანილ იქნას მოპასუხის დაუსწრებლად. ხოლო, თუ განმცხადებელი არ გამოცხადდა არასაკატიო მიზეზით, მის წინააღმდეგ გამოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მხარეთა გამოცხადება და მათი დაკითხვა სავალდებულოა. არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარეს წარედგინება იგივე სანქციები, რაც მოწმეს. ამავე დროს ჩვენების მისაცემად არ შეიძლება მხარის დავალდებულება.

გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ არ შეიძლება ეფუძნებოდეს მეუღლეთა მშვიდობიან თანხობას. მათ არ შეუძლიათ გაამარტივონ საქმის განხილვა იმ ფაქტების აღიარებით, რომლებიც საფუძველად უდევს განაცხადს, ან იმისათვის, რომ სასამართლოს მხრიდან არ მოხდეს მათი შემოწმება. მეუღლეთა შეთანხმებისათვის დასაშვებია მხოლოდ ის, რომლითაც შესაძლებელი ხდება ოჯახის შენარჩუნება (მაგალითად, უარის თქმა ისეთ ფაქტზე, რომელიც ქორწინებისათვის უსარგებლოა).



ამავე დროს, მხარეთა თანხმობას განქორწინების შესახებ აქვს მნიშვნელობა, რადგან ამან შეიძლება განაპირობოს წარმოების გამარტივება, აჩქარება ან ხარჯების შემცირება. მხარემ თანხმობაზე შეიძლება უარი განაცხადოს ნებისმიერ დროს, სანამ დასრულდება სასამართლო სხდომა.

თავისებური წესით რეგულირდება სასამართლო ხარჯების განაწილება. წესი იმის შესახებ, რომ ხარჯები უნდა გადაიხადოს წაგებულმა მხარემ, აქ არ ვრცელდება. საპირისპირო შემთხვევაში, უპირატესობას იღებს ის, რომელმაც პირველმა განაცხადა მოთხოვნა, თუმცა მეორე მხარესაც გააჩნია იგივე უფლება განქორწინების შესახებ. ზოგადი წესით ეს ხარჯები ქრება. სასამართლო უფლებამოსილია, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იხელმძღვანელოს სამართლიანობის პრინციპით და გაანაწილოს ისინი სხვანაირად. თუ განაცხადზე ითქვა უარი, მაშინ ხარჯებს, როგორც წესი, აანაზღაურებს განმცხადებელი.

სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება აღსრულდეს დაუყოვნებლივ, მათ შორის \_ იმ ნაწილშიც, რომელიც ეხება სასამართლო ხარჯებს. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას სასურველი შედეგი, მხარეები უნდა დაელოდონ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლას.<sup>181</sup>

---

181

## 5.2. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის თავისებურებანი საფრანგეთის სამართალში

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სტუქტურულად ოთხი წიგნისაგან შედგება. მათგან საინტერესო, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, არის მე-3 წიგნი. ის შეიცავს ოთხ ტიტულს, რომლებიც თავებად არის დაყოფილი. მათი დიდი ნაწილი ეხება სწორედ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვას. ამასთან, საყურადღებოა, რომ, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები სამართალწარმოების ცალკე სახედ კი არ არის გამოკვეთილი და ერთიანი სათაურის ქვეშ გაერთიანებული, როგორც ეს ქართულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია, არამედ გათვალისწინებულია საოჯახო საქმეთა ცალკეული კატეგორიები და მოცემულია მათი განხილვის წესები. სახელდობრ, ფრანგული საპროცესო კოდექსის მე-3 წიგნის მე-3 ტიტული ითვალისწინებს მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმს. 1-ელ ტიტულში გათვალისწინებულია განქორწინების წესები, ბავშვის ლეგიტიმაციის წესი, შვილად აყვანის, მშობლის უფლებების შესახებ წესი და ა. შ.<sup>182</sup>

ამრიგად, ფრანგული საპროცესო კოდექსის მე-3 წიგნი ეხება ცალკეული კატეგორიის საქმეთა მომწესრიგებელ ნორმებს. მასში არ არის გამიჯნული უდავო და სასარჩელო წესით განსახილველი საოჯახო საქმეები. ამასთან, გათვალისწინებულია განქორწინების სასამართლო წესი მაშინაც, როდესაც მეუღლეები თანახმანი არიან განქორწინებაზე. ქართულ სამართალში აღნიშნულ შემთხვევაში გამოირიცხება სასამართლო განხილვა და გამოიყენება განქორწინების ადმინისტრაციული წესი (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში), რაც ქართული საპროცესო კანონის უდავო უპირატესობაა. ამრიგად, ფრანგული სასამართლო გადატვირთულია განქორწინების უდავო შემთხვევების განხილვის აუცილებლობით. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1088-ე მუხლის შესაბამისად, განქორწინების საქმე

<sup>182</sup> Nouveau Code de Procédure Civile, art. 1088.

მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე განეკუთვნება განსაკუთრებულ (უდავო) წარმოების კატეგორიას.

ფრანგული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი და მისი შედარება ქართულ კანონმდებლობასთან ცხადყოფს, რომ ცალკეული კატეგორიის საოჯახო საქმეთა თავისებურებანი ქართულ სამართალში ძირითადად მატერიალური სამოქალაქო კოდექსით არის გათვალისწინებული, ე. ი. საპროცესო ნორმებს შეიცავს მატერიალური სამოქალაქო კოდექსი, ფრანგულში კი - სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავი, რომელსაც ეწოდება საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი, საოჯახო საქმეთა ზოგად საპროცესო თავისებურებებს ითვალისწინებს, ამასთან, ეს თავი ეხება სასარჩელო წესით განსახილველი საქმეების საპროცესო თავისებურებებს, ხოლო სასამართლო წესით განსახილველი კონკრეტული საოჯახო საქმეები (შვილად აყვანის, ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ) უდავო წარმოების წესით განიხილება. აქვე, რადგან ბავშვის მიტოვებულად აღიარების საქმე ვახსენეთ, აღვნიშნავთ, რომ, ქართულისაგან განსხვავებით, ფრანგულ სამართალში ბავშვის მიტოვებულად აღიარების საქმე სასარჩელო წესით განიხილება.<sup>183</sup>

ფრანგულ კოდექსთან ქართული კანონმდებლობის შედარება ცხადყოფს, რომ საოჯახო საქმის ნებისმიერ კატეგორიას, რომელსაც კი იცნობს ფრანგული სამართალი, იცნობს ქართული კანონმდებლობაც, თუმცა, საქმეთა კატეგორიების მიხედვით, ფრანგული სამართალი ითვალისწინებს სპეციალურ მოსამართლეს - მაგალითად, არსებობს მეურვეობის საქმეთა მოსამართლე, აგრეთვე საოჯახო საქმეთა მოსამართლე.<sup>184</sup>

ფრანგული საპროცესო სამართლის თავისებურებაა საქმეში, მათ შორის საოჯახო საქმეებში, პროკურორის მონაწილეობა. პროკურორის მონაწილეობა ზოგ საქმეში სავალდებულოა, ხოლო სხვა შემთხვევაში მას აქვს სამოქალაქო საქმეში მონაწილეობის

<sup>183</sup> საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1159-ე მუხლი.

<sup>184</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წიგნი მე-3 თავი X, თავი V, კარი II.

უფლება. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1169-ე მუხლის შესაბამისად, შვილად აყვანის საქმე მზადდება სასამართლო განხილვისათვის და განხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე პროკურატურის ორგანოთა დასკვნის მიღების შემდეგ. იგივე დებულებაა გათვალისწინებული შვილად აყვანის გაუქმების წესში.<sup>185</sup> პროკურატურას ევალება, გაეცნოს ბავშვების წარმოშობის შესახებ საქმეებს, არასრულწლოვანზე მეურვეობის დაწესების საქმეს, არასრულწლოვანზე მეურვეობის დადგენისა და შეცვლის საქმეს და სხვა; პროკურორი უფლებამოსილია აღძრას სარჩელი მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ;<sup>186</sup> პროკურორი პროცესში მონაწილეობს ძირითად მხარედ ან შედის დაწყებულ პროცესში. მას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს საქმეში საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით, როცა ადგილი აქვს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ხელყოფს საჯარო წესრიგს.<sup>187</sup> ფრანგული სამართლის მიდგომა პროკურატურის ორგანოთა დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეებზე და განსაკუთრებით საოჯახო საქმეებზე, გამართლებულად მიმაჩნია.

საოჯახო საქმეთა სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქართულ სამართალშიც იქნეს შემოღებული პროკურატურის ორგანოთა საოჯახო საქმეებში მონაწილეობის შესახებ წესი, რათა გამკაცრებული სახელმწიფო კონტროლის პირობებში გამოირიცხოს არასრულწლოვან პირთა უფლებების ხელყოფის შემთხვევები. ამიტომ მიზანშეწონილია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მსგავსი ნორმები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც აისახოს, რათა უფრო ქმედითი გახდეს კონსტიტუციური ნორმა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ზრუნავს ოჯახზე და დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია.

თუკი სახალხო დამცველის შესახებ კანონის თანახმად, სახალხო დამცველს აქვს საქმეთა გაცნობის უფლება, რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება პროკურატურას.

---

<sup>185</sup> საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1177-ე მუხლი.

<sup>186</sup> საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1203-ე მუხლი.

<sup>187</sup> საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-423-ე მუხლები.

ქართული კანონმდებლობა რიგ შემთხვევაში არასრულწლოვანსაც აძლევს სარჩელის დამოუკიდებლად შეტანის უფლებას 14 წლის ასაკიდან.

არარეალურად მიგვაჩნია არასრულწლოვანმა სრულყოფილად შეძლოს თავისი უფლებების დაცვა. ამგვარ საქმეებზე სახელმწიფო მეტად უნდა იყოს ჩართული და დაინტერესებული ასეთ პირთა უფლებების დაცვით. პროკურატურის მონაწილეობა პროცესში ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურად დაცვას და სახელმწიფოს მხრიდან თავისი მოქალაქეების უფლებების მფარველობას.

## დასკვნა

კვლევის შედეგად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მნიშვნელოვანი დასკვნები:

უწყებრივი ქვემდებარეობის ინსტიტუტში საპროცესო კანონი ცალკე გამოყოფს საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. თუმცა აღნიშნული არ იყო საჭირო, ისევე როგორც არ იყო საჭირო სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლში სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროდ საოჯახო ურთიერთობების სპეციალურად გამოყოფა, რადგან საოჯახო ურთიერთობა და საოჯახო საქმე იგივეა, რაც სამოქალაქო ურთიერთობა და სამოქალაქო საქმე.

კვლევამ აჩვენა, რომ მატერიალური სამოქალაქო სამართლის ნორმათა დანაწესებიდან გამომდინარე, საოჯახო საქმეებზე ესა თუ ის სუბიექტი სარგებლობს შესაძლებლობით, აღძრას სარჩელი თავისი სახელით, მაგრამ არა თავისი უფლებების დასაცავად. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ავიწროებს იმ სუბიექტთა წრეს, რომელთაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვთ. ნორმის თანახმად, ასეთია მხოლოდ ის პირი, ვინც სასამართლოს მიმართავს თავისი უფლების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად. არადა, როგორც აღინიშნა, არსებობენ პირები, რომლებიც საქმეს თავიანთი სახელით აღძრავენ სხვა პირთა უფლებების დასაცავად. ასეთი პირი საპროცესო მოსარჩელეა. მათი არსებობის უგულებელყოფა დაუშვებელია. თუმცა კანონით არ არის განსაზღვრული ასეთ პირთა სტატუსი სრულყოფილი სახით.

პროგრესულია სსსკ-ის 354-ე მუხლი, როგორც პირთა უფლებების დაცვის გარანტია. იგი სასამართლოს მიერ საოჯახო საქმეთა სწორად განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო გარანტიაა და სსსკ-ის 244-ე და 249-ე მუხლებთან სისტემურ კავშირში უნდა გამოვიყენოთ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ 354-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული ინიციატივის გამოყენება არ გულისხმობს და არ უშვებს ნორმის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას. მოცემული ნორმა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის იმ პრინციპიდან, რომლის თანახმადაც,

სასამართლო ხელმძღვანელობს პროცესს. შესაბამისად, დასახელებული ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის განხორციელების გარანტიას წარმოადგენს.

საჭიროა 354-ე მუხლის შეზღუდვითი განმარტება და ძირითადად ეს ნორმა საოჯახო საქმეებზე მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება ბავშვთა უფლებები, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციიდან თუ სხვა აქტებიდან გამომდინარე. საერთაშორისო კონვენციები ავალდებულებენ სასამართლოს, საქმის გარემოებები თავად დაადგინოს ბავშვის უკეთესი და უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე.

მართებული იქნება, თუკი 354-ე მუხლი არ იქნება განმარტებული სიტყვასიტყვით და მოცემულ ნორმაში მოაზრებული იქნება არა მხოლოდ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების სასამართლოს მიერ განსაზღვრა, არამედ ზოგადად საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განსაზღვრაც. საქმე ისაა, რომ მტკიცების საგანი განსხვავდება საქმის გარემოებებისაგან. საქმის გარემოებები უფრო ფართო კატეგორიაა და მასში, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების გარდა, ის გარემოებებიც იგულისხმება, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს.

თავისი სპეციფიკით გამოირჩევა საოჯახო საქმეებზე მორიგების ინსტიტუტის გამოყენება. საოჯახო ნორმების დიდი ნაწილი იმპერატიული ხასიათისაა. ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმეზე შეუძლებელია ავამოქმედოთ მორიგების ინსტიტუტი. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი მორიგების საფუძველს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთდათმობა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც იმ სამართალურთიერთობათა წარმოშობის პირობები, რომლებზედაც ლაპარაკია დავაში და მათი შინაარსი (უფლებები და მოვალეობები) განისაზღვრება იმპერატიული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით, რომლის გამოყენებაც გამორიცხავს რამენაირ გადახვევას ამ აქტით დადგენილი სამართალურთიერთობებისგან წარმოშობის პირობებისა და შინაარსისგან, კანონით დადგენილი პირობების თვითნებური შეცვლა სასამართლოს მხრიდან, ანდა თვით სამართალურთიერთობათა მონაწილეების ნება-სურვილით, დაუშვებელია.

მამობის დადგენის საქმეები სასარჩელო წესით განიხილება. თუ მამობის დადგენა უნდა მოხდეს მამის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ მოპასუხედ ჩართული უნდა იქნენ ის პირები, რომელთა სამემკვიდრეო უფლებებზეც გავლენას ახდენს მამობის დადგენის საქმე.

სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე (თუნდაც ეს გენეტიკური ექსპერტიზის საფუძველზე იყოს დამტკიცებული), თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. სასამართლოს უმთავრეს მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა იმის თაობაზე, რომ ბავშვი ნამდვილად მოპასუხისგან წარმოიშვა. უწინარეს ყოვლისა, ამოსავალი ბავშვის ინტერესები უნდა იყოს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა სასამართლომ მტკიცებულებად უნდა მიიღოს საქმეზე და ქართული პრაქტიკა იყენებს კიდევ მას მტკიცებულებად, რაც მართებულია. თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებებში მისი ასახვა მტკიცებულებად ისე ხდება, რომ არ არის გამოკვეთილი, სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი მტკიცებულების სახეში ექცევა იგი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა, თავისი თვისებებით, დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებაა, რის გამოც სსსკ-ის 102-ე მუხლს ცალკე უნდა დაემატოს მტკიცებულების ისეთი სახე, როგორც სახელმწიფო ორგანოს დასკვნაა. თუ ისეთი სპეციფიკური მტკიცებულება, როგორცაა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა, არ იქნება საქმის მასალებში, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

ამგვარი დასკვნების წერილობით მტკიცებულებასთან გათანაბრება დაუშვებელია, რადგან გამოირჩევა არსებითი სპეციფიკით. თუნდაც ის უბრალო არგუმენტიც კმარა, რომ წერილობითი სახით არსებულ ყოველგვარ მტკიცებულებებს საპროცესო კანონი წერილობით მტკიცებულებად არ მიიჩნევს (მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნაც წერილობით ყალიბდება, მაგრამ ის ცალკე სახის მტკიცებულებაა).



რადიკალურია და არასწორია, როგორც ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საოჯახო საქმეზე დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ისე პრაქტიკაში არსებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს ვალდებულებას შეადგენს. გათვალისწინებული უნდა იქნეს, სწორედ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა თავისებურებანი. მხოლოდ ცალკეულ საოჯახო საქმეზეა შესაძლებელი შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

დროებითი განკარგულება არ წარმოადგენს სუბიექტებს შორის საოჯახო ურთიერთობის დადგენის შესახებ შემაჯამებელ აქტს, არ მიიღება საქმის არსებითი განხილვის დასრულების ეტაპზე, რაც ნიშნავს, რომ მისი მიზანია საოჯახო ურთიერთობის მოწესრიგება დავის დასრულებამდე, ანუ დროებით და მისი შინაარსი არ ახდენს ზეგავლენას საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე. ამ დროს სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, არსებითად იმსჯელოს სარჩელზე და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განისაზღვროს განკარგულების შინაარსი და არ დაუშვას მხარეთა, განსაკუთრებით ბავშვთა ინტერესების რაიმე ფორმით ხელყოფა.

თეორიული თვალსაზრისით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მარტო ალიმენტის საქმეებზე კი არა, სხვა საოჯახო საქმეებზეც არის დასაშვები. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს სსსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი იძლევა, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება დასაშვებია ყველა სხვა საქმეზეც (ნორმაში ჩამოთვლილის გარდა), თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან, თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. აღნიშნული დებულება ძალზე ზღუდავს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას, რამეთუ იგი დაუყოვნებლივ აღსრულებას შესაძლებლად მიიჩნევს ისეთ საქმეებზე, რომლებზეც გვყავს გადამხდევინებელი, რომელსაც ადგება ზიანი.

ზიანის ცნება მოიცავს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ზიანს. არაქონებრივი ზიანის დადგომის საფრთხე საოჯახო საქმეებზე არსებობს, მაგალითად, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა არასრულწლოვანი ბავშვის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაყვანა, რაზეც არ თანხმდება ერთ-ერთი მშობელი, რის გამოც სასამართლოში აღძრულია სარჩელი მისი უფლებების შეზღუდვის შესახებ. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომელიც მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს და რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს (საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან), პრიორიტეტად ბავშვის ინტერესებს ასახელებს.

ზემოაღნიშნულ და მსგავს შემთხვევებში მიზანშეწონილი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება მიეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

არასწორია მამობის დადგენის საქმეებზე სასამართლო ხარჯის (სახელმწიფო ბაჟის და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის) გადახდევინება. რამდენადაც მამობის დადგენის მოთხოვნა უკავშირდება ბავშვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, შესაბამისად, ამ საქმეზე სასამართლო ხარჯი არ უნდა გადაიხდევინებოდეს, სსსკ-ის 46-ე მუხლიდან გამომდინარე.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ დაგვანახა, რომ საოჯახო საქმეებზე საჭიროა სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციის გაფართოება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიზნით. თუკი სახალხო დამცველის შესახებ კანონის თანახმად, სახალხო დამცველს აქვს საქმეთა გაცნობის უფლება, რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება პროკურატურას.

ქართული კანონმდებლობა არასრულწლოვანსაც აძლევს სარჩელის დამოუკიდებლად შეტანის უფლებას. არარეალურად მიგვაჩნია არასრულწლოვანმა სრულყოფილად შეძლოს თავისი უფლებების დაცვა. ამგვარ საქმეებზე სახელმწიფო მეტად უნდა იყოს ჩართული და დაინტერესებული ასეთ პირთა უფლებების დაცვით.

პროცესუალურ კანონმდებლობაში შემოღებულ უნდა იქნას საპროცესო მოსარჩელის ტერმინი, ანდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებას დაემატოს სიტყვები: „ამ კანონით განსაზღვრულ

შემთხვევაში, იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს სასამართლოს თავისი სახელით სხვა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად“. მოცემულ ფორმულირებაში ნახსენები სიტყვები „კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში“ გამორიცხავს კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში და კანონით გაუთვალისწინებელი სუბიექტების მიერ სარჩელის აღძვრას სხვათა უფლებების დასაცავად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი არ ითვალისწინებს საოჯახო საქმეთა თავისებურებას. აღნიშნული ნორმის გამოყენებამ ჩიხური ვითარება რომ არ გამოიწვიოს და რომ არ დატოვოს შთაბეჭდილება, თითქოს პირს შეუძლია სასამართლოს მიმართოს მარტოდენ თავისი უფლების დასაცავად, როგორც ეს დასახელებულ ნორმაშია ფორმულირებული, აუცილებელია მისი ფორმულირების შეცვლა და ახალ ფორმულირებაში იმის აღნიშვნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვა დასაშვებია ასევე კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში საკუთარი სახელით და სხვისი უფლებების დასაცავად.

კრიტიკას იმსახურებს სსსკ-ის 136-ე და 157-ე მუხლების ფორმულირება. ამ ნორმათა ფორმულირება არ არის სრულყოფილი. საქმე ისაა, რომ მხარის გათავისუფლება ამა თუ იმ ფაქტის მტკიცების მოვალეობისაგან, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ფაქტი დამტკიცებულია. მით უმეტეს, აზრს მოკლებულია ამგვარი მოვალეობის მეორე მხარისათვის გადაკისრება. თანაც, კანონი არ ითვალისწინებს მეორე მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობის რაიმე უარყოფით შედეგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მართებული იქნებოდა შემდეგი ფორმულირება: თუ წერილობითი (შესაბამისად ნივთიერი) მტკიცებულების წარდგენაზე არასაკატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ამგვარი მტკიცებულების გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირის სასარგებლოდ მტკიცებულებით დასადასტურებელი ფაქტი დამტკიცებულად ითვლება, ხოლო მეორე მხარეს დაეკისრება დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება. არც ის მიგვაჩნია მართებულად, რომ ნორმის ამგვარი რედაქცია ითვალისწინებს მტკიცების ტვირთისაგან მხარის გათავისუფლების შესაძლებლობას და

არა – ვალდებულებას, რადგან, ნორმის თანახმად, აღნიშნული არის სასამართლოს შესაძლებლობა, ე. ი. მისი დისკრეცია და, შესაბამისად, ეს ნორმა არსებული სახით არაკეთილსინდისიერი და საპროცესო უფლებების ბოროტად გამომყენებელი მხარის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად ვერ ჩაითვლება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალმა თავისი სოციალური ფუნქცია რომ შეასრულოს, მიზანშეწონილია სოციალურად დაუცველი პირები გათავისუფლდნენ არა მარტო სახელმწიფო ბაჟის, არამედ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის – ექსპერტიზის ხარჯის) გადახდისაგან, რაც უფრო ეფექტურს გახდის უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს.

არსებული რეგულაცია კრიტიკას იმსახურებს სხვა მხრივაც, კერძოდ, აშკარაა, რომ ექსპერტიზის ხარჯი განეკუთვნება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯს. მის გადახდასთან დაკავშირებული წესი საპროცესო წესია. აღნიშნული წესი დადგენილია ექსპერტიზის სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტით, სახელდობრ, მთავრობის 2012 წლის 8 მაისის № 171 დადგენილებით „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“. საპროცესო წესის კანონქვემდებარე აქტით დადგენა კი დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით. დასახელებული კანონის მე-7 მუხლი უთითებს საქართველოს საკანონმდებლო აქტებზე. ესენი არანაკლებ კანონის დონის მქონე აქტებია. მაშასადამე, მთავრობის დასახელებული დადგენილება ეწინააღმდეგება ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მოთხოვნას.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის ზემოაღნიშნული ნორმებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის, 203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უნდა დაეყრდნოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსს, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა და ამგვარი კატეგორიის საოჯახო საქმეებზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი პირები გაათავისუფლოს სასამართლო ხარჯების გადახისაგან.

თუ სკ-ის 1143-ე მუხლის თანახმად, დამაბრკოლებელი გარემოებების საფუძვლით (ამ საფუძვლებზე მითითებულია სკ-ის 1120-ე მუხლში) ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორწინებით, აგრეთვე – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. სკ-ის 1144-ე მუხლის თანახმად, იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრა შეუძლია მეუღლეს (მეუღლეებს), ე. ი. ასეთ სარჩელს ვერ აღძრავს ნებისმიერი პირი, თუკი მისი უფლება არ დაირღვა ამ დაქორწინებით. სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლების მქონე სუბიექტთა წრის შეზღუდვის მიზანი მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობს თავად მეუღლეთა უფლებების დაცვაში, რომელთაც შესაძლოა არ სურდეთ ამგვარი მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის აღძვრა. ამასთანავე, დაინტერესებულ პირს არ ერთმევა დაქორწინებით დარღვეული კონკრეტული უფლებების, მაგალითად, სამემკვიდრეო უფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, თუმცა სასამართლოსადმი მიმართვა პრაქტიკულად აზრს მოკლებულია, როცა პირს არ აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა (საფუძველი), სადავო გახადოს ქორწინება ბათილობის მოტივით. ამიტომ მიზანშეწონილია სკ-ის 1144-ე მუხლში გაფართოვდეს დაინტერესებულ პირთა წრე, რომელთაც ექნებათ იძულებით მომხდარი ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება.

გარკვეულ უხერხულობას ქმნის მე-19 მუხლის სათაური: „ოჯახური დავების განსჯადობა“. „ოჯახური დავა“ ზუსტად არ გამოხატავს მოვლენის არსს. უფრო სწორი იქნება, თუკი ნორმის სათაური შეიცვლება შემდეგი სახით: „საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა“. საქმე ისაა, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა შეიძლება წარმოიშვას იმ პირებს შორის, რომლებიც ერთ ოჯახს არ წარმოადგენენ. ზემოაღნიშნული ნორმის სათაურიდან გამომდინარე კი, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საუბარია იმ პირთა შორის დავაზე,

რომლებიც ერთი ოჯახის წევრები არიან. როგორც ცნობილია, საოჯახო ურთიერთობები, მათ შორის, ბუნებრივია, დავაც, წარმოიშობა არა მხოლოდ ერთი ოჯახის წევრებს შორის, არამედ იმ პირთა შორისაც, რომლებიც არ არიან ოჯახის წევრები. ამრიგად, სამართლებრივი კავშირები შეიძლება არა მარტო ერთი, არამედ სხვადასხვა ოჯახის წევრებს შორისაც.

ხარვეზულად უნდა ჩაითვალოს სსსკ-ის 354-ე მუხლის ზემოაღნიშნული დანაწესი და მასში სიტყვები „განსაზღვროს საქმეზე დასადგენი გარემოებები“ მიზანშეწონილია შეიცვალოს სიტყვებით „განსაზღვროს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები“, რამეთუ სასამართლომ უნდა განსაზღვროს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და არამხოლოდ მტკიცების საგანში შემავალი, ანუ საქმეზე დასადგენ-დასამტკიცებელი გარემოებები.

სრულყოფას მოითხოვს სსსკ-ის 352-ე მუხლი, რომელიც მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსით და კონკრეტული კატეგორიის საოჯახო საქმისათვის კერძო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესები იმ დამატებებით, რაც ამ თავშია დადგენილი“.

მიზანშეწონილია სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვები მტკიცებულებების ჩამონათვალი შეივსოს. კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა ცალკე მტკიცებულების სახით უნდა იყოს მასში მოხსენიებული.

თუ გავითვალისწინებთ საერთო სასამართლოებში დღეს შექმნილ ვითარებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეები გადატვირთული არიან საქმეთა რაოდენობით, საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სასამართლოთა განტვირთვას. ამასთან, ამით არც მხარეთა უფლებები იქნება ხელყოფილი და ეს ღონისძიებები არ მოახდენს უარყოფით გავლენას მართლმსაჯულების ხარისხიან განხორციელებაზე. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება შეიძლება იყოს ზოგიერთი კატეგორიის საოჯახო საქმეზე გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივება. ზოგიერთ საოჯახო საქმეზე

მიზანშეწონილიც კი არ არის გადმოიციეს გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები, საკმარისია სასამართლო შემოიფარგლოს შესავალი და სარეზოლუციო ნაწილებით. მაგალითად, მიზანშეწონილია აღნიშნული გამარტივება შეეხოს ქორწინების შეწყვეტის (განქორწინების) შესახებ გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, ისეთ ვითარებაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა განქორწინების საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხში, ადრინდელი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმას, მეუღლეებს ჰყავთ თუ არა არასრულწლოვანი შვილები, საერთოდ აზრს მოკლებული ხდება განქორწინების საქმის სასამართლოსადმი დაქვემდებარება. საკმარისი უნდა იყოს ერთ-ერთი მეუღლის მიმართვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსადმი. ამ საკითხშიც ცვლილებებია განსახორციელებელი. ესეც განტვირთავს სასამართლოებს.

დღეს არსებული მოწესრიგება მეუღლეს, რომელიც არ არის განქორწინების თანახმა, განქორწინების გადაწყვეტილების ზედა ინსტანციებში გასაჩივრების უფლებასაც აძლევს, რაც აზრს მოკლებულია, საჭირო ხდება უამრავი ფორმალური პროცედურის განხორციელება. თუ გავითვალისწინებთ პროცესის გაჭიანურების მექანიზმებსაც, შესაძლოა პროცესი რამდენიმე წელი არ დასრულდეს. ყოველივე კი ხელყოფს როგორც მხარის უფლებებს განქორწინებაზე, ისე სასამართლოს დროსა და ენერჯიასაც მოითხოვს. საჭიროა განქორწინების საქმეთა გამოტანა სასამართლოს კომპეტენციის სფეროდან. ხოლო, თუ მაინც სასამართლოს კომპეტენციაში დარჩება განქორწინების საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა, არ უნდა იყოს საჭირო გადმოიციეს გადაწყვეტილების ოთხივე ნაწილი და სასამართლო უნდა შემოიფარგლოს შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების ჩამოყალიბებით. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება იმპერატიული წესით უნდა შედიოდეს კანონიერ ძალაში, რათა გასაჩივრების ფორმალური პროცედურების გამოყენებით არაკეთილისინდისიერ მეუღლეს არ მიეცეს შესაძლებლობა, გასაჩივრების გზით გააჭიანუროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა. გადაწყვეტილების შინაარსის გამარტივება საჭიროა ალიმენტის საქმეებზეც.

კანონი სასამართლოს დროებით განკარგულებას ხან \_ განკარგულებად და ხანაც განჩინებად მოიხსენიებს. სსსკ-ის 243-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს

დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლო გადაწყვეტილების ფორმით მიიღება, ხოლო სსსკ-ის 284-ე მუხლის შესაბამისად კი, დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მაშასადამე, განკარგულება, როგორც ცალკე აქტი, რომელიც 355-ე მუხლშია ნახსენები, სასამართლო პრაქტიკაში საპროცესო კანონის 284-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, განჩინების ფორმით მიიღება. ამიტომ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნეს ტერმინების ერთიანობა, 355-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და სიტყვა „განკარგულება“ შეიცვალოს სიტყვით „განჩინება“.

სსსკ-ის 356-ე მუხლში, ასევე საუბარია რიგი საკითხის განჩინებით მოწესრიგებაზე. სსსკ-ის 355-ე და 356-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ტერმინოლოგიურის გარდა, ამ ნორმებში სხვა ცვლილებებიც არის შესატანი. კერძოდ, დუბლირების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია ამ ორი ნორმის ერთ ნორმად გაერთიანება. მართალია, 356-ე მუხლში თითქოს მცირედი განსხვავებაა, რადგან, მაგალითად, მასში საუბარია ქორწინებაში დაბადებული ბავშვების მშობელთა მხრიდან ზრუნვის საკითხზე, ხოლო 355-ე მუხლში, ზოგადად შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხის მოწესრიგებაზე, მაგრამ აშკარაა, რომ კანონმდებელი ცდილობს მოაწესრიგოს საოჯახო ურთიერთობები, იმის მიუხედავად, ქორწინების გარეშე თუ ქორწინებაში დაბადებული ბავშვი და ა. შ. შესაბამისად, ნორმათა გაერთიანებისას შეიძლება მიეთითოს ერთ გამაერთიანებელ წესზე - მშობლის ზრუნვის საკითხის მოწესრიგებაზე შვილის მიმართ, რაც თანაბრად გამოსაყენებელი იქნება როგორც ქორწინებაში დაბადებული ბავშვების, ისე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ინტერესების დასაცავად.

356-ე მუხლში ცვლილებაა შესატანი მასში კანონმდებლის მიერ დაშვებული შეცდომის გამოც. კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, თუ სასამართლო ცალკე გამოყოფს ქორწინების საქმეებიდან გამომდინარე სხვა საქმეებს, მაშინ მას ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებზე მშობელთა საერთო ზრუნვის და ასეთ ბავშვებთან მშობლის ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე



გამოაქვს განჩინება. დასახელებულ ნორმაში ქორწინების საქმეებიდან გამომდინარე საქმეებზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ განქორწინების საქმეებთან გამომდინარე საქმეებზე, ვინაიდან მუხლის სათაურში ნახსენებია განქორწინების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გაუგებრობას იწვევს საკითხი, თუ რას შეეხება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებზე გამოტანილი განჩინება. აქ მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ განჩინებით დროებით, ანუ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წესრიგდება ეს საკითხები, თორემ თავად ნორმა არაფერს გვამცნობს აღნიშნულზე. ამრიგად, დასახელებულ უზუსტობათა და შეცდომების გამო სსსკ-ის 355-ე და 356-ე მუხლების ხარვეზული ნაწილები დახვეწას მოითხოვს.

საოჯახო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მხარეს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს“.

არსებული წესით, თუკი სასამართლო შეწყვეტს საქმეს მეუღლის გარდაცვალების გამო, მაშინ გაუგებარია, სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე ვინ უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარე. დასახელებულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე არ გვყავს. მსგავს შემთხვევაში აპელაციის ან კასაციის შეტანა აზრს მოკლებულია, ვინაიდან უსამართლო შედეგს იწვევს. უფრო მართებულად მიგვაჩნია, თუკი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მხარის გარდაცვალებისას, როცა უფლებამონაცვლეობა არ შეიძლება, საჩივრის უფლება დაუშვებლად ჩაითვალოს. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსსკ-ის 353-ე მუხლის შემდეგნაირად ფორმულირება: „ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს, ხოლო, თუ საქმეში მხარედ მონაწილე მეუღლე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მაგრამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლამდე გარდაიცვალა, გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება დაუშვებელია“.

## ბიბლიოგრაფია

### ქართული ლიტერატურა

1. იმნაძე დ. 2002 წ. უდავო წარმოების პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
2. კვაჭაძე მ. ჩიგოგიძე ქ. მჭედლიშვილი გ. ბავშვის მეურვეობის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (ზოგიერთი ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტი). საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018 წ.
3. კობახიძე ა. 2003 წ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი.
4. ლილუაშვილი თ. 1957. მტკიცების საგანი და ტვირთი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში (რუსულ ენაზე). თბილისი.
5. ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. სამოქალაქო საპროცესო სამართალი I ნაწილი, თბილისი.
6. ნადიბაიძე. ლ. 1998. შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
7. მერებაშვილი ი. 2009. სასამართლო - დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლების დაცვის გარანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი.
8. მ. სულხანიშვილი, პრეზუმფცია და პრეიუდიცია სამოქალაქო პროცესში, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2015
9. სუხიტაშვილი დ. 2019. ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში, თბილისი.
10. ქურდაძე შ. 2003 წ. სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
11. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2015 წ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი.

12. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. მტკიცების ტვირთი (ვალდებულება) სამოქალაქო პროცესში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №2.
13. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. ცქიტიშვილი მ. ახალაძე მ. კუბლაშვილი მ. ქურდაძე გ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2022 წ.
14. ჩიკვაშვილი შ. 1999 წ. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი.
15. ჩიკვაშვილი შ. 2000. საოჯახო სამართალი. თბილისი.
16. ქირია გ. ძლიერიშვილი ზ. 2006. ქონების ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი.
17. ძლიერიშვილი ზ. 2007. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბილისი.
18. ძლიერიშვილი ზ. 1999. უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის პრობლემები, დისერტაცია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
19. ჯანუყაშვილი ლ. 2013. სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპები. თბილისი.
20. ჰაგენლოხი უ. ალავიძე ბ. ბაქაქური ნ. ბერეკაშვილი დ. გასიტაშვილი ე. თოდუა მ. მესხიშვილი ქ. ქათამაძე პ. ძლიერიშვილი ზ. 2020. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები.

### უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Corral, H. F. Filiation and assisted reproductive technology // Trabajo publicado en Revue Generale de Droit (U. de Ottawa), 2001. – N 31.
2. Fasching, Zivilprozeßrecht, 2nd ed. (Vienna: Manz, 1990), section 812, O. Pelli, Beweisverträge im Zivilprozess (Zurich: Dike, 2012), 155, the term 'legal proof' is used by E.

- Silvestri, 'The antique shop of Italian civil procedure', in Truth and Efficiency in Civil Litigation, ed. C. H. van Rhee & A. Uzelac (Cambridge, Portland, Antwerp: Intersentia, 2012).
3. Grunsky W. 2003. Zivilprozessrecht, München, 11 aufl.
  4. Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child // United Nations Children's Fund, – 2007.
  5. Jauernig, Zivilprozessrecht, München, 2013.
  6. Kaye P. 1987. Civil Jurisdiction and Inforcement of Foreign Judgments, Oxford.
  7. Laufer-Ukeles P., „Separating Care from the Caregiver“, konferenciis masalebis krebuls: Fostering Family Harmony: Principles and Practices, Papers from North American Regional Conference, Brooklyn Law School, Brooklyn, June 6-8, 2013;
  8. Löhnig, Vermögensbezogene Informationspflichten unter getrennt lebenden Ehegatten und vorzeitiger Ausgleich des Zugewinns bei vorzeitiger Aufhebung der Zugewinnsgemeinschaft, NZFam 2015, 359
  9. Lowe N.V., Bromley's family law, Ninth Edition, Publishing Ltd.: London, London, Butterworths, 1998
  10. Luke W. 2003. Zivilprozessrecht, München, 8 Aufl.
  11. Ommeslaghe, Droit des obligations, tome III (Brussels: Bruylant, 2010), section 1629.
  12. Zinner Roz.– Joint Physical Custody, 2013.
  13. Баулин О. В. 1997. Специальные нормы в гражданском процессуальном праве. Воронеж.
  14. Бахарова О. А. 2000. Субъекты, защищающие от своего имени права других лиц в гражданском судороизводстве, (на примере участия органов местного самоуправления); Саратов.
  15. Белова Т. А. Колядко И. Н. Мирониченко И. А. 2005. Научно-практический комментарий к Гражданскому процессуальному кодексу Республики Беларусь. Минск.
  16. Белова Т. А. Колядко И. Н. Юркевич Н. Г. Гражданский процесс. 2006. Минск.
  17. Боннер А. Т. 2015. Традиционные и нетрадиционные средства доказывания в гражданском и арбитражном процессе, М. Проспект.
  18. Грецшников М. К. 2004. Судебное доказательство. М. Городец.

19. Григорьев А. Н. 2011. Заключение как формы выражения мнений отдельных участников гражданского судопроизводства: Автореф. Дис. Канд. Юрид. Наук. Саратов.
20. Данийлов Е. П. 2001. Семейные споры. М.
21. Джандосова Е. В. 2006. Участие в гражданском процессе государственных органов и органов местного самоуправления для дачи.
22. . . 2006.
23. Зенин И. А. 2009. Гражданское и торговое право зарубежных стран. М.
24. Кострова Н. М. 1988. Теория и практика взаимодействия гражданского процессуального и семейного права. Ростов-н/Д.
25. Кулакова В. Ю. 2001. Участие в гражданском процессе государственных органов и органов местного самоуправления; Автореф. Дис. Канд. Юрид. Наук. М.
26. Ломоносова М. В. 2014. Особенности рассмотрения и разрешения отдельных категорий гражданских дел (исковое производство) учебное пособие. Под. Ред. И. К. Пискарева, М.
27. Пучинский В. К., Гражданский процесс зарубежных стран, 2014.
28. Осокина Г. Л. 2008. Гражданский Процесс. Общая часть. М.
29. Решетникова И. В. 2008. Справочник по доказыванию в гражданском судопроизводстве, под. , 4-е издание, переработанное, М.
30. Сохнова Т. В. 2008. Курс гражданского процесса. Теоретические начала и основные институты М.
31. Треушников М. К. 1995. Особенности рассмотрения отдельных категорий гражданских дел. М.
32. Треушников М. К. 2010. Гражданский процесс. Учебник. М.
33. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1998.
34. Чечина Н. А. 1987. Основные направления науки гражданского процессуального права.
35. Шакарян М. С. 2007. Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации/Под ред. М.
36. Шерстюк В. 1986. Процессуальные особенности рассмотрения и разрешения гражданских дел. Советская юстиция. № 12

37. Юдельсон К. С. 1974. Соотношение Гражданских процессуальных норм, сосредоточенных в гражданских процессуальных кодексах и кодексах материального права. Проблемы применения гражданского процессуального кодекса РСФСР. Калинин.

38. Яркова В. В. 2009. Гражданский процесс. Учебник/под. Ред., М.

## ჟურნალის სტატიები

1. ბასილაია ფ. 2009. ჟურნ. „მართლსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 4(23). საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. ბასილაძე ნ. 2020. სამართლის ჟურნალი N2. ფაქტობრივ მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები.

3. თუმანიშვილი გ. 2003. ჟურნალი „სამართალი # 3“ დათქმა ცოლ-ქმრული დალატის შესახებ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

4. კალანდაძე თ. 2011. მართლსაჯულება და კანონი (N:2(29)11). მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები.

5. კოხრეიძე ლ. 2014. მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი. ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი № 1(40)‘14.

6. მერებაშვილი ი. 2009. ჟურნ. „მართლსაჯულება და კანონი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 4 (23), 26. სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის მოქმედება.

7. ნადიბაიძე ლ. 1996. ჟ. სამართალი, N1-2, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა.

8. ნინუა ე. მართლსაჯულება და კანონი 3'12(2012). მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები.

9. რუსიაშვილი გ. შედარებითი სამართლის ქართულ - გერმანული ჟურნალი, N9/20. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენა..

10. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №2. მტკიცების ტვირთი (ვალდებულება) სამოქალაქო პროცესში.

11. ფხალაძე ნ., 2020, სამართალი და მსოფლიო, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი. მეულლეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი (საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი).
12. Resetar B., 2008. Matrimonial Property in Europe, A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law.
13. McCaffrey C.S. 2018. Trusts & Trustees. Vol. 24, №1. The Property Rights of Unmarried Cohabitants in the USA.
13. Фадеева Т. А. 1988. Личные права и обязанности граждан в семейных отношениях, «Правоведение» №2.

### **შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. კრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, № ა-215-904-03, №11, 19 ნოემბერი 2003.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, № ას-1213-1064-2010, 14 მარტი 2011 წ.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე №ას-307- 294-2015. 03 ივნისი 2015 წ.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე №ას-476- 450-2014. 09 ოქტომბერი 2015 წ.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-121-117-2016, 17 მარტი 2016 წ.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე №ას-53-51- 2016, 06 ივლისი 2016.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № ას-636-607-2016, 21 აპრილი 2017 წ.
8. კრებული \_ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეებზე, № ას-861-1133-05, №9, 2 მარტი 2006.

9. კრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, ას-595-1248-03, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. №12, 16 დეკემბერი 2003.
10. კრებულიდან „უზენაესი სასამართლო“, კრებულის ავტორი ალექო ნაჭყებია, თბილისი 2013 წ.
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე № 2/36731-16, 4 აგვისტო 2017 წ.
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N 2ბ/6593-16, 24 თებერვალი 2017 წ.
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N 2ბ/700-17, 8 მაისი 2017 წ.
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დროებითი განკარგულება საქმეზე № 2ბ/2524-17, 11 სექტემბერი 2017 წ.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1212-1132-2017, 13 ნოემბერი 2017 წ.
16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე № 2ბ/1156-19. 27 ივლისი, 2020 წელი.
17. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 2/2049-18, 13 თებერვალი 2018 წ.
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე № 2/32238-18, 9 ნოემბერი 2018 წ.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-294-579-09, 30 აპრილი 2009 წ.



## ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტიკა

1. Ahmut v. The Netherlands, 28.11.1996; (Application no. 21702/93).
2. Aliev v. Ukraine, no. 41220/98, § 187-89, 29 April 2003.
3. Anayo v. Germany № 20578/07) 21.12.2010.
4. Apostol v. Georgia, 28 november, 2006.
5. Dickson v. the United Kingdom [GC], §66; (Application no. 44362/04) 4.12.2007.
6. Evans v. the United Kingdom [GC], no. 6339/05, §71-72, ECHR 2007-I.
7. E.L.H. and P.B.H. v. the United Kingdom, nos. 32094/96 and 32568/96, Commission decision of 22 October 1997, DR 91-A.
8. Jedamaski and Jedamaska v. Poland, 26.07.2005.
9. Kalashnikov v. Russia (dec.), no. 47095/99, ECHR 2001-XI.
10. MARCKX v. BELGIUM, §52, 13.06.1979 (Application no. 6833/74).
11. S.H. AND OTHERS v. AUSTRIA; §60; 3.11.2011 (Application no. 57813/00).
12. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის დადგენილება საქმე „ისმაილოვა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ (საჩივარი 37614/02)//Российская хроника Европейского суда. Приложение к „Буллетеню Европейского суда по правам человека“, Спец. Вып. 2008, № 4, стр. 134-143.
13. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ - Elsholz v. Germany, N 25735/94, 31.07.2000 პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - TK and KM v. UK, N 28945/95, 10.05.2001, პარ. 72.
14. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის დადგენილება საქმეზე „ისმაილოვა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ საჩივარი №37614/02)//Российская хроника Европейского суда. Приложение к „Буллетеню Европейского суда по правам человека“, Спец. Вып. 2008, № 4, стр. 134-143.
15. სტრასბურგის სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია N 71776/12 განაცხადზე - ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.
16. სტრასბურგის სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე სტანგო ბელგის წინააღმდეგ.

## ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 26.06.1997.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 14.11.1997.
4. ბავშვის უფლებათა კოდექსი. 20.09.2019
5. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. 16.04.1999.
6. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 04.12.2009.
7. კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“. 20.11.1989.
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია. რომი. 05.11.1950.
9. Новый Гражданский процессуальный кодекс Франции, перевод В. Захватаева, 2004 год, город Киев, издательство Истина.
10. Гражданское процессуальное уложение Германии. 2006.

## ინტერნეტრესურსი

1. [cyberleninka.ru/article/n/semeynye-spory-kak-obekt-alternativnogo-uregulirovaniya/viewer](http://cyberleninka.ru/article/n/semeynye-spory-kak-obekt-alternativnogo-uregulirovaniya/viewer).
2. [lawbook.online/zarubejnyih-protsess-grajdanskiy/novyiy-grajdanskiy-protsessualnyiy-kodeks.html](http://lawbook.online/zarubejnyih-protsess-grajdanskiy/novyiy-grajdanskiy-protsessualnyiy-kodeks.html).
3. [lawbook.online/protsess-zarubejnyih-grajdanskiy/grajdanskiy-protsessualnyiy-kodeks-56683.html](http://lawbook.online/protsess-zarubejnyih-grajdanskiy/grajdanskiy-protsessualnyiy-kodeks-56683.html).
4. Orzeczenie z dnia 27 pazdziernika 1994 r., skarga numer 18535/91. : [Электронный ресурс] – Режим доступа: [http://www.espch.ru/component/option,com\\_frontpage/Itemid,1](http://www.espch.ru/component/option,com_frontpage/Itemid,1).
5. [prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx](http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx).
6. [supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf](http://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi5.pdf).
7. [uslugijurista.ru/semeynye-dela-i-spory](http://uslugijurista.ru/semeynye-dela-i-spory)